

მნიშვნელოვანი ბიბლიკოსები




'23



№43

950



მწიგნობარი

'23

საქართველოს
ილია ჭავჭავაძის
სახელობის
მწიგნობართა
ასოციაციის
წევრულიური
ორგანო

გამოდის
1980 წლიდან

№43

თბილისი
2023

აღმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს
წიგნებსა და წიგნის უმემკნეალებზე,
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,
ძიებებზე წიგნის სამყაროში, სსკადასსკა
ქვეყნისა და მსარის მწიგნობრებზე.

მთავარი რედაქტორი
ლადო მინაშვილი

სარედაქციო საბჭო:

- ლალი ავალიანი
- რევაზ ბალანჩივაძე
- ლევან ბებურიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- შოთა კობიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)
- ალექსანდრე ლორია
- მანა მიქაბერიძე
- ლია ნადარეიშვილი
- მანა რაფაბა
- ნათია სინარულიძე
- როსტომ ჩხეიძე
- იოსებ ჭუმბურიძე

მხატვარი
ანზორ თოდრია

გარეკანზე: დავით IV აღმაშენებელი.

როინ მეტრეველი

დიდი პოლიტიკოსი, კავკასიის გამაერთიანებელი

– ბატონო როინ, 950 წელი შესრულდა დიდი ქართველი პოლიტიკოსის, კავკასიის გამაერთიანებლის, წმინდა დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თაოსნობით 2023 წელი გამოცხადებულია დავით აღმაშენებლის წლად. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს თითოეული ქართველისთვის. მოდი, კიდევ ერთხელ მოგვითხრეთ ამ მეფეთმეფის, სამაგალითო ქართველის შესახებ.

– საქართველოს გამოჩენილი ისტორიული პიროვნების, მეფე დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას თანამგზავრად ხვდა მძიმე ბრძოლები, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების გამუდმებული დაძაბვა, ღრმა დრამატიზმი; მისი მოღვაწეობის არსებითი შედეგი ქვეყნისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცება იყო. სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია ფეოდალურმა საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს. ქვეყნის ეკონომიკურმა ძლიერებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სანარმოო ძალთა განვითარებასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა ქალაქების დანიანაურება, ფეოდალური საქართველოს ქალაქებმა კი, თავის მხრივ, დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინეს. ამიტომ იყო, რომ დიდი ფეოდალები მხოლოდ ე.წ. მდაბიო მოლაშქრეთა საბოლოოდ დაყმევებისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ ქალაქების დაუფლებასა და ვაჭარ-ხელოსნებზე გაბატონებასაც ისახავდნენ მიზნად.



დავით აღმაშენებელთან არის დაკავშირებული XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვნად გაფართოება, მართლაც, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგანამდე. ქვეყნის როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება უზრუნველყო გარეშე მტრებთან ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ და საქართველოს სამეფო ხელისუფლების, დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა სახელმწიფოებრივმა რეფორმებმა (ეკონომიკური, სამხედრო, სასამართლო, საეკლესიო და სხვ.), რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა – საქართველო დაწინაურდა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ქვეყნის აღმავლობა განუყრელად იყო დაკავშირებული დავით აღმაშენებლის სახელთან.


– როგორც ცნობილია, ბატონო როინ, XI საუკუნის 80-იანი წლების დამდეგი თურქ-სელჩუკთა ურიცხვ ბრბოთა ახალი შემოსევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებს ამ შემოსევებს და თარიღად 1080 წელსა სდებს... ერთ დღეს დაუნვიათ თურქ-სელჩუკებს ქუთაისი, არტანუჯის და კლარჯეთის უდაბნონი, მოუჭამიათ მთელი ქვეყანა და წასულან, თუმცაღა ზამთრის მოახლოებისას უკან დაბრუნებულან..

– სწორად შეგინიშნავთ. გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრება“. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა... მოხუცებული არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანნი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა“...

– შემადრწუნებელი ციტატა!

– დიახ, ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე 1089 წელს მოხდა გადატრიალება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II გადააყენეს სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დავით გიორგის ძემ, დავით IV აღმაშენებელმა დაიკავა.

„ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამან, დავით“ – ასე აგვიწერს დავით აღმაშენებლის გამეფებას მისი ისტორიკოსი.



მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად თექვსმეტი წლის დავითს, თურქ-სელჩუკებისგან აკლებული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები. ქვეყნის მოსალონიერებლად მტკიცე ღონისძიებანი იყო საჭირო.

საქართველოს სამეფო იმდენად დაკნინებული გახლდათ, რომ მისი მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა თავისი ერთგულები. სწორედ ერთგული მოლაშქრეებით ესხმოდა თავს თურქ-სელჩუკებს, ამარცხებდა მათ და ამით მტრის შიშით მთაში გახიზნულ ქართველ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები ქართლიდან თანდათან აპყარა. ეს წვრილი გამარჯვებები ქართველ ხალხში საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა საკუთარი მიწა-წყლის მოვლა-პატრონობის საქმეს, ქალაქებიც აღორძინების გზას დაადგა.

დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგვაროვანი მონინააღმდეგეები (ბაღვაშები, აბულეთისძეები), 1099 წელს სელჩუკთა სულთანს ხარკის მოცემა შეწყვიტა, გააუქმა კლდეკარის საერისთავო (1103), 1104 წელს ერთიან სამეფოს ჰერეთი და კახეთი შემოუერთა.

მეფის მონინააღმდეგ ფეოდალებმა, როგორც კი ნახეს, რომ კახეთი და ჰერეთი საქართველოს მეფის ხელდებული და ერთიანი ქვეყნის შემადგენელი გახდა, დახმარება სთხოვეს განძის ათაბაგს, რომელიც თურქეთის სულთნის მოხელე იყო. შეიკრიბა სულთნის ლაშქარი, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით ძალზედ მრავალრიცხოვანი ყოფილა და საქართველოს მოადგა. დავით აღმაშენებელმა მტერთან შედარებით ბევრად მცირე ლაშქარი გამოიყვანა და ერწუხთან შეება მტერს. მტრის რიცხოვრით უპირატესობას საქართველოს სამეფო კარმა განვრთნილი ლაშქარი და პატრიოტი, თავგანწირული მებრძოლეები დაუპირისპირა.

დავით აღმაშენებელმა „ქმნა წყობანი დიდნი“ და ისე მედგრად შეუტია მტერს, რომ სწრაფი წარმატება მოიპოვა („ადვილად და მოსწრაფედ, ხელთ უხსნა ღმერთმან საკვირველებათამან“). „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ თვალსაჩინოდ აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. იგი არ ჰგავდა სხვა მხედართუფროსებს, რომლებიც, წესისამებრ, ლაშქარს უკან უდგანან და იქიდან აძლევენ განკარგულებას მეომრებს. დავითი „უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომი, შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი - და



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

მო იქცეოდა“... იმ დღეს დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოსულეს და „მეოთხესალა ზედა მჯდომიან სრულყო მის დღისა ომი“.

ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ძლევამოსილად გაიმარჯვა. „...თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“.


– ძალამ და თავგანწირვამ მთელი აღმოსავლეთ საქართველო გააერთიანა. ბატონო როინ, რა გულწრფელობით და სიამაყენით ჰყვებით ლომებრ ძლიერ და მამაცი მეფის ამბავს!.. შემდეგ რა იყო?!

– დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული 1104 წელს სრულიად საქართველოს დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრების მოწვევა. გარდა იმისა, რომ კრებას ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი უნდა განეხილა, მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი სხვა პრობლემებიც. კერძოდ, ირღვეოდა ხელდასხმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქონება, იყო „ჩჩვილთა ქალ-ყრმათა გვირგვინის კურთხევის შემთხვევები, მონასტერში იმართებოდა ვაჭრობა, რაც ქრისტიანული დოგმებით შეუფერებელი გახლდათ „წმინდა დანესებულებისათვის“ და სხვ.

„წმინდანი ეკლესიაში, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“, – გულისტკივილით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. საეკლესიო კრების „ძეგლისწერაშიც“ არაერთხელაა მითითებული, რომ ეკლესია-მოსანტრები თავს იჩენდნენ „სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბავაზაკთა შექმნითა“.

1104 საეკლესიო კრებას, მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული წესისამებრ, თავმჯდომარეობდა კათალიკოსი. საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე ჩანს დავით აღმაშენებლის მნიგნობართუხუცესი გიორგი მონაზონი. იგი „ძეგლისწერაში“ „კრების თვალად“ არის მოხსენიებული. მნიგნობართუხუცესი გიორგი მხარში ედგა დავით აღმაშენებელს სახელმწიფოებრივ და კულტურულ საქმიანობაში. იგი ქვეყანაში მიმდინარე ყველა დიდ გარდაქმნაში მეფის თანამზრახველი და თანამდგომი იყო. ყველა პრობლემა დანვრილებით („გამოწულიღვით“) განუხილავთ და გადაუწყვეტიათ. „ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“!.. დავით აღმაშენებელმა ეკლესია საბოლოოდ შემოიმტკიცა მას შემდეგ, რაც მნიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები გააერთიანა და მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სახელმწიფოში მეფის შემდეგ „პირველ კაცად“ აქცია.

– ეკლესია განიწმინდა, ზნეობა ამაღლდა, ეკლესიის მრევლი ერთიათად მომრავლდა, ქვეყნის გაერთიანების საქმეც წინ წავიდა!..



– წინ წავიდა და, თანაც როგორ!.. XII საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისა და შემოშენების საკითხმა. დავითმა საქართველოს ერთიან სამეფოს შემოუერთა სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.) და ლორე (1118 წ.). მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი და რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა. ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო.

– გამოდის, რომ საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

– დიახ, ასე იყო. ეს კი თავის მხრივ საჭიროებდა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო რეფორმებს. ქართველთა ლაშქრის კარგად განვრთნასთან ერთად, დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაღთა 40000 ოჯახი ჩამოასახლა, რომელთაგანაც 40000 მოლაშქრე შეიმატა და უკვე 1120 წლისთვის სამოციანთასიანი მუდმივი ლაშქარი შექმნა. ამას გარდა, დავით აღმაშენებელს ჰყავდა ხუთიათასიანი პირადი („მცველად მისად“) გვარდია „მონა-სპა“ („რჩეულნი და განსწავლულნი... მისანდომნი და გამოცდილნი სიმხნითა“). ქვეყნის ლაშქრის ერთ ნაწილს შეადგენდნენ „სამეფოსა სპანი“, რომელიც მუდმივი ლაშქრისაგან განსხვავებით იყო „ქვეყნითგან გამოყვანილი და ერისთავთა ქვეშე დანესებული“ (ვახუშტი ბაგრატიონი). განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ლაშქარს ემატებოდა „როქის სპა“ – უცხოელთა დაქირავებული ჯარი.

საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებითა და გააქტიურებით, ბუნებრივია, შეშფოთებული იყვნენ მაჰმადიანი მფლობელებიც. სათანადო მომენტს უცდიდნენ მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად... მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაცის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (1117–1131 წ.წ.) იყო.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

სომეხი ისტორიკოსის მატთეოს ურჰაეცის ცნობით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მო-

ლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი. დავითის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდეს უმრავლესობას (ორ მესამედს) სწორედ ქართველები შეადგენდნენ.

– და დადგა 12 აგვისტო, „ძღუვად საკვირველის“ ჟამი!..

– დიახ, თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. გოტიეს გამმოცემით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: „...მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტოთ“....

– შეუტიეს და, როგორც ჩვენი თაობის ერთი შესანიშნავი პოეტი ამბობს „ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით, ყველა ნაგებულ ომის მოგებას“ – ქვეყანას უძლეველობის გვირგვინი დაადგეს...

– მშვენიერი პოეტური სახეა, თქვენს გაზეთში წამიკითხავს... უნდა დაგიზუსტოთ, რომ ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა – ან გამარჯვება, ან ზურგმუქცეველი სიკვდილი. ამგვარი ქცევა საერთოდ ქართველებისთვის ნორმა გახდა და უკვე შემდგომი დროის ისტორიკოსები მას წარმოგვიდგენდნენ, როგორც დაკანონებულ წესს: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შევაქციოთ დაღათუ იყოს სიკუდილი“. დიახ, ზურგმუქცევლობა ოდითგანვე მოსდგამდათ ქართველ პატრიოტებს და როცა ჟამთა აღმწერელი ამბობს „არა არს წესიო“, იქნებ სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდეგ პერიოდს გულისხმობს იგი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ლაშქრის სარდლობის მიერ გატარებული სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეებისა და მეზობლთა თავგანწირული შემართების წყალობით დიდგორის ბრძოლა სამი ჟამი (საათი) გაგრძელებულა... მტერი სასტიკად დამარცხდა.



დიდგორის ბრძოლის წარმატებით მოგების შემდეგ „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“...

ამგვარად, თბილისი 1122 წელს იქნა შემოერთებული და საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანეს.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მომძლავრების საქმეში. XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სოფლის მეურნეობამ და ხელოსნობა-ვაჭრობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

დავით აღმაშენებლის დროს ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლა მის განახლება-კულტურაშიც გამოიხატა. აქ მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მაჰმადიანური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. განვითარდა საერო ლიტერატურა, ამკარად შეიმჩნეოდა მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრების აღმავლობა.

დავით IV აღმაშენებელი მაღალი განათლების მნიგნობრობით გამოირჩეოდა.

ნიგნი მისი მუდმივი თანამდევი მეგობარი იყო. „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ გვაუწყებს, რომ რაგინდ მნიშვნელოვანი საქმით არ უნდა ყოფილიყო დაკავებული მეფე, ყოველთვის „ნიგნი აქუნდან ხელთა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გაკვირვებულია მეფის გულმოდგინებით. იგი გადმოგვცემს რეალურ ფაქტს, როდესაც დავით აღმაშენებელი („საცნაურმყოფელი ნიგნთა სიყვარულისაჲ“) გულმოდგინედ კითხულობდა „ნიგნს სამოციქულოს“. მეფეს ჩვეულებად ჰქონია, როცა კითხვას დაამთავრებდა ნიშანს დაუსვამდა „ბოლოსა ნიგნისასა“. წლის ბოლოს დაუთვლიათ ეს „ნიშნები“ „ოცდაოთხჯერ წაიკითხა“. მეფეს საომრადაც კი მიჰქონდა ნიგნების გარკვეული რაოდენობა, რომელსაც შესაძლო დროს გულმოდგინედ კითხულობდა. „ქართლის ცხოვრება“ აგვიწერს, რომ თურქთა ერთ-ერთი შემოსევის დროს, როცა მეფე საომრად გაემზადა, თან წაიღო „თანა წარიტანა ნიგნი ღმრთისმეტყველი“. მეფე მტერს არ ელოდა და „შეექცა კითხვასა“. მეომართა ხმაზე „მყის დაუტევა ნიგნი მუნვე“ და ბრძოლაში წარმატებით შევიდა. ერთი სიტყვით, ნიგნი დავით IV აღმაშენებლის განუყოფელი ატრიბუტი იყო. მნიგნობარი მეფე ერის განათლება-



ზეც ზრუნავდა. სომეხი მემკვიდრის ვარდან არეველცის ცნობით დავით აღმაშენებელს ორმოცი ბავშვი აურჩევია და სწავლის მიღების მიზნით საბერძნეთში გაუგზავნია, „რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები“.

საქართველოს მეფის მცდელობით საქართველოშიც დანიან-ურებული იყო სწავლა-აღზრდის საქმე. სკოლები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა; სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკას, ქართულ მწიგნობრობას. დაარსებული იქნა გელათისა და იყალთოს სასწავლო აკადემიები (უნივერსიტეტები). დავით აღმაშენებელი ყურადღებას აქცევდა ქართული კულტურული ცენტრების გამოკვლევებს საზღვარგარეთაც.


მწიგნობარი მეფე თავად არის ავტორი შუა საუკუნეების ბრწყინვალე ძეგლისა „გალობანი სინანულისანი“. საგალობელი ზოგადსაკაცობრიო სევდას შეიცავს. დავით აღმაშენებელი თავს ადარებს უდიდეს ცოდვის ჩამდენთ და გამოთქვამს აზრს, რომ არ არსებობს დანაშაული, მის სულს რომ არ ამძიმებდეს. თავის ასეთ დამდაბლებაში გამოვლენილია ზრდასრული ადამიანის ეთიკური მრწამსი. „გალობანი სინანულისანი“ სწორედ ცოდვაა დაძლეული და ადამიანის სრულქმნის რწმენა გამოსჭვივის.

დავით IV აღმაშენებელი, როგორც ჭეშმარიტი მწიგნობარი, მთელი არსებით იყო მიცემული პოეტურ შემოქმედებას და თავისი ნიჭიერების მაღალი პროფესიული დონე წარმოაჩინა.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში არაერთი უმაღლესი სკოლა და აკადემია ყოფილა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათს უკავია. დავითმა 1106 წელს „მოიგონა აღშენება მონასტრისა“ და „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა“ ააგო ტაძარი, რომელიც იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნული“. ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნდა ქართული განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია.

XII საუკუნის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები სხვაც იყო. უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა იყალთოში – იყალთოს აკადემია, რომლის დამაარსებელი და პირველი მოძღვართმოდღვარი იყო არსენ იყალთოელი.

დავით აღმაშენებელი თავის ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და მთელი სიცხადით გამოხატავდა ფეოდალური კლასის ინტერესებს, უკუაგდებდა დრომოჭმულს და ნერგავდა ახალს. მისმა ნამოღვაწარ-ნამოქმედარმა უდიდესი გავლენა იქონია არა მარტო საქართველოს მომავალ ისტორიულ ბედზე, არამედ საერთოდ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის შემდეგ



მსვლელობაზე. მან პრაქტიკულად მთელი კავკასია გააერთიანა, დავით აღმაშენებლის ხანა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში შევიდა როგორც დიდი გარდატეხის პერიოდი – პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა.

1125 წლის 24 იანვარს, ორმოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა ოცდათექვსმეტი წელი საქართველოს მეფედ ყოფილი (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა), „მესიის მახვილად“ შერაცხილი დავით IV აღმაშენებელი. იგი დაკრძალულია მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე, რომელიც მონასტრის ძველი, ჩრდილოეთის შესასვლელის იატაკზეა დაგებული, ასეთი ზედწერილია:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი
უკუნითი უკუნისამდე; ესე მთნავს:
აქა დავემკვიდრო მე“.

ესაუბრა
სპარტაკ ქობულია.

დავით აღმაშენებლის დღე
მახვილი მესიისა

26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) საქართველოს დიდი პოლიტიკური მოღვაწის წმიდა მეფე დავით IV აღმაშენებლის (1073–1125 წ.წ.) მოხსენიების დღეა. XII საუკუნე ესაა პერიოდი, როცა საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, გამთლიანდა და უდიდეს წარმატებას მიაღწია. ეს პერიოდი „ოქროს ხანადაა“ მიჩნეული. საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგანამდე. დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებების (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო და სხვ.) შედეგად საქართველო დანიხაურდა და ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

წოდება „აღმაშენებელი“ (ქართველი მეფეები სხვადასხვა წოდება-ეპითეტებით არიან ცნობილნი: დიდი, თავდადებული, ბრწყინვალე, კისკასი, კეკელა, რეგვენი, მცირე, ავი და სხვა), საქართველოს ისტორიაში ერთადერთს – დავით IV-ს ხვდა. „...მეფე-



სა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ იქმნა მეფედ იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი; ამან განავსო და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მონყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“... (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, - თბ., 1973, გვ. 163).

ამგვარად, XI საუკუნის 80-იან წლების ბოლოს საქართველოს მოეგლინა პიროვნება (მეფე), რომელმაც შეძლო დაქსაქსული მოსახლეობის მობილიზება, მომხდური მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე დაყენება. ამას მოჰყვა დიდი გარდაქმნები, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღორძინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მაღალი განათლების მქონე მეფის მიერ გელათის აკადემიის (უნივერსიტეტის) დაარსებას (1106 წ.). ამ საქმეთა შემოქმედი დავით IV თანამედროვეებმა და შთამომავლობამ აღმაშენებლად აღიარა და წმინდანად შერაცხა;

1121 წლის 12 აგვისტოს უდიდეს გამარჯვებას („ძლიევი საკვირველი“) მიაღწია დიდგორთან – დაამარცხა მუსლიმთა ძლიერი კოალიციური ლაშქარი.

საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო: „მეორესა წელსა (1122 წ. – რ. მ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თუსთა საჭურჭლედ და სახლად თუსად საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება, - თბ., 2008, გვ. 326).

დიდგორის ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი სამხრეთ კავკასიის მიწები, საერთაშორისო სავაჭრო გზები და ქალაქები საქართველოს საზღვრებში მოექცა. ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულთშემწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, მეტად უჩვეულო მოვლენა იყო. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერქმნილი“.

დავით აღმაშენებლის („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“) მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები და საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სახელმწიფოდ აქცია.

...და აჰა, შესრულდა 950 წელი „მესიის მახვილის“, წმიდა დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან... საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულმა კომიტეტმა 7 თებერვალს გამართა დავით აღმაშენებლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია!

იმედია, ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეს თავყრილობა დიდ სტიმულს მისცემს ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ქართველ საზოგადოებას, 2023 წლის განმავლობაში ფართოდ აღნიშნონ დიდი დავით აღმაშენებლის საიუბილეო თარიღი!

საქართველოსა და მთელი კავკასიის პირველი გამაერთიანებლის სახელს მეტი ღირსებითა და პატივით უნდა მოვეპყრათ!

ეს ხვალინდელ დღეს სჭირდება!

როინ მეტრეველი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი



ლადო გინაშვილი

კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის, პორტრეტისათვის

ნიჭიერი, დიდად ერუდირებული, ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიკოსის კიტა აბაშიძის მთავარი ნაშრომი, როგორც ცნობილია, არის „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.

ეს ნაშრომი ინერბოდა წლების მანძილზე და მისი ნაწილები ისტამბუბოდა ქართულ პერიოდიკაში, ხოლო საბოლოოდ გამოქვეყნდა ორ წიგნად 1911-1912 წლებში, ქუთაისში.

ეს იყო ფაქტობრივად პირველი ნაშრომი, რომელიც ითვალისწინებდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმართულებათა ჩასახვა-განვითარების ისტორიას და ამ მიმართულებათა მთავარი წარმომადგენლების დახასიათებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკლოვანებათა გარკვეული სიმწვავეთი მითითება-ჩვენება უცხო არ იყო გარკვეული მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას (მაგ., გრიგოლ ორბელიანის სამოქალაქო ცხოვრებისა და პოეზიის ურთიერთშეუსაბამობა, პოემა „სადღეგრძელოს“ მხატვრული მხარე, ალ. ყაზბეგის პროზის, ენისა და საზოგადოდ სტილის უსწორობა-გაუმართაობა და ა.შ.) მკვლევრებმა ამ მხრივ მაინც გამოარჩიეს ეტიუდი გიორგი წერეთლის შესახებ. ლიტერატურის ისტორიკოსების ყველაზე მეტი კრიტიკა სწორედ გიორგი წერეთლის კ. აბაშიძისეულმა შეფასებამ დაიმსახურა.

ჩაითვალა, რომ კ. აბაშიძე პირდაპირ ბრალმდებლის როლს კისრულობდა გ. წერეთლის, როგორც მწერლის შეფასებისას, რომ იგი გ. წერეთლის თხზულებებში „საგანგებოდ ეძიებდა ნაკლოვანებებს და უსიამოვნებას ვერ ფარავდა, როცა ისეთ რასმე

შენვდებოდა, რასაც განქიქება არ უხერხდებოდა“ (დ. გამეზარდაშვილი, კიტა აბაშიძე და მისი ეტიუდები, წიგნში: კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. 1970, 57 გვ.).

ერთი სიტყვით, ეტიუდის წერისას კრიტიკოსი ობიექტურობას ვერ იცავდა, იყო თურმე ცალმხრივი, სუბიექტური, რაც ძირითადად ორი მიზეზით იყო განპირობებული: გ. წერეთლის „შედარებით სუსტი ბელეტრისტული ნიჭით“ და რაც მთავარია, „ცუდი დამოკიდებულებით კრიტიკოსსა და მწერალს შორის“ (დ. გამეზარდაშვილის დასახელებული ნარკვევი დასახელებულ წიგნში, გვ. 57. უნდა საგანგებოდ ითქვას, რომ პროფ. დავით გამეზარდაშვილმა 1962 და 1970




კიტა აბაშიძე

წლებში სათანადო ნარკვევის დართვით ორგზის გამოსცა ერთ წიგნად კ. აბაშიძის ეტიუდები... რითაც ხელმისაწვდომი გახადა იგი ყველა სპეციალისტისა და დაინტერესებული მკითხველისათვის).

მეორე ავტორი აკონკრეტებს ამ „ცუდ დამოკიდებულებას“: კიტა აბაშიძესა და გიორგი წერეთელს პოლემიკა ჰქონდათ, ძირითადად მაინც პოლიტიკური ხასიათისა. გ. წერეთელმა 90-იან წლებში მწვავედ შეუტია კ. აბაშიძეს იმ საყვედურის გამო, რომ გიორგი წერეთელი მე-3 დასელებმა მოარჯულეს, გადაიბირესო და სხვ. ამ ნიადაგზე მწერალმა კ. აბაშიძეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ისტორიის უცოდინარობაზე მიუთითა (ა. ჭილაია, გიორგი წერეთელი, წიგნში – ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 2003, 229).

მკვლევრის აზრით, ძირითადად ამან განსაზღვრა კ. აბაშიძის გიორგი წერეთლის შემოქმედების მიმართ ცალმხრივი, სუბიექტური დამოკიდებულება, დამცირება გიორგი წერეთლის სამწერლო ნიჭისა (დასახ. სახელმძღვანელო, 247).




კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ამგვარი ახსნა-
 ჯერ ერთი, მარტივი ახსნაა და მეორე, და რაც მთავარია, ასეთი ახ-
 სნა – კრიტიკოსსა და მწერალს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ
 ერთმანეთთან – ნებისთი თუ უნებლიეთ სერიოზულ ჩრდილს აყე-
 ნებს კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის, მკვლევრის სახელს.
 კიტა აბაშიძე თურმე გულში ირჩენს წყენას, ერთგვარ ბოლმას
 და მძიმე ავადმყოფობის გამო უდროოდ გარდაცვალებულ გიორ-
 გი წერეთელს (გ.წერეთელი 57 წლისა გარდაიცვალა 1900 წელს)
 მთელი 12 წლის შემდეგ ასე უსწორებს ანგარიშს, თურმე ნარკვე-
 ვის მიზანია, შური იძიოს კრიტიკოსმა მწერალზე, განაქიქოს მისი
 შემოქმედება.

საზოგადოდ, კ. აბაშიძე, აღზრდილი 60-იანელთა იდეებზე, რო-
 გორც ჭეშმარიტი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი, იმ
 პოზიციაზე იდგა, რომ მისთვის სრულიად მიუღებელი იყო პიროვ-
 ნულის გარევა ამა თუ იმ მწერლის ადგილის განსაზღვრისას XIX
 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ასეთია იგი ყველა მწერლისა და
 კერძოდ, გ. წერეთლის ღვანლის შეფასებისას. როგორ შეიძლება
 სუბიექტურობა, ცალმხრივობა დავინახოთ გ. წერეთლის იმ შეფა-
 სებაში, რომელსაც კრიტიკოსი თავიდანვე, ეტიუდის დასაწყისი-
 დანვე გვთავაზობს. კიტა აბაშიძე წერს: „გიორგი წერეთელს, რო-
 გორც ჟურნალისტს, პუბლიცისტს, ანდა უკეთა ვთქვათ, როგორც
 პუბლიცისტ-ბელეტრისტს, საყურადღებო ადგილი უჭირავს ჩვენს
 მწერლობაში, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. გიორგი
 წერეთელი თავდავინწყებული თანამშრომელი იყო მე-60 წლების
 ჩვენი მოღვაწე კორიფეებისა და როგორც ეგრეთი დაუვინყარი იქ-
 ნება ჩვენთვის. როგორც მწერალს მას გვერდს ვერ აუხვევს ვერ-
 ცერთი ისტორია ჩვენი ლიტერატურის, ვინაიდან მთელი მიმართუ-
 ლების გამომხატველია ჩვენს მწერლობაში“ (კ. აბაშიძე, ეტიუდები,
 1970, 322-323).

ამ სიტყვების ავტორის გიორგი წერეთელთან „ცუდ დამოკიდე-
 ბულებაზე“ საუბარი საფუძველს მოკლებულია. კ. აბაშიძის აღი-
 არებით, გ. წერეთელი „თავდავინწყებული“ 60-იანელია, კრიტიკოსი
 მოხიბლულია და მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის ჟურნალის-
 ტურ და პუბლიცისტურ ნიჭს და ღვანლს, მიაჩნია ახალი ლიტერა-
 ტურული მიმართულების – ნატურალიზმის – გამომხატველად, ამ
 თვალსაზრისით მწერლის ადგილს სამუდამოდ განსაზღვრულად
 თვლის ქართულ ლიტერატურაში.

კრიტიკოსის სერიოზულ შენიშვნებს ინვევს გ. წერეთლის, რო-
 გორც პროზაიკოსის ხელოვანება, მისი შემოქმედების მხატვრული
 მხარე. ამ თვალსაზრისით უნდა გარკვევით ითქვას, მისი ეტიუდი



გამოკვლევის დონეზეა შესრულებული, რადგან ყველა შენიშვნა თვალსაჩინოა და დასაბუთებული და ამ დასაბუთების უარყოფა არც არავის წარმოუდგენია ჩვენში.

ამდენად, კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ახსნა კრიტიკოსის „ცუდი დამოკიდებულებით“ მწერლისადმი გულუბრყვილო ახსნა იქნება კიტა აბაშიძის ეტიუდისა გიორგი წერეთელზე და საზოგადოდ, კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ შესაფასებლად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის ლიტერატურულ-კულტურული და პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიაც იქმნებოდა კიტა აბაშიძის ეტიუდები საზოგადოდ და კერძოდ, ნარკვევი გიორგი წერეთელზე.

საქმე ისაა, რომ გიორგი წერეთელი „თავდავინყებულები თანამშრომელი მე-60 წლებისა“ (კ. აბაშიძე), სრულიად ჭაბუკი მოღვაწეობას იწყებს ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“. აქ იბეჭდება მისი ცნობილი პირველი სტატია „ცისკარს რა აკაკანებდა“. ჟურნალის რედაქტორის ილია ჭავჭავაძის შემდეგ ამ ჟურნალში სწორედ გიორგი წერეთელი იყო ილიას თანამებრძოლი და თანამოაზრე.

როგორც აღნიშნავენ, გ. წერეთელს მაინცა და მაინც არ იზიდავდა მოწაფეობა და თანამებრძოლობა. მისი ბუნების შესაბამისად შემდეგ და შემდეგ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი მოღვაწის პროფილი და 70-იანი წლებისათვის თავის გარშემო შემოიკრიბა „ახალი ახალგაზრდობა“, რომელიც მეორე დასის სახელითაა ცნობილი. გიორგი წერეთელი გამოირჩეოდა „მისთვის ჩვეული სიახლის გრძნობით... ახალი აზრები... და განწყობილებები მაგნიტივით იზიდავდა მის სულსა და გულს. ცხოვრების განვითარებით გამოწვეული მოთხოვნილებების პასუხის გაცემის საჭიროებით არის გაპირობებული ყოველთვის გიორგი წერეთლის ყოფნა ახალი იდეების სათავეებთან“ (ა. ჭილაია, გიორგი წერეთელი, წიგნში „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, II ტ. 2003, 242). გ. წერეთლის ბუნების ამ თავისებურებით იყო დაპირობებული, რომ 1893 წელს მან ცოლის, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის სახელზე დააარსა გაზეთი „კვალი“, რომელშიც ფართოდ გაულო კარი პირველ მარქსისტებს საქართველოში – სოციალ-დემოკრატებს. მართალია, გ. წერეთელი 60-იანელად დარჩა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატებისადმი დიდი სიმპათიები გამოავლინა და ბოლოს, 1898 წლიდან „კვალი“ მთლიანად მათ დაუთმო.

ბუნებრივია, გ. წერეთლის ასეთი არასიმყარე, მარქსისტებთან დაახლოება არ მოსწონდა მის უფროს მეგობარს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იყო ერთიანი, მყარი და მთლიანი პიროვნება, როგორც

18450



„ოქროს ზოდი“ (ვაჟა) და უნებურად მათ შორის ურთიერთობაც
იძაბებოდა.

90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, თანდათანობით ილია
ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის“ გარშემო დაპირისპირების ჟინი
გამომჟღავნებდა ახალგაზრდების იმ ნაწილმა, რომლისთვისაც გა-
მალიზიანებელი აღმოჩნდა მწერლის დიდი ძალა და ავტორიტე-
ტი. ეს ახალგაზრდები დადგინებას აპირებდნენ და სწორედ ილია
ჭავჭავაძის ეროვნულ იდეალებთან დაპირისპირება სცადეს სო-
ციალურ-პოლიტიკურ სფეროში. ესენი იყვნენ სოციალურ-პოლი-
ტიკურ ასპარეზზე გამოსული ან ამ ხასიათის მოძრაობას მიტმას-
ნილი ადამიანები, რომელთათვისაც გაუგებარი იყო ილიას დიდი
ღვანული და მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის; უცხოეთში ნამყოფნი
ზოგი მათგანნი, უცხოეთში განვრთნილნი, ქართულ ნიადაგს მოწ-
ყვეტილნი ნამდვილ ეროვნულ სატივიარს ვერც ხედავდნენ და
არც დანახვის დიდ სურვილს ამჟღავნებდნენ. უცხოეთში უფრო
ყურმოკვრით გაგონილი და შეთვისებული აზრები მექანიკურად
გადმოჰქოდათ ჩვენში. ილია ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის“ მოღ-
ვაწეობა მათ მიერ ფასდებოდა როგორც ნაციონალისტური.

ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ასეთთა მიმართ, ხოლო მისი
ასეთი უკომპრომისობა კიდევ უფრო აღიზიანებდა მათ და შურის-
ძიების სურვილს უმძაფრებდა.

სწორედ გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალში“, ხოლო მოგვიანე-
ბით გაზეთ „მოგზაურში“ იბეჭდებოდა ცილისმწამებლური, დემა-
გოგიური წერილები ილიას „ივერიის“ წინააღმდეგ.

90-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიიდან“ „ახალ-
მოსულის“ ფსევდონიმით დაბეჭდა წერილები, რომლებშიაც იგი
კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა იმ შეხედულებებს, რომლებიც
ეროვნულის უგულვებელყოფით და საყოველთაო ბედნიერების
ცრუ ქადაგებით იყვნენ განმსჭვალულნი.

მარქსისტი პუბლიცისტები და კრიტიკოსები ხელოვნურად
უპირისპირებდნენ ილიას, დიდი მწერლის სახელს გიორგი წე-
რეთელს და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებდნენ, მას
განადიდებდნენ ილიას სახელის დაკნინების ხარჯზე. ისინი პო-
ლემიკაში გიორგი წერეთელსაც იყოლიებდნენ. ასე მაგალითად,
1894 წელს ჟურნალ „მომამბეში“ (1) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავა-
ძის მოთხრობა „უცნაური ამბავის“ დასაწყისი. ბუნებრივია, ამა
თუ იმ თხზულებაზე აზრი რომ გამოითქვას, რომ შეფასდეს იგი,
ჯერ უნდა დასრულდეს მისი ბეჭდვა, მთლიანი ნაწარმოები უნდა
გაიცნოს მკითხველმა და შემდეგ დაინეროს მასზე განხილვა. მაგ-
რამ გიორგი წერეთელმა მხოლოდ ამ გამოქვეყნებული ნაწილით





სცადა ილიასთვის, როგორც მწერლისთვის, განაჩენის გამოტანა. გიორგი წერეთელი რეცენზიაში წერდა: „მინურში გამოჩეკილი პედაგოგ-ფილოსოფოსი თავისსავე შესაფერის ფილოსოფოს ყრმას ჰპოებს აღსაზრდელად. ჯერ ექესი წლისაც არაა და ასეთ ფილოსოფიურ კითხვებს იძლევა, რომ დარვინიც განცვიფრდებოდა მის მოქმედებაზე.“

„ივერიის“ კრიტიკოსი გვაფრთხილებს, ჯერ არ გაბედოთ რაიმე თქვათ ისეთი მწერლის ნაწარმოებზე, რომელსაც მთელის ერის მაჯა ხელში აქვს. რაც მან შექმნა „გლახა ჭრიაშვილი“, ჩამოქვეითება დაეწყო. თუ ოდესმე სჭერია მას ხელში საქართველოს ერის მაჯა, ამის შემდეგ ვეჭვობ, ხელიდან გავარდნია და ვერ უპოვია იგი“ (კრებული, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, შეადგინა ი. ბოცვაძემ, II, 1958). როგორც ვხედავთ, გ. წერეთლის მიხედვით ოთარაანთ ქვრივი კი არაა ილიას ნიჭის საზომი, არამედ „სცენები გლახთა განთავისუფლების პირველი დროიდან“, ამ სცენების პერსონაჟი გლახა ჭრიაშვილი.

პოლემიკაში არც ილია აკლებს გ. წერეთელს ხელს. მის ერთ მოთხრობაზე ილია ამბობს: ერთი ღირსება აქვს გ. წერეთლის მოთხრობას, როგორც კი ხელში აიღებთ, მაშინვე გადაგდება მოგინდებათო. გიორგი წერეთელი იქამდეც მიდის, რომ საერთოდ ილია ჭავჭავაძის რეალისტობას აყენებს ეჭვს ქვეშ. იგი წერს: „ხელოვნურ ლიტერატურაში ილიამ დაამკვიდრა სენტიმენტალისტურ-ტენდენციური მიმართულება და მისი ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურებს წარმოადგენენ ქართველი მებატონისას და ქალბატონის ტიპებისას, ვიდრე ხელოვნური ხერხით წარმოშობილ ცოცხალს ერთნაირ ბუნებისა და გარემოებაში შექმნილ ტიპიური არსებებისას.“ (კ. აბაშიძის და სახელებული ნიგნი, 323). გიორგი წერეთლისავე განცხადებით, მას და მის დასს შემოუტანია ხელოვნურ ან სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში „ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი“ (კ. აბაშიძე, დასახელებული ნიგნი, გვ. 323). გიორგი წერეთელი, კიბა აბაშიძის თქმით, კიდევ უფრო შორს მიდიოდა, „ჩემულობდა ჩვენს ლიტერატურაში პირველ რეალისტობას“, იხ. გაზეთი „კვალი“, 1897, 46 (კ. აბაშიძის დასახ. ნიგნი).

ილიას გარშემო კი ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. 1898 წლისათვის გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან 40 წლის იუბილეს გამართვა. მართალია, ეს იუბილე საბოლოოდ ჩაიშალა და ამ მხრივ ხელისუფლებასთან ერთად, რომელმაც მეტისმეტი სიფრთხილით მიზანშეუწონლად მიიჩნია ამ იუბილეს გამართვა, იუბილეს ჩაშლას თვითონ ილიამაც შეუწყო ხელი. მართალია, ილიას



ძალიან უყვარდა სხვათა დაფასება და აღიარება, ეს ეროვნულად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, საკუთარ თავზე საგანგებოდ არ ზრუნავდა. ალბათ საკუთრივ მასაც რომ მოენდომებინა, იუბილეს წინ არაფერი დაუდგებოდა. იუბილეს სამზადისისას დაიბეჭდა მიხეილ ნასიძის (მე გახლავარ ის) წიგნაკი ილია ჭავჭავაძეზე, სადაც საინტერესოდ იყო მოთხრობილი ილიას ცხოვრებისა და ღვანლის შესახებ, სათანადოდ იყო შეფასებული მისი, როგორც დიდი რეალისტი მწერლის შემოქმედება.

მიხეილ ნასიძის წიგნის საპასუხოდ გამოქვეყნდა ფილიპე მახარაძის სტატია „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, სადაც ის იყო ნათქვამი, რომ ილია ჭავჭავაძე კი არა, დანიელ ჭონქაძე იყო პირველი რეალისტი მწერალი, ვინც გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ. პირველობა მას ეკუთვნოდა და არა ილია ჭავჭავაძეს. ერთი სიტყვით, 60-იანი წლები დანიელ ჭონქაძის და არა ილიას ეპოქად ცხადდებოდა, მთავარ ნაწარმოებად „სურამის ციხე“ და არა „კაცია-აღამიანი?!“ ან „გლახის ნაამბობი“, რომ არაფერი ვთქვათ პოემა „აჩრდილი“, რომელიც 1859 წლის იანვარში უკვე დაწერილია და რომელიც ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებთაგან სანიშნოდ ითვლება. ფაქტობრივად, ილიას დასახელებული ორი მოთხრობის პირველი ვარიანტები 1859 წელსაა შექმნილი, ხოლო, რაც შეეხება „სურამის ციხეს“, იგი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ-1860 წელს, გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“. ილიამ კი აჩრდილის დაბეჭდვა გარდა მე-5 თავისა („ჩემო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ“) ვერასგზით ვერ მოახერხა. ხოლო, მოვთხოვით ილიას ბატონყმობის წინააღმდეგ გალაშქრება 50-იან წლებში, როცა ჯერ იგი ყრმაა, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, მოვთხოვით ფილიპე მახარაძეს, რომელმაც ხეირიანად წერა-კითხვაც კი არ იცის, ილია ჭავჭავაძეობა.

როგორც ცნობილია, 1900 წელს გარდაიცვალა გიორგი წერეთელი, რომლის საფლავზეც ისევ გაგრძელდა მისი სახელის განდიდება ილია ჭავჭავაძის სახელის დაკნინების ხარჯზე. ამასთანავე, გრძელდებოდა უფრო მწვავე პასკვილების გამოქვეყნება ილიაზე.

ილია ჭავჭავაძე კამათში შეუვალად იცავდა პიროვნული შეუხებლობის პრინციპს, რასაც ვერაფრით ვერ ვიტყვით საერთოდ მის მოწინააღმდეგეებზე, ამ შემთხვევაში კი სოციალ-დემოკრატებზე. როგორც კრიტიკოსი ი. ვართაგავა წერს: „კვალელები“ სასტიკად და უსამართლოდ ილაშქრებდნენ ილიას წინააღმდეგ. ბრძოლის ჟინმა ისე დააბრმავა „კვალელები“, რომ ილიას საჯაროდ აშკარად „საქვეყნოდ რეაქციონერს უწოდებდნენ, თანამედროვე ლუარსაბ თათქარიძედ ჩათვალეს“ (იხ. ვართაგავა, წერილე-



ბი და მოგონებები, 1975, 140). ილიას აუღელვებლობა, სულიერი წონასწორობა, მისი საპოლემიკო წერილების ტონი სამაგალითო იყო. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კამათის დროს „ივერიის“ თანამშრომლები თხოვდნენ ილიას, ნება მიეცა მათთვის კამათში ჩარევისა. ილიამ მათ აუკრძალა კამათში მონაწილეობის მიღება. თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ ჩვეულებრივის მონდომებით, პასუხის გამცემნი მოიძებნებიანო. განსაკუთრებით უკრძალავდა ილია თურმე კამათში ჩაბმას ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც თავს ვერ შეიკავებდნენ და სათქმელს ვერ მოზომავდნენ. საყურადღებოა, რომ ვაჟა-ფშაველასაც მოუსურვებია რამდენიმეჯერ კამათში ჩაბმა, ილიას სახელის დაცვა, მაგრამ ილიას არ ურჩევია, პრაქტიკულად არ დაურთავს მისთვის ნება (იბ. ვართაგავა, დასახ. წიგნი, გვ. 141).

900-იან წლებში, კერძოდ კი, 1905 წლის მღელვარების ყამს ილიას წინააღმდეგ დაიბეჭდა აშკარად დემაგოგიური, წამქეზებლური წერილები, რომლებშიაც ილია შეუწყნარებელი სიტყვებით იყო მოხსენიებული. ყოველივე ამან, ამდენი გესლის ნთხევამ ერის თავკაცის მიმართ სახიფათო მდგომარეობა შექმნა ილიას გარშემო, მაგრამ როგორც ი. იმედაშვილი ამბობს, „ასეთ ბოლოს მაინც არავინ ელოდა“. სოციალ-დემოკრატიმა ტერორისტებმა ილია სასიკვდილოდ გაიმეტეს. ქართველმა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა, რომელიც ადრე ილიას „ივერიაში“ თანამშრომლობდა, ხოლო შემდეგ იქიდან წასული სოციალ-დემოკრატი გახდა და ილიას ეკამათებოდა კიდევ, თავზარდაცემულმა დიდი მოძღვრის სიკვდილით მკაცრად ამხილა მკვლელები და დაუყოვნებლივ დატოვა ეს პარტია. იგი თავის მეგობარს ვალერიან გუნიას წერდა: „ანი თუ მივბრუნდები მათკენ, მხოლოდ იმიტომ, რომ შევაფურთხო მათ“.

მთელ ქართველობასთან ერთად ილიას მკვლელობა მწარედ განიცადა ილიას თავყვანისმცემელმა ქართველმა ინტელიგენციამ. ილიას გლოვის დღეებში ცხადად გამოიკვეთა ერთი აზრი; მონინავე ქართველმა საზოგადოებამ საკუთარ დანაშაულადაც აღიქვა ილიას მკვლელობა, ეს საშინელი ფაქტი ჩვენმა ერთგვარმა გულარხეინობამაც გამოიწვია. ყველაზე მწვავედ ეს აზრი გამოთქმულია კიტა აბაშიძის პუბლიცისტურ წიგნაკში „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“. „ჩვენ მიგვაჩნია, – წერდა კ. აბაშიძე, – ამ ბოროტების მონაწილედ ილიას თავყვანისმცემელთა ჯგუფები და პარტიები. მათ ამ საშინელი მოქმედების დროს პილატეს როლი აღასრულეს.. რომ რომელიმე მოქმედ ჯგუფს ულტიმატუმი წამოეყენებინა, რომ ილიას ხელის შეხება არავის ეპატიებო, ჩვენ გადავირეცხავდით სამარადისო საშვილიშვილო სირცხვილს“ (კ. აბაშიძე, „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“, 1991, გვ. 33).



სწორედ ასეთ ლიტერატურულ-კულტურულ და პოლიტიკურ ატმოსფეროში იწერებოდა და საბოლოოდ გამოსაცემად გამზადდა კიტა აბაშიძის "ეტიუდები". წიგნში ავტორმა მაღალ დონეზე გაიაზრა ილია ჭავჭავაძის, ყველაზე დიდი რეალისტის, შემოქმედება, საგანგებოდ წარმოაჩინა მისი მაღალი ოსტატობა. ეტიუდში გიორგი წერეთელზე, ბუნებრივია, კიტა აბაშიძე დაუპირისპირდა მომეტებულად მარქსისტი კრიტიკოსების შეხედულებებს, რომლებშიც დაუსაბუთებლად განცხადებების სახით განდიდებული იყო მისი პროზა, ჩათვლილი იყო იგი ყველაზე დიდ რეალისტად ქართულ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ილიას დაჩრდილვის მიზნით. ამ შემთხვევაში კ. აბაშიძეს პირადი წყენა, სუბიექტური დამოკიდებულება კი არ ამოძრავებდა, კარგა ხნის წინ გარდაცვლილი მწერლის, ერთი თავგანწირული 60-იანელის მიმართ, არამედ ის, რომ თავის ეტიუდებში გიორგი წერეთლისათვის მიეჩინა მისი ნამდვილი კუთვნილი ადგილი ჩვენი ლიტერატურის მსვლელობაში" (კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, 1970, გვ. 352). კ. აბაშიძემ თვალნათლივ უჩვენა, რომ გ. წერეთელი, როგორც მწერალი-პროზაიკოსი, კი არ აღემატება თავის დიდ თანამედროვეებსა და თანამებრძოლებს – ილიასა და აკაკის, არამედ თავისი მწერლური ტალანტით დიდად ჩამოუვარდება მათ; გ. წერეთელი სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის რეალისტური სკოლის ერთი პირველი წარმომადგენელი იყო, რომელსაც, უნდოდა თუ არა ამის აღიარება, მწერლური პოზიციით, ხედვით პერსონაჟების განსახიერების, დეტალიზაციის მხატვრულ საშუალებათა მომარჯვების თვალსაზრისით ილიას დიდ ზემოქმედებას განიცდიდა.

სავსებით გასაგები უნდა იყოს, გავრცელებული წინასწარ განზრახვით ლამის დამკვიდრებულ მცდარ, ცალმხრივ შეხედულებას რომ დაუპირისპირდე, მცდარი განცხადებების სახით მოწოდებული აზრები რომ გაფანტო, საჭიროა კვლევა-ძიებით, არგუმენტებით გამყარებული თვალსაზრისის ყველაფრისთვის თავისი ადგილის მიჩენა. სწორედ ასეთი შინაარსისაა ეტიუდი გიორგი წერეთელზე. აქ კრიტიკოსის ყველა მოსაზრება გამყარებულია დასაბუთებით და საამისოდ უხვი მასალის მოხმობით მწერლის პროზაული თხზულებებიდან. ჩანს, ეტიუდის ასეთი ხასიათიც გახდა პირობა იმისა, რომ იგი ცალმხრივად და სუბიექტურად აღექვათ.

თუ რამდენად დამაჯერებელია კრიტიკოსის მიერ წარმოდგენილი საბუთები და რამდენად თვალსაჩინოა მის მიერ გ. წერეთლის პროზიდან მოხმობილი მასალა, ამის ცხადსაყოფად აქ მხოლოდ ორიოდ მაგალითს მივმართავთ;

ლიტერატურის თეორიიდან ცნობილია, თუ რა დიდი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მხატვრულ ტექსტში შედარებას, ეპითეტს და ა.შ. კიტა აბაშიძის აზრით, გ.წერეთელი ამ მხრივ მაინცა და მაინც არ ბრწყინავს, მისი შედარებები ხშირად ღარიბია და ერთფეროვანიც.

არაფერს ვამბობთ იმ „უნმანური“ (კ. აბაშიძე) შედარების შესახებ, რომელსაც მწერალი მიმართავს იმის საჩვენებლად, როგორ სწყურიათ გიმნაზიელებს გაიგონ საუკეთესო მასწავლებლის უმანსკის გონივრული გაკვეთილები, მაგრამ სხვა მასწავლებელთაგან გონებადაჩლუნგებულები ამას ვერ ახერხებენ.

კ. აბაშიძეს მოყავს შედარების მაგალითი „პირველი ნაბიჯიდან“. კრიტიკოსი წერს: „აი, დააკვირდით, როგორ აგვიწერს მწერალი ესმას პირველ გულის შეტოკებას: „ესმას ღრმად აღძრული გულის თქმანი ძალიან მიემსგავსებოდნენ ტყის ძღარბსა (ბუძგა), რომელიც დიდი კრძალვით გამოყოფს თუ არა წინა ფეხებს სასიარულოთ, უეცრივ დაფრთხება მოულოდნელი ფოთოლთ შრი-ალით და ისევ შეიკუმშება თავის ეკლიან სამოსელში“. მოტანილ მაგალითს ახლავს კრიტიკოსის ასეთი კომენტარი: „სიყვარული, თვით უმშვენიერესი გრძნობაა ჩვენს ცხოვრებაში. მისი პირველი გაფურჩქვნა, ისიც ახალგაზრდა ქალის გულში, უდიადესი და ულამაზესი წამია, ყოველი პოეტის საგალობელი, და გ. წერეთელს კი ამის დასახატად და შესადარებლად „ტყის ძღარბზედ“ უკეთესი ველარა უშოვია რა. ამ ტლანქ და უხეშ შედარებას განმარტება აღარ ეჭირვება“ (კ. აბაშიძე, „ეტიუდები“.. 1970, 345 გვ.).

ალბათ მკითხველი უნდა დაეთანხმოს ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსის ამ შენიშვნას.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, თუ რა მხატვრული ძალით ამკვიდრებს ქართულ რეალისტურ მწერლობაში დიდი ილია სინამდვილის განსახიერებისას დეტალიზაციის გზას და თუ როგორ დღემდე დაუძლეველ სიმალლედ რჩება იგი ამ მხრივ ქართულ მწერლობაში. საკმარისია ამ მხრივ გავიხსენოთ მისი მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“, კერძოდ, ლუარსაბის სახლ-კარის აღწერა იქნება ეს თუ ლუარსაბის, დარეჯანის, ლამაზისეულის პორტრეტები და ა.შ. გავიხსენოთ „ოთარაანთ ქვრივი“, საკუთრივ ოთარაანთ ქვრივის სახლკარის აღწერა, ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისის ამბავი და სხვ. (ვრცლად დეტალიზაციის შესახებ ქართულ მწერლობაში. იხ. გრ. კიკნაძე მეტყველების სტილის საკითხები, 1957 წ. თავი „გოგოლისეური ქართულ ლიტერატურაში“).

არ დარჩენილა ჩვენს მწერლობაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ პროზაიკოსი, რომელსაც ილიას ზემოქმედება არ განეცადა. რა-



საკვირველია, ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი გიორგი წერეთელი იყო. მანაც, ბუნებრივია, მიმართა დეტალიზაციის გზას. კიტა აბაშიძეს მოჰყავს მაგალითი „პირველი ნაბიჯიდან“, კერძოდ, მეორე თავიდან, სადაც გადმოცემულია, თუ რა ერგო ბახვას მამას ძმებთან გაყოფის შემდეგ: „ბახვას მამას ერგო ხუთი ქცევა სახნავი მიწა, შვიდი ქცევა ქოჩორა ტყე და ქცევა-ნახევარი დობილო (მაღლარი ვენახი). სახლებს შორის ბოსელზე მიდგმული ერთი ფიცრული ოთახი, რომელსაც ორი საჟენი სიგრძე ჰქონდა და საჟენ-ნახევარი განი, ერთი ხულა (პანია ბელელი), ერთი პატარა სალორე, ერთი ხბოიანი ძროხა, ცალი ხარი, ხუთი თხა, ორი თიკანი, ერთი ბოტი (დაკოდლილი ვაცი), ორი წლის ჭაკი კვიცი, ექვსი ქათამი, ერთი მამალი, ერთი ნეზვი ღორი, ორი ათნაფიანი ქვევრი, ორი ქოთანი, ხუთი ხის ჯამი, ერთი კარდალი (მორჩილი ქვაბი), ერთი კინთი, კბილებჩამტვრეული საჩეჩელი და ერთი ჩიხრიხი (ბამბის გასარჩევი)“.

მოტანილ ნაწყვეტს გ. წერეთლის ნაწარმოებიდან მოჰყვება ვრცელი კომენტარი კრიტიკოსისა, რომელსაც შემოკლებით აქვე წარმოვადგენთ: „ღმერთო ჩემო, თითქოს სტატისტიკური აღწერილობა ჰქონდეს მინდობილი მწერალს, ან და კომლების და მათი სარჩო-საბადებელის ადმინისტრაციულად ცნობაში მოყვანა. ყველაფრად ვარგა ეს ნაწყვეტი და არა მხატვრულ იარაღად, რომელსაც აზრად აქვს ბახვას მამის ავლა-დიდება თვალწინ დაგვიყენოს..

აბა, ახლა გადაათვალიერეთ „კაცია-ადამიანის?!“ და გინდ „ოთარაანთ ქვრივის“ მსგავსი ადგილები და ნახავთ, ვინ არის ნამდვილი რეალისტი, მათი ავტორი, თუ გ.წერეთელი, რომელიც ჩემულობდა ჩვენს ლიტერატურაში პირველ რეალისტობას (იხ. „კვალი“, 1897 წ., 46). საკმარისია ნიმუშად ავიღოთ ერთი ნაწყვეტი თათქარიძეების ოთახის აღწერილობისა, რომ ეს დიდი განსხვავება ყველასთვის ცხადი შეიქმნეს.. ავტორი საგანთა თვისების ჩამოთვლით თვალწინ გვიშლის გმირთა ზნე-ჩვეულებებსა და ყოფა-ცხოვრებას. მოქმედ პირთა დასასურათებლად სწორედ ის არის საჭირო ვიცოდეთ, როგორი წაღები აქვს, როგორი თუნგი, როგორი „შანდალი“ და არა ის, თუ რამდენი ტაშტი აქვს და გობი. ილიას ხერხი მხატვრული, ხელოვნური ხერხია. იგი მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს იძიებს. მისთვის ოთახის მოწყობილობას, გარეგან სახესა და შეხედულებას იმდენადაა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი პატრონის, ადამიანის სულისა და გულის გამომაჩინებელია. გ.წერეთელი კი ოთახს თვალს მოავლებს, დაინახავს, რომ ამდენი გობია, ამდენი კვერცხი თავზე აქვს მოლაგებული, ამდენი სულგუნი კიდია და დაინყებს ამის ჩამოთვლასა

და ანგარიშს, თითქოს ბოქაული იყოს და ვალში უწერდეს ქონებას უპირულ მოვალესაო“ (კ. აბაშიძე, ეტიუდები, 348-350).

კ. აბაშიძის სავსებით მართებული აზრით, ილიასთან აღწერა თვისობრივი შინაარსისაა, ხოლო გ. წერეთელთან ჩამოთვლა რაოდენობრივია და თვისობრივ ხასიათს ვერ იძენს.

კ. აბაშიძის ეტიუდიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძის პროზასთან შეპირისპირებით განიხილავს კრიტიკოსი გ. წერეთლის პროზის მხატვრულობას, მიზანი სავსებით ცხადია: გასწორდეს, როგორც ვაჟა იტყოდა, „მრუდედ ნაჩორგნი“ აზრები და ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთელს თავთავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გიორგი წერეთლის შემოქმედების მკვლევრები ფიქრობენ, რომ კიტა აბაშიძე თავის ეტიუდში ცალმხრივად მსჯელობს, მხოლოდ ნაკლებზე ამახვილებს ყურადღებას და არაფერს ამბობს მწერლის თხზულებათა ღირსებებზე. დავით გამეზარდაშვილის თქმით, კიტა აბაშიძემ გიორგი წერეთელზე შექმნილ ნარკვევში „მთელი თავისი ნიჭი გ. წერეთლის შემოქმედების სუსტი მხარეების წინ წამოწევისაკენ მიმართა. მან გვერდი აუარა გ. წერეთლის შემოქმედების ძლიერ მხარეებს, მის იდეურ შინაარსს, მის შემეცნებით ღირებულებას და მთელი ყურადღება მხატვრული ფორმის ხარვეზებზე შეაჩერა“. კ. აბაშიძე არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, რომ მწერალი თავის შემოქმედებაში „ეპოქის სრულ სურათს ხატავს, მოვლენებს დინამიურ განვითარებაში წარმოადგენს. დასკვნების გაკეთებას რთული და ახალი სოციალურ-პოლიტიკური პროცესის შესახებ არა თუ გაურბის, არამედ მეტად აშკარად გამოთქვამს. მისი მოთხრობები ანმყოსთან კი არ გვაჯაჭვავს, არამედ მომავალზე ფიქრისათვის განგვანყოფს და სხვ.“ (დ. გამეზარდაშვილი, დასახ. ნარკვევი დასახ. ნიგნში, გვ. 59). ამ ტიპის საყვედურს თითქმის ყველა მკვლევარი უყენებს კიტა აბაშიძეს. გარკვევით უნდა ითქვას, რომ საყვედური კრიტიკოსის მიმართ იდეებისადმი უყურადღებობის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. საქმე ისაა, რომ კიტა აბაშიძე კარგად ხედავს გ. წერეთლის თხზულებათა იდეურ მხარეს. კარგად იცის, რომ გ. წერეთელი ეპოქის სულს გრძნობს, ხედავს ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს და ა.შ., რომ საყურადღებო დასკვნებს აკეთებს ახალი სოციალური პროცესების შესახებ. მაგრამ კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ჟურნალისტურ-პუბლიცისტური პლანია მისი მოთხრობებისა; ხოლო რაც შეეხება გ. წერეთლის პუბლიცისტურ და ჟურნალისტურ დამსახურებას, როგორც იმთავითვე სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, კრიტიკოსი ძალაღ შეფასებას აძლევს. ამ მხრივ, კიტა



აბაშიძის აზრით, იგი, გ, წერეთელი, გვერდით უდგას ჩვენს მოდერნიზაციულ კორიფებს. კიბა აბაშიძე მწერალ გ. წერეთლის ნაკლოვანებებს წარმოაჩენს როგორც ხელოვანის, რეალისტი მხატვრისას; სწორედ ამ მხრივ უპირისპირებდნენ გ. წერეთელს დიდ ილიას და თავადღერებულად, ურცხვად წერდნენ გ. წერეთლის უპირატესობაზე „კვალის“ კრიტიკოსები.

კიბა აბაშიძე გარკვევით წერს: „ხელოვნური ქმნილება სრულიადაც არ გახლავთ არც პუბლიცისტიკა, არც ჟურნალისტიკა“, რამდენადაც „ჟურნალისტი და პუბლიცისტი მოვალეა აღნიშნოს ყოველივე ახალი მოვლენა ცხოვრებაში, განმარტოს იგი მოვლენა და გამოარკვიოს, ამდენად ეს პოეტს ან რომანისტს სრულიადაც არ მოეთხოვება და არცაა მისი საქმე. კიბა აბაშიძის მიხედვით პუბლიცისტურობა უცხოა შოთას უკვდავი პოემისათვის, ილიას დიდებული „განდეგილისათვის“, აკაკის ლირიკული პოეზიის შედევრებისათვის, „სულიკო“, „განთიადი“ და სხვ. (კ. აბაშიძე, ეტიუდები, გვ. 338).

კიბა აბაშიძემ, ბუნებრივია, იცის, რომ პუბლიცისტური გამიზნულობა ორგანული მხარეა დიდი მწერლების, რეალისტების, ილიასა და აკაკის მხატვრული შემოქმედებისა და ეს მათი ღირსებაა და არა ნაკლი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პუბლიცისტურობა მხოლოდ ამდიდრებს მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ მათ ქმნილებებს, მათთან არასოდეს არ ჩრდილავს პუბლიცისტურობა მხატვრულობას, რასაც როგორც კიბა აბაშიძე ფიქრობს, ვერ ვიტყვით გ. წერეთლის მოთხრობებზე, მასთან პუბლიცისტი ძირითადად ჩრდილავს მხატვარს.

თავისი მოსაზრებების არგუმენტების წარმოდგენამდე კიბა აბაშიძე საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს: „მიკერძოებით სჯა რომ არ შემწამოთო“, მაგრამ თუ ზოგიერთ მკითხველს მაინც დარჩება გამოკვეთილი ტენდენციის შთაბეჭდილება ეტიუდიდან უნდა ახსოვდეს, რომ ამ ეტიუდში გ. წერეთელი გულში ჩახვეულ წყენას და ბოლმას კი არ უხსნის გზას თავმწიროული ნი-იანელის მიმართ, რაც მას საზოგადოთაც არა აქვს, არამედ პათოსი ამ ეტიუდისა განსაზღვრულია კრიტიკოსის თაყვანისცემითი დამოკიდებულებით თავზე უკვე მონამის გვირგვინდადგმული ერის წინამძღოლის, დიდი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის მიმართ.

„გალაკტიონი უცენზუროდ“

(უჩვეულო ამბები გენიალურ პოეტზე)

ღიმილიანი, ირონიული, ზოგჯერ – ცინიკური და სკაბრეზული პოეტების მეფე – ასეთია მთავარი პერსონაჟი თეიმურაზ დოიაშვილთან თანაავტორობით დაწერილი ჩემი წიგნისა „გალაკტიონი უცენზუროდ“, რომელიც 2022 წლის გაზაფხულზე გამოიცა და მკითხველთა დიდი ინტერესი დაიმსახურა – თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ბესტსელერად იქცა. ცოტა ხნის წინ „გალაკტიონი უცენზუროდ“ ლიტერატურული პრემია „საბას“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა.

რით განსხვავდება „გალაკტიონი უცენზუროდ“ გენიალური პოეტის შესახებ დაწერილი სხვა წიგნებისგან?

უპირველესად, იმით, რომ ამ წიგნის იდეის ავტორი თავად გალაკტიონია, რომელსაც სურდა ერთად შეეკრიბა თავისი ეპიგრამები – ცენზურაგაუფლელი ლექსები. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, გალაკტიონს არაერთ სახუმარო ლექსსა და გამონათქვამს მიაწერენ. ხოლო ის, რასაც ჩვენ მოგიტხრობთ დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, ძირითადად, პოეტის ჩანაწერებს, აგრეთვე, სანდო მოგონებებსა და გადმოცემებს. ამბები საჭირო ფონს, ინფორმაციულ კონტექსტს ქმნის ეპიგრამების, მახვილსიტყვაობისა თუ არაორდინარული პერსონაჟის უცნაური ქცევის აღსაქმელად.

წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ გალაკტიონის ეპიგრამების მთავარი ობიექტი მეფისტოფელური ეპოქაა – დამთრგუნველი, მოძალადე, ფარისევლური და ცინიკური ერთდროულად. პოეტის კონკრეტული სამიზნე უკულტურობაა, სულიერების დეფიციტი, ობივატელთა თვითკმაყოფილება, უფრო ხშირად კი – კოლეგა-მწერლების არცთუ ღირსეული საქციელი – მათი დაუსრულებელი ინტრიგები.

ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის უცენზურო სტრიქონები ადამიანური გაღიზიანების, წყენის ნაყოფია და, ამდენად, სუბიექტურიც. ამიტომ მასთან სიტუაციები ჰიპერბოლიზებულია,



შტრიხები – გროტესკულ-სკაბრეზული. პოეტი ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც გაურბოდა ბილნსიტყვაობას. სკაბრეზსა და ინვექტივას მხოლოდ ეპიგრამებსა და სატირულ შაირებში მიმართავდა, როგორც ჟანრის დამახასიათებელ სტილურ ელემენტებს.

აღსანიშნავია, რომ წიგნს დამატების სახით ერთვის პოეტის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი სახუმარო ამბები, დიალოგები, ანექდოტები. ტექსტი გაფორმებულია გალაკტიონის ჩანახატებით.

წიგნზე მუშაობისას ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, საზოგადოებისთვის გაგვეცნო არა პარნასზე მდგომი გენიოსი, არამედ – გვეჩვენებინა გენიალური პოეტის, ზეციური, მიუწვდომელი გალაკტიონის ადამიანური მხარე, მისი ყოფითი, ყოველდღიური ცხოვრება, დამოკიდებულებები კოლეგა-მწერლებთან თუ ოჯახის წევრებთან, ახლო ნაცნობებთან თუ სრულიად უცნობებთან.

გვინდოდა მკითხველს სცოდნოდა, როგორია პოეტების მეფის ღვთაებრივი ირონია, რა ინვესს მის ირონიულ, ცინიზმამდე მისულ დამოკიდებულებს, ან როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდობიდანვე „სევდის მგოსნად“ მიჩნეული გალაკტიონის უბის წიგნაკში ვკითხულობთ ასეთ ფრაზას: „ცხოვრება არ ღირს თუ არ იცინე“...

წიგნში შეტანილი ამბების მნიშვნელოვანი ნაწილი გალაკტიონისა და მისი თანამედროვე პოეტების ურთიერთობებს ეძღვნება. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

ან სახე, ან ლექსი...

იოსებ გრიშაშვილი იმდენად პოპულარული პოეტი იყო, რომ პოეზიის მოყვარულთა ერთი ნაწილი მას თვით გალაკტიონზე მაღლა აყენებდა. იმასაც ამბობდნენ, გრიშაშვილმა ახალგაზრდობაში გავლენა იქონია გალაკტიონზე, გალაკტიონი მას ბაძავდაო.

გალაკტიონმა უსმინა ამ მოარულ ხმებს, ითმინა და ბოლოს ჭორ-მართალი ასე შეაჯამა:

ამ სიტყვით ვამთავრებ
 ამ ამბავს, ამ იგავს,
 ან ლექსი, ან სახე
 სოსოსას რა მიგავს!

გრიშაშვილი პატივს სცემდა, დიდად აფასებდა გალაკტიონს. ერთხელ, გამომცემლობაში შეხვედრისას, პირდაპირ უთხრა, სა-

ქართველოს პირველი პოეტი ხარო. ეამა გალაკტიონს. გრიშაშვილი
ლი კი შენიშნავს:

– უყვარდა დიფირამბები, ის ამის ღირსი იყო უეჭველადო.

კოლაუზი გადინადირა

ცისფერყანწელთაგან გალაკტიონისადმი სუბიექტური დამოკიდებულებით განსაკუთრებით კოლაუზი ნადირაძე გამოირჩეოდა. ახლადგამოსულ „არტისტულ ყვავილებს“ 1920 წელს კოლაუზი, არც მეტი და არც ნაკლები, „ესთეტიკური კულტურა“ და „მხატვრული სისწორე“ დაუწუნა.

გალაკტიონის მიუღებლობა და გაბიაბრუების სურვილი კოლაუს თანდათან მანიად ექცა. ჰყვებიან, რომ ბულალტერიაში ჰონორარისთვის მისულს მამის სახელი – მამას გალაქტიონი ერქვა, – ვერაფრით ათქმევინეს და ფულის აუღებლად გაბრუნდაო. ერთხელ სუფრაზე გალაკტიონის სადღეგრძელო შესთავაზეს. გაფიცხდა, ისევ გაქცევა დააპირა და იმითლა ჩაანყნარეს, მამათქვენის სადღეგრძელოს ვაპირებდითო.

გალაკტიონი ირონიით აღიქვამდა კოლაუს ქცევასაც, მის პიროვნებასაც და პოეტობასაც. შემორჩენილია მცირე ფრაგმენტი კოლაუზი ნადირაძისადმი გალაკტიონის გაუგზავნილი წერილისა, რომელშიც ვკითხულობთ:

– კოლაუ! თქვენ ტფილისში ხართ! მიიღეთ განდევნილი პოეტის სალამი! გალაკტიონ ტაბიძე გესალმებათ თქვენ, უდიდეს პოეტს საქართველოსას!

40-იან წლებში გალაკტიონს უბის ნიგნაკში ერთი უცნაური ჩანაწერი გაუკეთებია: ჩამოწერილია თორმეტი ცისფერყანწელის გვარი. ექვსს, გარდაცვლილებს, ხაზი აქვს გადასმული. იქვე რუსულად მინერილია: *День кончины одного из голуборожцев – Колау Надирадзе*; ცისფერყანწელთაგან ერთის – კოლაუზი ნადირაძის გარდაცვალების დღეო.

უცნობია, რატომ დაუსვა ჯვარი გალაკტიონმა ცოცხალ კაცს, რომელმაც მისი ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ კიდევ 31 წელი იცოცხლა, ღრმა სიბერემდე მიაღწია.

მანამდე, 1960 წელს კოლაუზი ერთი უკადრისი საქციელი ჩაიღინა – გალაკტიონის გარდაცვალების წლისთავზე „ნაკადულის“ მიერ გამოცემული პოეტის „ასი ლექსი“ ისეთი შეურაცხმყოფელი, ალაგ უხამსი მინაწერებით ააჭრელა, რომ ცოცხლად დაიმარხა თავი.

1934 წელს რუსულ ენაზე წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით გალაკტიონი მაშინდელ ლენინგრადს (პეტერბურგს) ესტუმრა. ერთხელაც პოეტი ქუჩაში ასეთ სურათს გადააწყდა: სამ მილიციელს დაკავებული მეზღვაური განყოფილებაში მიჰყავდა. უცებ საიდანღაც მოვარდა მეორე მეზღვაური, ჩემს ძმას არ დაგანებებთო, — იყვირა და მეგობარი გამოსტაცათ.

— გესმით, რა თქვა და რა ქნა?! — მიუბრუნდა აღელვებული გალაკტიონი თანამგზავს, — ეს მხოლოდ მეზღვაურს შეუძლია! დარწმუნებული ვარ, მხოლოდ გუშინ ჰყავდა გაცნობილი!

პოეტს უეცრად სახე მოედრუბლა, ყრუდ ამოთქვა:

— მე კი... მე რომ ასეთი რამე შემემთხვეს, ზოგიერთი ჩემი სიყრმის მეგობარი მწერალი იყვირებს — მოგვაშორეთ, წაიყვანეთ, გზა გაგვითავისუფლეთო.

ღმერთო, უშველე იოსებს

გალაკტიონთან დაახლოებას ახალთაობის პოეტებიდან ყველაზე მეტად იოსებ ნონეშვილი ცდილობდა და არცთუ უშედეგოდ. გადმოგვცემენ, რომ სტუდენტი იოსები გვერდიდან არ სცილდებოდა პოეტების მეფეს და ზოგჯერ დუქნებსა და სასაუზმეებშიც თან ახლდა.

გალაკტიონის ერთი ჩანაწერი მოწმობს, რომ იგი კეთილად განეწყო გულწრფელი, მორიდებული ჭაბუკის მიმართ; იმასაც შეუნუხებია, ძალიან გამხდარია, ავად ხომ არააო. მიუხედავად ასეთი დასაწყისისა, შემდეგ და შემდეგ, გალაკტიონის უბის წიგნაკებში ორი ეპიგრამა გაჩნდა იოსებ ნონეშვილზე. ერთი საკმაოდ ცნობილია და გავრცელებული. დაბეჯითებით ძნელია მტკიცება, რომ იგი მაინცა და მაინც გალაკტიონისაა; შესაძლოა, პოეტმა სხვისი გამოთქმული ჩაინერა, მაგრამ ხედვა და რითმის კალამბურული ტრიალი თითქოს გალაკტიონურია. თანაც — ადრე ჩიოდა, ძალიან გამხდარიო, ახლა კი ტანწვრილიო, გვაუწყებს:

ღმერთო, უშველე ტანწვრილ იოსებს,
 თავს სხვის ლექსებით იგენიოსებს,
 ისე გაგქურდავს — არც გაიოცებს,
 კახი გვეგონა — სჩანს მოიოსებს.
 ღმერთო, უშველე ტანწვრილ იოსებს.



გაქურდვა-გათავისებისა რა გითხრათ, მაგრამ ნონეშვილის
 არა-კახობა აშკარად რითმის (იოსებს – მოიოსებს) კაპრიზია.
 1947 წელს გალაკტიონს ასეთი „ტექსტი-გამოცანაც“ შეუქმნია:

Я вам – ყვიცა,
 Я вам – კვიცა,
 Я вам – ბიძა,
 Но не შვილი (ШВИЛИ).

ამ კალამბურული ტექსტის სხვადასხვაგვარად გაგება შეიძლე-
 ბა, თუნდაც ასე: პოეტი ვილაცებს მიმართავს, თქვენთვის შეიძლე-
 ბა ყვიცა-, კვიცა-, ბიძა-შვილიც ვიყო, მაგრამ ნონეშვილი არ ვარ,
 მაინც გალაკტიონი ვარო!

იოსებ ნონეშვილი კი, ღმერთმა გაანათლოს, მშვენიერი პოეტი
 და უკეთილესი ადამიანი იყო.

ვაიგარში რა გინდოდა?!

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში სიმონ ჩიქოვანი გერმა-
 ნიას ესტუმრა. იყო იენაში, გოეთესა და შილერის მშობლიურ ქა-
 ლაქს – ვაიმარსაც ეწვია. ქართველმა პოეტმა ყვავილებით შეამკო
 „ფაუსტის“ ავტორის სამარე და ლექსიც შექმნა ამ თემაზე – „გო-
 ეთეს საფლავთან“. მერე გერმანული შთაბეჭდილებანი ერთ პო-
 ეტურ ციკლად შეკრა – „გოეთეს ცაცხვებთან“ უწოდა.

გალაკტიონი, რომელიც ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა
 თვალს, რას აკეთებდნენ და ქმნიდნენ მისი მთავარი „კონკურენ-
 ტები“, სიმონ ჩიქოვანის ვოიაჟს და მის პოეტურ შედეგს უმწვავესი
 სტრიქონებით გამოეხმაურა:

როდესაც პოეტი ყალბი პოეტია,
 ამაოდ ჰფიქრობენ, რომ ის გოეთეა...
 ვეიმარს გაგზავნონ ავიო-კალათით,
 ვირზედ ჩამობრუნდეს ხახვით და სალათით.

როდესაც პოეტი მავნე პოეტია,
 ენაჭარტალაა, მიეთ-მოეთია –
 წინ ჩოთქი უდევს და ნაბოძი ხალათი –
 პოეტი კი არა – ეს არის ჯალათი!

ისე არაფერი აღიზიანებდა გალაკტიონს, როგორც ფსევდონოვატორობა ანუ, მისებურად, ფუტურისტობა და ასარბასარიზმი. ზოგიერთთა ორიგინალობასა და წარმოსახვის გაქანებაზე დამცინავად ელიმებოდა:

ჩვენს პოეტებს გაზაფხულზე
 ფრთებს გაუშლის ფანტაზია;
 ვარდს საზამთრო მოებმება,
 იას პანტა, პანტას ია!

იმათ, ვინც მუზის შვილობას იბრალებდნენ, ხშირად კი გალაკტიონის წალკოტის ხელმრუდე სტუმრები იყვნენ, პოეტმა ეს მკვახე სტრიქონები დაუნერა:

გადაქცეულნო
 მხოლოდ სიმარდეთ,
 ლექსს გამცნებთ მუზა?
 აბა, მიმართეთ!

ქურდს ვმძებ...

მუხრან მაჭავარიანი გალაკტიონმა სასაუბრეში დაპატიჟა. თითო წიქა რომ დალიეს, გალაკტიონმა ჰკითხა:

– ქურდს ხომ არ იცნობ ვინმეს? ქურდს ვეძებ.

რალაც სასეიროს მომლოდინე მუხრანმა ყასიდად უპასუხა:

– ვიცნობ, ბატონო გალაკტიონ, როგორ არ ვიცნობ!

გალაკტიონმაც სათქმელი აღარ დააყოვნა:

– დამეხმარე, ძამიკო, თუ კაცი ხარ! სოსო გრიშაშვილს სიჭაბუკეში ოთხი ლექსი მიფუძღვენი, ყველა ეგ ზემპლარს მივაგენი და დავხიე. ერთადერთი ცალი თვითონ სოსოს შემორჩა. მოაპარვიენე იმ შენს ქურდს და მე ვიცი შენი პატივისცემა!

სვინტრი

გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ მალევე დაიბეჭდა მკითხველისათვის უცნობი, იუმორით შეფერილი ლექსი „სვინტრი“, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა.

ლექსი კონკრეტული ამბის გამო დაიწერა. მწერალსა და მთარგმნელს – არისტო ჭუმბაძეს, რომელსაც სორბონა ჰქონდა დამთავრებული, ერთ მოთხრობაში უხსენებია სვინტრი. კოლეგა მწერლე-

ბი, მწერალთა სასახლეში მოთხრობის კითხვას რომ ესწრებოდნენ, განსაკუთრებით იმით დაინტერესებულან, რა იყო ეს სვინტრი. ავტორს რამდენჯერმე განუმარტავს – ბალახის ერთგვარი სახეობაა იმერეთშიო. არავის შეუფასებია ნანარმოების თემა, სიუჟეტი, კომპოზიცია, მწერლის ოსტატობა, სვინტრი და სვინტრიო...

ეს ამბავი გალაკტიონის ყურამდე მისულა, ძალიან გამზიარულეზულა და უთქვამს, სვინტრი, ძამიკოებო, ყველგანაა, ხელისგულზე მინა რომ დაიყარო, იქ ამოვაო.

დისკუსიის შედეგები – სვინტრის აღმოჩენის საოცარი ამბავი პოეტმა დავიწყებას გადაარჩინა, გალექსა და სალალობოდ დაგვიტოვა:

არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც ჰერეთში,
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც მერეთში,
არც ბოხოხში, არც ცილინდრში, არც ბერეტში,
სვინტრი იგი ხარობს თურმე იმერეთში.

უნდა შუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა,
მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის დამერეკა,
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა
და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში.

ჩაშლილი ექსპერიმენტავი

გალაკტიონს უცნაური ექსპერიმენტები სჩვეოდა. გიორგი ლეონიძის პოემა ახალი გამოქვეყნებულია. გალაკტიონი უცნობ ახალგაზრდას ეკითხება:

- „ფორთოხალა“ ნაიკითხეთ?
- დიახ! – იყო პასუხი.
- მოგეწონათ?
- ძალიან!

გალაკტიონი შეცბა და ახალგაზრდას შესძახა:

– ჰაა?! კაცო, ჩემი კი არ არის!..

მეორეჯერაც ახალგაზრდებს ეკითხება:

- ხომ დიდი პოეტია გიორგი ლეონიძე?
- დიახ! დიახ! – მოკრძალებით დაეთანხმნენ ახალგაზრდები.

– ვაი თქვენს პატრონს! – უცებ მიახალა პოეტმა თანამოსაუბრეებს, – ნადით ახლა და დილამდე იკითხეთ მისი ლექსები.

გიორგი ლეონიძეს აშკარად თავის მთავარ მეტოქედ თვლიდა.

„თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან მოკიდებული იოსებ გრიშაშვილის პოპულარობა საარაკო იყო. დიდი ტირაჟებით გამოცემული მისი წიგნები მაღაზიის თაროებიდან უმაღვე ქრებოდა. მის ლექსებს ადვილად იმასხოვრებდნენ, დეკლამირებდნენ, მღეროდნენ – მრავალი რომანსია შექმნილი მის ტექსტებზე... ოღონდ ბევრსაც აკრიტიკებდნენ – ხალხს მოსწონდა მისი პოეზია, მაგრამ „პროლეტარული“ კრიტიკა გამობდა სატრფიალო თემატიკით გატაცებისა და ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ლექსების გამო.

შეტევამ გრიშაშვილის წინააღმდეგ სახიფთო ფორმა მიიღო, რის გამოც სოსომ 20-30-იან წლებში კარგა ხნით მიატოვა ლექსების წერა, ლიტერატურულ ნარკვევებზე გადავიდა და... ისეთი უკვდავი წიგნები შექმნა, როგორც „საიათნოვა“ და „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

ფსევდოპროლეტარული იდეოლოგიის დარაჯებმა უთუოდ ისიც იცოდნენ, გრიშაშვილი ანტისაბჭოთა ლექსებს რომ წერდა და „ჭერში ანყობა“, ვინაიდან მათი გამოქვეყნება იმ დროს შეუძლებელი იყო. როგორც ჩანს, ამის გამოც გამკაცრდა მის მიმართ კრიტიკა. თავისი სეხნია ბელადის სადიდებელი ლექსების წერას კი, არსებითად, ომის შემდგომ მიჰყო ხელი, როცა სტალინის ხოტბას მსოფლიოს უგამოჩენილესი სიტყვის ოსტატებიც კი არ თაკილობდნენ.

იშვიათია შემოქმედი, რომლის თემატიკაც ესოდენ გამოკვეთილი და კონკრეტული იყოს – იოსებ გრიშაშვილი თბილისისა და სიყვარულის მგოსანია: „პოეზიაში მე თბილისის მიწით მოვდივარ... თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“, ვკითხულობთ მის ერთ ლექსში და, უნდა ითქვას, მან ბოლომდე უერთგულა თავის უპირველეს მუზას – საქართველოს დედაქალაქს, ანუ – განახლებული თბილისიც შეიყვარა, მას შემდეგ, რაც გულის ტკივილით გამოეთხოვა ძველს, ხოლო მანამდე უკვდავყო იგი ლექსებსა თუ მეცნიერულ ნაშრომებსა და ესეებში.

„გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ!
ჩაეზარდე მშობელ მინას ფესვებით,
ახალ თბილისს – ახალ კოკორს ნალვიძარს –
უგალობე ნამუსიან ლექსებით“.

თბილისის სპეციფიკა, კერძოდ, ის, რომ ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ეს ქალაქი დასავლურ-აღმოსავლური კულტურების ორგანული სინთეზის ადგილია, ჩვენი დედაქალაქის უნიკალურობისა და მომხიბვლელობის საფუძველს წარმოადგენს. ამას უცხო თვალი უკეთ გრძნობს, ვიდრე აქაურთა, რაც გასაკვირი სულაც არ არის, ვინაიდან იმის ღირსეულად შეფასება თუ დაფასება, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ თუ ვეხებით, ძალიან ჭირს.

„მე ევროპამ სახლში არ შემინვია, რადგან თბილისს მწვადი მეც შემინვია“, – დაიჩვილა იოსებ გრიშაშვილმა 1920 წლით დათარიღებულ ლექსში. მაგრამ 1960-იანი წლების ბოლოს რვასაუკუნოვანი ქართული პოეზიის ანთოლოგიის შესადგენად და სათარგმნელად ჩვენი კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მწერალთა კავშირის მოწვევით თბილისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული პოეტები რაინერ კირში და ადოლფ ენდლერი თანამედროვეთაგან სწორედ გრიშაშვილის შემოქმედებამ დააინტერესა ძალიან.

გრიშაშვილის ლექსების გერმანულად მთარგმნელი ადოლფ ენდლერი თავის წიგნში „საქართველოს შესახებ თხრობის ორი მცდელობა“, რომელიც პირველად 1976-ში, ხოლო მეორედ 2018 წელს გამოიცა, წერს:

„...ჩვენ კვლავ ვფურცლავთ ჩვენს ხელნაწერებს და ხმამაღლა ვკითხულობთ იოსებ გრიშაშვილის ლექსს, იმ პოეტისას, რომელიც ახლოა ჩვენს გულებთან: „მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი! და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს...“.

სხვა გერმანელი ლიტერატორი ლეონარდ კოშუტი „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ გერმანული გამოცემის (ბერლინი, 2007 წ.) ბოლოსიტყვაობაში წერს:

„გრიშაშვილი დააინტერესებს ყველას, ვისთვისაც ზედაპირული ტურისტული შთაბეჭდილებები უკმარია საიმისოდ, რომ საქართველოს დედაქალაქის განუმეორებელ თავისებურებას ჩასწვდეს“.

იოსებ გრიშაშვილი პოეზიისთვის იყო გაჩენილი. ნახეთ, რა საინტერესოდ მსჯელობს იგი ურთულესი მოვლენის – შემოქმედებითი პროცესის – შესახებ, და შთამბეჭდავი ხატოვანებით გვიქმნის წარმოდგენას პოეტის „ყოვლისშემძლეობის“ თაობაზე, უნარ-

ზე, რომელიც განსაკუთრებულ ძალას იძენს, თუ სატრფოს გულის მოსაგებადაც არის გამიზნული:



„ლექსის შექმნის დროს მე წარმოვადგენ
ციხის და შინის ხიდს, ხიდს მიძღავრს და მჭიდროს.
მე ვქმნი და მე ვსპობ: მოგკლავ! ალგადგენ!
ლექსის შექმნის დროს!.. ლექსის შექმნის დროს!..

.....
მე შემეძლიან, კანონი ღვთისა
ისე შევცვალო, სატრფოვ სვიანო,
რომ ჩემის ლექსით თვით ჩასვლა მზისა
ცოტა ხნით კიდევ დავაგვიანო“.

ძნელია გავიხსენოთ მეორე პოეტი, ვისაც ამდენი ლექსი დაენეროს ქალ-ვაჟის ურთიერთლტოლვაზე. და... რაოდენობა იქით იყოს, — უმთავრესი ის არის, რომ იოსებ გრიშაშვილმა შეძლო წარმოედგინა ამ გრძნობასთან დაკავშირებული ლამის ყველა ასპექტი თუ ნიუანსი — გაუმხელელი ყმანვილური ტრფობიდან მოკიდებული, მხურვალე ვნების დაკმაყოფილებით გამოწვეული ბედნიერების განცდის გამოხატვით გაგრძელებული, და ღალატისა თუ სატრფოს გულგრილობით გამოწვეული ნუხილის გამომსახველი სტრიქონებით დამთავრებული... მოკლედ, იოსებ გრიშაშვილის პოეზია სიყვარულის დიდი ენციკლოპედიაა, რომელსაც თერაპიული მნიშვნელობაც აქვს — იგი ანუგეშებს, კათარზისს ჰგვრის, სიყვარულის ტანჯვით განანამებ ადამიანს, მეტადრე აღრეულ ასაკში.

„ისე გშვენის მძივ-გულქანდა ყელზე მონართავი,
რომ... ახ, ნეტა, მე შენს ყელზე ჩამოვიხრჩო თავი“.

სიყვარულის ვნებით გამოწვეული თრობა მისი ლექსების ლირიკულ გმირთა ყველაზე სასურველი სულიერი მდგომარეობაა, მაგრამ გრიშაშვილისთვის არც საყვარელი არსებისადმი ფაქიზი სულიერი ლტოლვაა უცხო, არისტოკრატიული მანერითა და თავდაჭერილობით გამოხატული, რასაც მონმობს მომავალი მეუღლის, მომღერალ ქეთო ჯაფარიძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„ის აღარა ვარ და სხვა დროც დადგა.
არ მივსდევ ძველ გზას, ვინრო ფონიანს,
არ შეგადარებ მე ბუღბუღს, რადგან
მისი ხმა ჯერ არ გამიგონია.

შენი სიმაღლე ისრად მესობა,
ვის შეგადარო, რა მოვიგონო,
შენ – ჩემი ლექსის უმაღლესობავ!
შენ – ჩემი ლექსის კარგო სტრიქონო!”

მეტად მრავალფეროვანია გრიშაშვილის პოეზია სალექსო ფორმათა თვალსაზრისით, იგი ლექსის ვირტუოზია, დიდი გულმოდგინებით ეკიდება სათქმელისთვის ზუსტად შესატყვისი გამოხატვის საშუალებების შერჩევას. ამის თაობაზე საგანგებოდ მსჯელობს როგორც ზემოთ დასახელებულ თავის ნიგნებში, საიათნოვასა და თბილისის ლიტერატურული ტრადიციების შესახებ რომ დანერა, ასევე, ზოგჯერ თვით ლექსებშიაც, ლირიკულ ტექსტში ჩართულ ესეისტურ-პოეტურ პასაჟებში, რაც მის პოეზიას ერთობ თანამედროვე იერს სძენს... და, საზოგადოდ, იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების მართო გაცნობაც კი – შესწავლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ – ჩინებული სკოლაა მათთვის, ვისაც პოეტური ხელოვნების ან დაუფლება, ან კიდევ მის არსში წვდომა განუზრახავს.

იოსებ გრიშაშვილი რითმის დიდოსტატია. მისთვის რითმა ცოცხალი, სულიერი არსებაა, რომელსაც ვნებით დალღაც კი შეუძლია:

„მაგონდება: ჩემს რითმებს როცა ვნება დალიდა –
ამქვეყნიურ სიყვარულს მოვუხმობდი მალლიდან“.

მისი რითმა თავს იხრჩობს, როდესაც ლამაზმანების (ლექსის სათაურია „ლამაზმანებს“) დაცვას ველარ ახერხებს:

„რითმამ სტრიქონში დაიხრჩო თავი,
ველარ შეიძლო თქვენი მცველობა“.

1938 წელს დაწერილ ლექსში თავისი პოეზიის სინაზის თაობაზე ხატოვანად ასე მოგვახსენებს:

„ჩემში რითმამ და თოფის ფალიამ
თანამოსაგრედ ვერ იქორწინა“.

მაგრამ ოთხი წლის შემდეგ (1942 წ.) მაინც გაგზავნა თავისი რითმა ფრონტზე:

„ამინ! დე, ჩემი სათუთი რითმა
ომში ავარდეს, ვით ქარიშხალი“.



მრავალი მისი ლექსის მომხიბვლელობას ისიც შეიქმს, რომ ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვერსიფიკაციული ნოველებიც არის. დავაკვირდეთ, როგორ „თანამშრომლობენ“ ერთმანეთთან, ერთმანეთში გადადიან, გადაიზრდებიან თუ განზავდებიან ტრადიციული ზუსტი და თანამედროვე არაზუსტი, დისონანსური რითმები ამ სტროფში, რაც უჩვეულო მუსიკალურ ეფექტს ქმნის:

„როს მჟავე წყალთან მკვდარი შაშვი ვნახეთ ეულად...
როს მზის ხორბლებით სავსე იყო ტყე მწვანეული...
ორნი ვიყავით! მაგრამ ისე ერთსახეულად,
ვით ნუშის გული ერთ ნაჭუჭში გამომწყვდეული“.

ამ სტროფს ვერც მოღური დისონანსური რითმის მოყვარული დასდებს წუნს და ვერც ტრადიციული ზუსტი რითმის დამფასებელი, ვინაიდან ორივე მათგანის გემოვნება გათვალისწინებულია!

რაც მთავარია, ზუსტ და დისონანსურ რითმათა ეს უჩვეულო ნაერთი ჩინებულად ესადაგება ლექსის თემას – ქალ-ვაჟს შორის ადრინდელი ჰარმონიული ურთიერთობის დისჰარმონიული ურთიერთობით ჩანაცვლების გამო წუხილს, უფრო ზუსტად – ადრინდელი ჰარმონიული და იმჟამინდელი დისჰარმონიული ურთიერთობების ერთობლივ განცდას – ტკბილ-მწარე განცდას.



ალექსანდრა ლორია

ნიგნის ინფორმაციული თავისებურება

უზოგადესი გაგებით ინფორმაცია რაიმეს გაგებას, მის შესახებ ცნობაში მოყვანას, შეტყობინებას, მოვლენისა თუ ფაქტების ჩვენება-დანახვას, არსებული რეალობის ობიექტურად ასახვასა და ახსნას, ყურადღების მიქცევა-მოპყრობას გულისხმობს, რაც ხელს უწყობს, ზოგადად თუ კონკრეტულად, არსებულის გაცნობიერებას, როგორც ინსტინქტური, ისე გონებრივი შესაძლებლობებით; აქვს როგორც ფილოსოფიური, ისე პრაქტიკული მოქმედების გაგებაც.

ინფორმაციულობა ყოველ მატერიას ახასიათებს. ხილულსა თუ უხილავს, სულიერსა თუ უსულოს, რაც საშუალებას იძლევა, ობიექტურად ღრმად და საფუძვლიანად იყოს შესწავლილი და შეცნობილი, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი (შინაარსობრივი) თვალსაზრისით.

საზოგადოების საქმიანობის ყოველ სფეროში ინფორმაცია სავსებით ობიექტური კანონზომიერებით ავლენს თავს როგორც თავისთავად, სპონტანურად, სუბიექტის მიერ სავსებით განუზრახველად, დაუგეგმავად ან წინასწარგანზრახულად, შეგნებულად, მიზანდასახულადაც სრული კანონზომიერების შედეგად, ისინი ერთმანეთთან სავსებით აუცილებელ კოლაბორაციაში არიან.

ინფორმაცია იმდენად გავრცელებული მოვლენაა, რომ მისი შეცნობა დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, რაც საერთო განვითარების კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს, მის გარეშე ვერ იქნება ვერც პიროვნული, ვერც საზოგადოების განვითარება. ეს სავსებით კანონზომიერი ცხოვრებისეული მოვლენაა. ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოველთა სამყაროში, რამდენადაც ინსტინქტები მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული.



არ არსებობს მოქმედების ისეთი სფერო, რომელშიც ინფორმაციას თავისი წვლილი არ შეჰქონდეს, თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, იქნება ეს გონებრივი ასპექტით თუ ინსტინქტურ სფეროში.

ინფორმაციის ზემოქმედება, მისი ზეგავლენა პიროვნებასა თუ მასაზე განუზომელია. არ არსებობს არც ერთი დარგი, ინფორმაციით მიღებულ შედეგებს არ იყენებდეს. რაც შეეხება ბუნებასთან პრაქტიკული ურთიერთობის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ამას ადამიანის ცხოვრებაში განუზომლად დიდი ადგილი უჭირავს, ქვეყნად რამდენადაც უფრო მოცულობითია ინფორმაცია, რამდენად უფრო ორგანიზებული და მეცნიერულად შესწავლილია, რამდენადაც უფრო ობიექტურია მის მიმართ მიდგომა და პრაქტიკული გამოყენება, იმდენად უფრო მძლავრია მისი ზემოქმედება საზოგადოების განვითარების პროცესებზე, ყოველივე ეს თავისთავად ზეგავლენას ახდენს ცხოვრებაზე, საზოგადოებრივ ატმოსფეროზე, მოქალაქეობრივ შეგნებაზე, პროგრესზე, კულტურასა და განათლებაზე. ამიტომაც მნიშვნელოვანია ინფორმაციულ მოღვაწეობაზე ხელშეწყობა, განსაკუთრებით მეცნიერულ ინფორმაციაზე. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა ქვეყნად ინფორმაციის საქმის გაძლიერებასა და განვითარებაზე. ამჟამად საკმაოდ ბევრი საშუალება არსებობს, რომლებსაც ყველა წარმატებულ ქვეყანაში იყენებენ. აქტიურად არის ამ საქმეში ჩაბმული როგორც ტრადიციული, ისე ახალი ტექნოლოგიების საშუალებები და მეთოდები. ნაყოფიერად მოქმედებენ: გამომცემლობები, პრესა, ტელევიზია, ელექტრონიკა-საზოგადოებრივი ქსელი, განათლების სისტემა, კულტურის დარგები, სპეციალური ცენტრები და საზოგადოებები, ისინი ამ ინფორმაციის საქმეს სხვადასხვა მეთოდებითა და ფორმებით წარმართავენ ცნობები, ქრონიკები, რეპორტაჟები, ინტერვიუები, საქმიანი ანგარიშები, მიმოხილვები, შეტყობინებები, პრეზენტაციები და ა. შ. როგორც წერილობით ბეჭდური, ისე ზეპირი ურთიერთობით – სხვადასხვა აქტივობის (ლონისძიებების) საშუალებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ამ საქმეში ასრულებენ ბიბლიოთეკები და საგამომცემლო წიგნგამავრცელებელი დაწესებულებები. მათ მიერ უხვად ქვეყნდება საინფორმაციო ბიულეტენები, ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, საინფორმაციო-სარეკომენდაციო და სადღესასწაულო-საიუბილეო ბროშურები, ბუკლეტები, ფურცლოვანი გამომცემები, სხვადასხვა ტიპის შეტყობინებები, საზოგადოებრივი ქსელი და ა. შ. ინფორმაციულ საქმეს ემსახურება მაგალითად, ყველა აფიშა, რეკლამა, ცნობარი, გზამკვლევი, წესდება და სხვა სახის საშუალე-

ბები. მათი საქმიანობა აქტიურად ემსახურება მასალის პოპულარიზაციას.

სულ სხვა ფენომენია ამ მხრივ წიგნი, მისი უზოგადესი გაგებით. ტერმინოლოგიაშიც ჩვენს ენაში წიგნთან დაკავშირებით მრავალი ნაწარმოები სიტყვა გვხვდება, რომლებსაც ახალი, სულ სხვა გაგება აქვს მინიჭებული. უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „წიგნი“ ძველ ქართულში სხვადასხვაგვარადაა გაგებული: „წიგნი“, როგორც საყოველთაო მოხმარების საგანი – ტექსტის ხელნაწერად თუ ბეჭდური გამოცემა და „წიგნი“ – როგორც წერილი (ბარათი, უსტარი). „წიგნს“ თავისთავად სხვა გაგებითაც აქვს მიღებული დამოუკიდებელი სიტყვის მნიშვნელობა: „წიგნიერი“, „წიგნიერი“, „საწიგნი“ და სხვა ამგვარი, მაგრამ ამავე დროს სხვა სიტყვებთან შეერთებით წარმოითქმება დამოუკიდებელი გაგება: „საექიმო წიგნი“, „სამართლის წიგნი“ და სხვ. (იხ. „ქსე“, ტ. 11). ამგვარად არის სხვა სიტყვებთან შეხამებით მიღებული დამოუკიდებელი აზრის მქონე სიტყვები: „წიგნაკი“, „წიგნსავეჯრო“, „წიგნსაცავი“, „წიგნგამავრცელებელი“ და სხვ. არის სიტყვები, რომლებიც ტერმინ „წიგნს“ არ შეიცავენ, მაგრამ მასთან აზრობრივ კავშირში მაინც არიან: „მწერალი“, „წერა-კითხვა“, „წერილობითი ცნობა“, „დამწერლობა“ და სხვ.

ისტორიის გრძელ მანძილზე წიგნი იცვლებოდა მასალის შემადგენლობითა და ფორმით, უძველეს დროს წიგნი იქმნებოდა ხელწერით მკითხველს საგნებზე ამოტვირთვით ან გამოკვეთით – ქვაზე, ხის ქერქსა თუ ნაფოტზე, რბილ თიხის ფირფიტაზე, რომელსაც მასზე ტექსტის წარწერის გაკეთების შემდეგ ფირფიტაში აშრობდნენ და ამგვარად მიიღებოდა მტკიცე ფირფიტა, რომელთაც საჭირო რაოდენობით აწყობდნენ თიხის ყუთში და ამგვარად იქმნებოდა დაცვის ერთეული, როგორც წიგნის ნიმუში. წინგადადგმული ნაბიჯი იყო პაპირუსის ქაღალდის შემოღება, პარალელურად გამოიყენებოდა აგრეთვე ისეთი მასალა, როგორიც იყო ზოგ ქვეყნებში გავრცელებული ხის ქერქი, ფოთოლი თუ პალმის ლასტი, წიგნზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ჯერ პაპირუსის ქაღალდის შექმნას შეუწყო ხელი, მერე კი, როცა გამოგონებული იქნა ქაღალდი, ამან მთლიანად შეცვალა წიგნწარმოების საქმე. იცვლებოდა წიგნის გარეგნული სახე, მყარი ფირფიტების კუთხოვანი ფორმა და პაპირუსისა თუ ტყავის გრაგნილები ქაღალდის ე.წ. კოდექსურმა ფორმამ საბოლოოდ შეცვალა. ქაღალდის გამოგონებამ მთლიანად გადაასხვაფერა წიგნის წარმოება, პრინციპები და ფორმა, რასაც ხელი შეუწყო ბეჭდვის ტექნიკურმა პროგრესმა. დღეს წიგნი საყოველთაოდ მიიჩნევა „რამე დაბეჭდილი



ტექსტის შემცველი ფურცლები ერთად აკინძული“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ნაკვეთი მეორე. -თბ., 1990).

თანამედროვე ელექტრონიკის განვითარების პიკის პირობებში, ცხადია, წიგნის ამჟამინდელი განსაზღვრება ანაქრონიზმად შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ მთლად ასეც არ არის. ახალი ტექნოლოგიების შემოჭრა, მართალია, ამრავალფეროვნებს წიგნის გამოცემისა და გამოყენების საქმეს, თუმცა ძნელია ამჟამად გადაჭრით ითქვას, რა სახეს მიიღებს ეს, მაგრამ ერთი უეჭველია: ახალი ტექნოლოგიების შემოღება წიგნისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ვერ შეცვლის, განსაკუთრებით კითხვის ზეგავლენის თვალსაზრისით.

პირველ ხანებში ელექტრონული ბეჭდვითი წიგნების წარმოება ზოგ უხერხულობას ქმნიდა, განსაკუთრებით ელექტრონული ციფრული წიგნების კითხვისას, როცა ადამიანი კომპიუტერს მიჯაჭვული რჩებოდა, მაგრამ მალე ეს დისკომფორტიც დაძლეულ იქნა, როდესაც ასპარეზზე ე.წ. „ქინდლი“ გამოჩნდა. მართალია, დღეს მისი მოხმარების დონე დაბალია, მისი აქტივიზაციაც ნაკლებად ხდება, მაგრამ მოსალოდნელია, რომ წიგნის მიერ პრაქტიკაში „ქინდლი“ მალე მსოფლიოში აქტიურად იქნება გამოყენებული ისე, რომ წიგნის ფუნქციები და კითხვის დამახასიათებელი თვისებები არ შეიცვლება და ამგვარი გზით კითხვის ორგანიზება ძალიან მოთხოვნადი შეიქმნება. ბუნებრივი კანონზომიერების საფუძველზე წიგნის დამახასიათებელი თავისებურებანი არ შეიცვლება – ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სწორედ წიგნის ინფორმაციულობის უნარი.

წიგნის ინფორმაციულობის თავისებურება ურყევი და უცვლელია. იგულისხმება არა გარეგანი მხარე, არამედ მიღებული ინფორმაცია, თავისი შინაარსით, რაც ობიექტური კანონზომიერებებით არის განპირობებული.

წიგნისა და ადამიანის ურთიერთობა კითხვის პროცესში რთულ გარემოებას გულისხმობს. ბუნებრივად, ყოველგვარი წინასწარ განზრახულობის გარეშეც ადამიანი წიგნისგან ითვისებს გარკვეულ ინფორმაციას და რალაცგვარ გავლენას თავისთავად იღებს, რაც ინვესტს გონების გამდიდრებასა და გაფართოებას, ამდენად ადამიანი წიგნთან გონებრივი ურთიერთობის შედეგად იძენს ინტელექტუალურ რესურსებს – უყალიბდება ეთიკურ-ესთეტიკური მოტივაციები, გემოვნება, შეხედულებები, იხვეწება მეტყველება, ფართოვდება უნარების სფერო და ა. შ. ყოველივე ეს ხდება არა მარტო წინასწარგანზრახულად, პირადი გადაწყვეტილებით, გონებრივი შრომის დაძაბვით, კრიტიკული აზროვნების შედეგად,

არამედ ინფორმაციითაც, რომელსაც ის თავისთავად, ყოველგვარი განზრახვისა და გეგმური მოქმედების გარეშე იღებს.

ცოდნა და ინფორმაცია განუყოფელი ნაწილებია. ყოველგვარი გზით მიღებული ინფორმაცია იქნება ეს, წინასწარ განზრახული თუ განუსაზღვრელი. წიგნთან ურთიერთობის შედეგად, თუკი ადამიანი კითხვასა და დაკვირვებას ახდენს, ის აუცილებლად იღებს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება განსაჯისა და დაკვირვების ობიექტად იქცეს. ეს ყველა დარგსა თუ სფეროს შესახებ შეიძლება ითქვას. არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ სპეციალური საინფორმაციო გამოცემები და მასალა (ლექსიკონები, ცნობარები, სახელმძღვანელოები, ატლასები, ბიბლიოგრაფიული გამოცემები და სხვა ამგვარი), არამედ ყველა წიგნი საერთოდ, რომელ დარგსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ის.

წიგნის თუნდაც უბრალოდ გაცნობა-დათვალიერება-გადასინჯვა, საცნობო აპარატის გამოყენება, საჭირო მასალის ამონერადამახსოვრება, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის გადახედვა, ანოტაციის წაკითხვა, წიგნდართულ ბიბლიოგრაფიაში ძიება, სქოლიოების, შენიშვნების შემოწმება, სარჩევის შედარება, წინასიტყვაობის, სარედაქციო ცნობების, ცნობას ავტორის შესახებ და ა. შ. ეს უკვე ინფორმაციის სერიოზულად მიღებას ნიშნავს, რასაც, საერთოდ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მკითხველის ცნობიერებისათვის, წიგნის უბრალოდ გაცნობაც სასარგებლო ცოდნის მიღებას ნიშნავს, რომელიც მკითხველის ინტელექტუალურ გარემოს განვითარებას იწვევს. ადამიანის ურთიერთობა წიგნთან (წაკითხვა, გადახედვა, გაცნობა და სხვ.) მეტ-ნაკლებად გარკვეულ ინფორმაციას იძლევა, რაც ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას, მის განვითარებას, ერუდიციის დონის ამაღლებას და ა. შ. წიგნებთან ადამიანის ყოველდღიური ურთიერთობა საბოლოოდ გამოხატულებას ინტელექტუალური გარემოზე ზემოქმედებას იწვევს, რაშიც ინფორმაციას დიდი როლი მიუძღვის. ამან შეიძლება აღძრას სურვილი წიგნის საფუძვლიანად წაკითხვისას გააჩნდეს მოთხოვნილება თავისი კომპონენტებით. მოტივაცია, განზრახულობა, ინტერესი, მიზანი, რაც ერთობლიობაში დიდ ფსიქოლოგიურ თავისებურებას გულისხმობს და ზემოქმედებს პიროვნებაზე.

საერთოდ, ყველა წიგნი თავისთავად, სხვადასხვა თვალსაზრისით, ინფორმაციის წყაროცაა, რაც უდიდეს როლს თამაშობს, წიგნიერების დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში (იხ. ა. ლორია, წიგნი როგორც კვლევის საგანი. 1993).

ნიგნის გავრცელებას, მისი დიაპაზონის ზრდა-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც ნიგნის პულარიზაციას, რასაც ინფორმაცია აქტიურად უწყობს ხელს, სერიოზული ადგილი ეთმობა ნიგნიერ გარემოში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ბიბლიოგრაფიული გამოცემები, რომლებიც განსაკუთრებით ფასეულია ინფორმაციულ საქმიანობისთვისაც, რომლებსაც სპეციალური დანებსებულებები ეწევიან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ბიბლიოთეკა, ნიგნგამავრცელებელი ორგანიზაციები, სადაც უხვად ეწყობა ნიგნის გამოფენები, მიმოხილვები, წარდგენები (პრეზენტაციები), სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები.

ნიგნის შემეცნებით-სასწავლო, კულტურულ გარემოს, მის კვლევა-ძიებას უდიდესი მნიშვნელობა ყოველთვის ენიჭებოდა და ახლაც ენიჭება, საგულისხმოა, რომ ნიგნი და ცოდნა ეს განვითარების ორი შემადგენელი ელემენტია. სამართლიანია მათი დაკავშირება ერთმანეთთან (მაგალითად, „ნიგნიერი“ – განათლებული ადამიანი).

რაც შეეხება ინფორმაციას, ის ნიგნის განუყოფელი თვისებაა, როგორც ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივ არსებობს, ამიტომაც საზოგადოებაში ნიგნი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს და მეტად გავრცელებულ და საპატიო საგანს წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობში“ მხატვრულად მეტად მოხდენილად აქვს განზოგადებული ნიგნის ღირსება: ნიგნი „მისანია“, იმისთანა რამ, რომ „მთელი ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცის ნაცადი, ცოდნა სულ მუდამ ხელთ ჰქონდეს კაცს და შორიდან გელაპარაკოს“.

ბამოყენებული ლიტერატურა:

დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის, – თბ., 2000 (ავტორთა კოლექტივი).

ლორია ა. კითხვა როგორც კვლევის საგანი (ლექტოლოგიის პრობლემათიკა) – თბ., 1993.

ლორია ა. კითხვის კულტურა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები... – თბ., 1984.

Надирашвили Ш. Психология пропаганды – Тб., 2009. Проблемы социологии и психология чтения. – М., 1075 (კრებულები).


Урсул А. Природа информации. М., 1978.

საბიბლიოთეკო პროფესიული პერიოდული გამოცემები საქართველოში

საქართველოში საბიბლიოთეკო ჟურნალისტიკის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს 1925 წელი, როდესაც გამოიცა პირველი საბიბლიოთეკო დანიშნულების პერიოდული გამოცემა ჟურნალი „ნიგნის მეგობარი“. სათაურის ქვეშ გამოცემის პროფილი ეწერა იმდროინდელი ტერმინოლოგიის შესაბამისად: პერიოდული საბიბლიოთეკანომიო და საბიბლიოგრაფიო ორგანო. იგი გამოსაცემად მოამზადა სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულმა საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფიო კაბინეტმა. საქართველოში იმ დრომდე არ არსებობდა მსგავსი ტიპის გამოცემა.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნეში, 1883 წელს, გამოვიდა

12 ნომერი ჟურნალისა „ქართული ბიბლიოთეკა“, მაგრამ ის იყო არა საბიბლიოთეკო, არამედ ლიტერატურული ჟურნალი, რომელსაც სახელწოდების გარდა, ბიბლიოთეკასთან არაფერი აკავშირებდა. შესაძლოა, ეს სახელწოდება, რუსულ საზოგადოებაში დამკვიდრებული იმ ტრადიციის ნაბაძვითაც დაერქვა, გარკვეული ნიშნის მიხედვით დაჯგუფებულ ლიტერატურას რომ უწოდებდნენ „ბიბლიოთეკას“ და მას სერიის მნიშვნელობა ჰქონდა, ვთქვათ – „Пушкинская библиотека“ ან „Приключенческая библиотека“ და ა.შ.



„ნიგნის მეგობარი“



დავუბრუნდეთ პირველ საბიბლიოთეკო პროფესიულ მუშაუნალს; „ნიგნის მეგობარი“ გამოვიდა ერთ ნიგნად, რომელშიც გაერთიანებული იყო პირველი და მეორე ნომრები. როგორც სარედაქციო წინასიტყვაობა გვამცნობს, მისი გამოცემა განაპირობა, ერთი მხრივ, მსოფლიო საბიბლიოთეკო ცხოვრებაში შექმნილი სიახლეების გაცნობისა და დანერგვის საჭიროებამ, მეორე მხრივ, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დაგროვებული ნიგნების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზების აუცილებლობამ. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები იყვნენ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმისა და აგრეთვე მეცნიერების სხვა დარგების გამორჩეული წარმომადგენლები: ივ. ციციშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, ბ. ბროსსე, დ. მარკევიჩი, პ. ჭანიშვილი, ს. მაკალათია, გ. ჩიტაია და სხვები.

სამწუხაროდ, „ნიგნის მეგობრის“ მომდევნო ნომრები აღარ გამოცემულა. ამ სფეროში შექმნილი სიცარიელე ერთგვარად შეავსო გაზეთმა „სოციალისტურმა ტემპებმა“. ის იყო საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისა და სახელგამის პირველი სტამბის ერთობლივი, ე.წ. საუნწყებო გამოცემა (1931-1932). როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა მკითხველისთვის დაკეტილი იყო 1931 წლამდე და აქ, სრულფასოვანი საბიბლიოთეკო მომსახურების დასაწყებად, რამდენიმე წლის განმავლობაში შიდა მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. მკითხველთა მომსახურების დაწყებას ემთხვევა ახალი გაზეთის გამოცემაც. მასში ასახულია, ასე ვთქვათ, ახლად ფეხადგმული ბიბლიოთეკის პირველი ნაბიჯები, ნაკლი და წარმატებები, მკითხველებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების შემუშავების რთული გზა, ახალი განყოფილებების შექმნისა და იმ საბიბლიოთეკო სტრუქტურის ხერხემლის ჩამოყალიბების პროცესი, რომელზეც შემდეგ „დაშენდა“ დღევანდელი ეროვნული ბიბლიოთეკა.

„სოციალისტური ტემპებისაგან“ განსხვავებით, სამეცნიერო დატვირთვა ჰქონდა საჯარო ბიბლიოთეკის მომდევნო პერიოდულ გამოცემას, სახელწოდებით – „კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“ (1934-1940). მიუხედავად იმისა, რომ დაიბეჭდა მხოლოდ ხუთი ტომი, „შრომების“ გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბიბლიოთეკო საქმის მეცნიერულ დონეზე დაყენებისათვის, ასევე საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. მათში შესული მასალები შეეხებოდა ბიბლიოთეკების მუშაობის როგორც თეორიულ და პრაქტიკულ მხარეს, ასევე ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა „საჯარო ბიბლიოთეკის შრომების“ გამოცემა. ომის შემდგომ, მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდში, ეროვნული ბიბლიოთეკა წარმართავდა საქართველოს ბიბლიოთეკების მეთოდოლოგიურ მუშაობას. ამ მიზნით, იგი 1950-60-იან წლებში გამოსცემდა შესაბამისი თემატიკის მცირე ბიულეტენებს, რომლებიც სრულფასოვანი პროფესიული ჟურნალების ფუნქციას ბოლომდე ვერ ასრულებდნენ.

მომდევნო პერიოდში საბიბლიოთეკო სფეროში თითქოს განელდა პროფესიული ჟურნალების გამოცემისადმი ინტერესი.

უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ბიბლიოგრაფიული მანკვენებლების – ბიობიბლიოგრაფიების, ძველი გაზეთებისა და ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების შედგენას. ამ მიმართულებით, მართლაც, ბევრი გაკეთდა.

2000-2001 წლები საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება იმით იყო საყურადღებო, რომ დაარსდა ორი ახალი ქართულენოვანი პროფესიული პერიოდული ორგანო – ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ და გაზეთი „ქართული წიგნი“.

გაზეთი „ქართული წიგნი“ (მთ. რედაქტორი ლევან თაქთაქიშვილი) ყოველთვიურად გამოდიოდა და პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო წიგნის მოყვარულთა და საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენელთა შორის, არამედ საზოგადოების სხვა ფენებშიც. გაზეთში იბეჭდებოდა ქართული კულტურის ისტორიის ამსახველი სტატიები, რეცენზიები, ანალიტიკური ინფორმაცია ახალგამოსული წიგნების შესახებ. ბიბლიოფილებსა და კოლექციონერებს შესაძლებლობა ეძლეოდათ გაზეთის საშუალებით მიეღოთ და თვითონაც გამოექვეყნებინათ ინფორმაცია მათ-



„სოციალისტური ტემები“



თვის საინტერესო წიგნებზე. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვანმა გაზეთმა მხოლოდ წელიწად-ნახევარი იარსება. იგი დაიხურა უსახსრობის გამო.

სრულიად განსხვავებულად წარიმართა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ბედი. მისი პირველი ნომერი გამოიცა 2000 წლის ბოლოს და მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რომელთაგან უმთავრესი დაფინანსებას უკავშირდება, იგი დღემდე აგრძელებს თავისი უპირველეს დანიშნულებას. საქართველოს საბიბლიოთეკო კულტურის შენარჩუნება-განვითარების მეტად მნიშვნელოვან საქმეში ისაა ერთგვარი მაორგანიზებელი საინფორმაციო-მეთოდური მესაჭის ფუნქციის შემსრულებელი.

„საქართველოს ბიბლიოთეკა“, რომელიც დღეისათვის საქართველოში ერთადერთი საბიბლიოთეკო პროფესიული პერიოდული გამოცემაა, დაარსდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა (მაშინდელი პრეზიდენტი ირაკლი ლარიბაშვილი) და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის (მაშინდელი გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი) ერთობლივი ძალისხმევით შედგა. პროფესიული ჟურნალის დამაარსებლებს სურდათ მინელებული და თითქმის დასალუჰად განწირული საბიბლიოთეკო ცხოვრების გამოცოცხლება და ახალ საფეხურზე აყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეის რეალიზებაში მონაწილეობდა ორი სერიოზული ინსტიტუცია, ეს მხარდაჭერა ნაკლებად აისახებოდა ფინანსურ მხარეზე. საბიბლიოთეკო ასოციაციასაც და ბიბლიოთეკასაც იმხანად თვითონაც მწირი შემოსავალი ჰქონდათ, ამიტომ ჟურნალი დაარსდა როგორც შპს და მისი მთავარი ხარჯების წყარო, ძირითადად, თვითონ ჟურნალის ნომრების რეალიზაცია იყო. ეს კი თავისთავად რთული იყო ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო. და მაინც, „საქართველოს ბიბლიოთეკა“ მოთხოვნადი პროდუქცია გახდა. ბიბლიოთეკები და კერძო პირები იძენდნენ ჟურნალს, რადგან მასში პოულობდნენ მათი ინტერესების შესატყვის ინფორმაციას.


ჟურნალის გამოცემის სტაბილურობას, უმთავრესად მაინც ადამიანური ფაქტორი – პროფესიონალიზმისა და ენთუზიაზმის არაჩვეულებრივი შერწყმა განაპირობებდა. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა დროდადრო იცვლებოდა, მაგრამ ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა – მთავარ რედაქტორი გახდა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის პატრიარქი, მეცნიერი და მწერალი ალექსანდრე ლორია, პასუხისმგებელი რედაქტორის ფუნქცია დაეკისრა ან განსვენებულ გურამ თაყნიაშვილს – ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელს.



სამეცნიერო-მეთოდური და კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორის საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმეს გაუძღვა ქალბატონი გულნარა სტურუა — უცხოენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორი. წლების განმავლობაში ეს ადამიანები, თავიანთი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, თითოეულ ნომერზე მუშაობდნენ თავდაუზოგავად, მაღალი პროფესიული თვითშეგნებით და, რაც მთავარია, ყოველგვარი სახელფასო ანაზღაურების გარეშე.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ სამეცნიერო-პოპულარული პროფილის გამოცემაა. მასში ძირითადად ქვეყნდება საინფორმაციო და სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის სტატიები, რომლებიც დაჯგუფებულია რუბრიკებად. მასალების თემატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რუბრიკების რაოდენობამ, როგორც მუდმივმა, ასევე პერიოდულმა, დღეისათვის 200-ს გადააჭარბა.

პირველი და უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც ჟურნალის უმეტეს ნომერებში ფიგურირებს, არის საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და ნორმატივები. საბიბლიოთეკო თემატიკის გარდა იბეჭდება სამართლებრივი ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, საავტორო უფლებების, საგამომცემლო და სხვა მსგავსი თემების შესახებ. პირველივე ნომერებში დაიბეჭდა „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წესდება“, „კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“, იუნესკოს მიერ შემუშავებული „საჯარო ბიბლიოთეკების მანიფესტი“ და ა.შ. ამით საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებს



„საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“



საშუალება მიეცათ, შეესწავლათ ეს მასალა და თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე, საკუთარი მოსაზრებებიც გამოეთქვათ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე.

სამართლებრივი საფუძვლების გაცნობის გარდა, ჟურნალში შუქდება საბიბლიოთეკო საქმის წარმოების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ეს პირველ რიგში ეხება ბიბლიოგრაფიული აღწერის საერთაშორისო სტანდარტებს, რამაც გარკვეული ცვლილება განიცადა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. დრომ აქტუალური გახადა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პროცესი. ეს საბიბლიოთეკო სფეროსაც შეეხო. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტები ელექტრონული რესურსების შექმნისა და მათი გამოყენების ფორმების შესახებ თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ კოლეგებს როგორც ტრენინგების სახით, ასევე პროფესიული ჟურნალის საშუალებითაც. ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მოჰყვა ახალი ტერმინოლოგიაც. შესაბამისად, ჟურნალის ფურცლებზე ამ საკითხზე მსჯელობასაც დაეთმო ადგილი.

ცალკე აღსანიშნავია კითხვის მართვის თემაც, რომელიც კომპლექსური საკითხია და საბიბლიოთეკო სპეციფიკასთან ერთად მოიცავს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ელემენტებსაც. კითხვის კულტურა ადამიანს ბავშვობიდან უყალიბდება და ამ პროცესის მართვის ბერკეტს, ოჯახთან ერთად, ბიბლიოთეკაც ფლობს. ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მუდმივად ამუშავებდა ამ თემას რუბრიკებში: „წიგნის კითხვა“, „ბავშვთა კითხვის სპეციფიკა“, „ბავშვთა და ახალგაზრდების კითხვა“ და ა.შ.

„საქართველოს ბიბლიოთეკაში“ გამოქვეყნებულ სტატიები ეხება ყველა ტიპის ბიბლიოთეკებს: მასობრივ, უნივერსალურ, პროფილურ, სასკოლო, უმაღლესი სასწავლებლების და ა.შ. ჟურნალში განხილული საკითხები მოიცავს საბიბლიოთეკო საქმიანობის ფაქტობრივად ყველა სფეროს: დაკომპლექტებას, კატალოგიზაციას, საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა-შენახვას, მკითხველთა მომსახურებასა და სხვ. ტრადიციული ფორმების პარალელურად გაჩნდა ახალი, განსხვავებული ცნებები, რომლებიც დრომ მოიტანა. მაგალითად, მნიშვნელოვანი გახდა საბიბლიოთეკო მარკეტინგის საკითხი. საბიბლიოთეკო ინფორმაციის მინოდების ფორმებს საბჭოური საბიბლიოთეკო სისტემა ამაუშავებდა, მაგრამ ახალმა რეალობამ განსხვავებული ხედვა, შემოქმედებითი მიდგომა მოითხოვა. სხვათა გამოცდილების გაცნობა-გაზიარების სურვილის

ქართული წიგნი

• ეროვნული გმირი გავაპი • ინფორმაცია • პიპლოგრაფია • კატალოგი • 201 წ. სწავლებელი • №9 • წიგნი 20 თვეში •

აუ-აუ-აუ!

დედა ანა

1876 „დედა ანა“ 125 წლისაა 2001

ქირეპალი ნიჭები

გაზეთი „ქართული წიგნი“

შესაბამისად, ეს თემა აისახა კიდევ ჟურნალში (რუბრიკა „მეთოდური სამსახური: გზა მოდერნიზაციისაკენ“).

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას“ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების გარდა, სხვა პროფესიის მკითხველებიც ჰყავს, რომელთაც აინტერესებთ წიგნის ისტორია, ძველი ცნობილი თუ დღევანდელი მსოფლიოს მსხვილი ბიბლიოთეკების ისტორია, მათი მუშაობის თანამედროვე ფორმები. იგივე ითქმის კულტურის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციებზეც და ამ ინტერესთა დასაკმაყოფილებლად, ჟურნალში იბეჭდება როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი სტატიები.

ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობა განსაზღვრა საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროში შექმნილი რთული ვითარების შეფასებისადმი მისმა უკომპრომისო პოზიციამაც. მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო გახდა რუბრიკა „ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა საუკუნის დასაწყისში“, რადგან აქ გამოქვეყნებულ მასალებში აისახა საქართველოს ბიბლიოთეკების სავალალო მდგომარეობის ერთიანი სურათი 21-ე საუკუნის დასაწყისში. მართლაც, მრავალი ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომელიც საბიბ-




ლიოთეკო სფეროსაც შეეხო. საქართველოს თავისუფალი, დემოკრატიული, განვითარებული სამყაროსკენ სწრაფვის კვალდაკვალ, საქირო იყო საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება დროის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. თუმცა იმ მეთოდებმა, რომლითაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება, საბიბლიოთეკო ცხოვრება უფრო დააზარალა. თანმიმდევრული განვითარების ნაცვლად, დაიწყო ძველი სისტემის დაუნდობელი ნგრევა – საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ზედიზედ იხურებოდა ბიბლიოთეკები, ნადგურდებოდა ფონდები, ბიბლიოთეკარები კარგავდნენ სამსახურს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა რჩებოდა საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. არცთუ იშვიათად, ამ პროცესს საფუძვლად ედო კერძო პირთა მიერ იმ შენობათა დაუფლების სურვილი, სადაც ბიბლიოთეკები იყო განთავსებული.

ქართული განათლებული საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო ასეთი ვითარება. ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ აქტიურად ჩაერთო ამ პროცესების გაშუქებაში. იბეჭდებოდა ინფორმაციები ბიბლიოთეკების შესახებ, სადაც საუბარი იყო მათ სირთულეებსა თუ პერსპექტივებზე. მწვავე მასალას ზოგჯერ ფონდების განადგურების ამსახველი ფოტომასალაც ახლდა, რაც უფრო ათვალსაჩინოებდა პრობლემას. ამავდროულად ჟურნალი, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, წარმატებული განახლების მაგალითებსაც აშუქებდა. ბიბლიოთეკარები ეცნობოდნენ სხვა ბიბლიოთეკებში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესებს, აანალიზებდნენ მსგავსებასა და სხვაობას, ეძებდნენ გამოსავალს. ასეთმა მიდგომამ ბევრს საკუთარი პრობლემების გასაჯაროებისაკენ უბიძგა.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს რეგიონების ბიბლიოთეკართა წერილებს (რუბრიკა „კორესპონდენციები“). ავტორები მკითხველებს მოუთხრობენ თავიანთი ბიბლიოთეკების ისტორიის შესახებ, აღწერენ ჩატარებულ ღონისძიებებს, უზიარებენ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას და ასევე, აცნობენ მუშაობის ხელისშემშლელ ვითარებასაც. საბიბლიოთეკო ასოციაცია (პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი), ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, ცდილობს წერილებში მითითებული პრობლემების მოგვარებას საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში. ასოციაციამ ბევრჯერ მოახერხა კიდევ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დახმარებოდა კოლეგებს. ასეთი დამოკიდებულება სტიმულს აძლევს რეგიონების ბიბლიოთეკებს, რომ კიდევ უფრო მეტად ჩაერთონ საერთო საბიბლიოთეკო ფერხულში, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორ-

ციელებულ პროექტებში. ეს აქტივობებიც სათანადოდ აისახება ჟურნალში, რომელთანაც, ამავე დროს, იქმნება ერთგვარი საბიბლიოთეკო ინფორმაციული ბანკი.


„საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია ცდილობს საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრში იყოს. ფაქტობრივად ყველა ნომერში იბეჭდება მნიშვნელოვანი მოვლენებისა თუ საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი წერილები. ამავე დროს, რედაქცია ჟურნალის ყოველი წლის ბოლო ნომერში ათავსებს მომდევნო წლის მნიშვნელოვანი თარიღების კალენ-



დარს, რომელიც ეხმარება ბიბლიოთეკებს კულტურული ღონისძიებების დაგეგმვაში.

„საქართველოს ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა საზოგადოებისათვის ახალი გამოცემების წარდგინება. ჟურნალს არ შეუძლია და არც აქვს საქართველოს საგამომცემლო სიახლეების სრულფასოვნად ასახვის მიზანი, მაგრამ ყოველ ნომერში მკითხველი ეცნობა თემატიკისა თუ მნიშვნელობის მიხედვით შერჩეული გამოცემების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს. ჟურნალში ხშირად იბეჭდება ვრცელი სრულფასოვანი რეცენზიებიც.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, გარდა პროფესიული საკითხებისა, აქვეყნებს ბიბლიოთეკართა შემოქმედების ნიმუშებსაც (რუბრიკა „ჩვენი შემოქმედება“). რედაქცია ამ შემთხვევაში არ გამოდის მკაცრი ცენზორის როლში, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია კოლეგების შემოქმედებითი ნახალისება. აღსანიშნავია, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ბიბლიოთეკართა შორის აღმოჩნდნენ ნიჭიერი პოეტები და პროზაიკოსები, რომელთა ქმნილებები



შემდეგ შევიდა საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ გამოცემულ სამ კრებულში „ბიბლიოთეკარი პოეტი I“, „ბიბლიოთეკარი პოეტი II“ და ბიბლიოთეკარი პროზაიკოსი“.

23 წელი საკმაოდ სოლიდური დროა ისეთი ტიპის პერიოდული გამოცემისათვის, როგორცაა „საქართველოს ბიბლიოთეკა“. ამ ხნის განმავლობაში ჟურნალმა მოიპოვა მნიშვნელოვანი ავტორიტეტი საბიბლიოთეკო სფეროში. კიდევ უფრო განმტკიცდა მისი პოზიციები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მორალური და ფინანსური მხარდაჭერით (გენერალური დირექტორი – გიორგი კეკელიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე – მირიან ხოსიტაშვილი). საერთო სიხარულისა და სატკივრის ობიექტური ასახვით, ჟურნალმა საქმიანად და მნიშვნელოვნად დააახლოვა საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოება. ასე რომ, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას“ უკვე აქვს მდიდარი და საამაყო ისტორია და, რაც მთავარია, იგი დღესაც ისევ პატიოსნად და პროფესიული კეთილსინდისიერებით აგრძელებს როგორც ბიბლიოთეკართა, ისე დაინტერესებულ მკითხველთა სამსახურს.

ქვემო რაჭის საერო წიგნსაცავ-სამკითხველო ამბროლაურში XIX საუკუნის მიწურულს

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით სწრაფი ტემპით წარიმართა საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება სრულიად საქართველოში. ეროვნული ცნობიერების ზოგადმა ამაღლებამ, ქართული დაწყებითი სკოლებისა და პერიოდული გამოცემების მომრავლებამ, თავის მხრივ, განაპირობა უფასო სახალხო წიგნსაცავ-სამკითხველოების გახსნის საჭიროება სამაზრო ცენტრებსა და სოფლებში. ცხადია, უურნალ-გაზეთებიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ამ პროცესის პროპაგანდას, წიგნსაცავ-სამკითხველოების დაარსებისა და ფუნქციონირების



ნიკიფორე კანდელაკი

საკითხთა გაშუქებას. სწორედ ამიტომ, უმთავრესად იმდროინდელი პერიოდული გამოცემების მასალები გვაძლევს საშუალებას, გავეცნოთ აღნიშნული საქმის მიმდინარეობას ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში. ჩვენ დავინტერესდით, რა ვითარება იყო ამ მხრივ რაჭაში, საქართველოს რეგიონთა შორის პირველში, სადაც იმ საუკუნის დასაწყისში სტამბა მოქმედებდა და ქვემო რაჭის საერო-თავო მამულში, სოფელ წესში, გამოიცა ორი მცირეფორმატიანი ქართული სასულიერო წიგნი. („სავედრებელი ღვთისმშობლისა“, 1809 წ.; „გამოკრებილი სადღესასწაულო“, 1811 წ.). ამჯერად ჩვენი ინტერესიც სწორედ ქვემო რაჭით შემოიფარგლა და მაშინდელ სოფელ ამბროლაურში უფასო საერო წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსების ამბისა და მისი მესვეურების წარმოჩენას შევეცდებით.



ქველი ჟურნალ-გაზეთების სტატიებმა დაგვანახეს, რომ როგორც ზემო, ისე ქვემო რაჭა აქტიურად ჩაერთო საქართველოს მამულებით მიმდინარე საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. დასახელებულ პერიოდში საერო სამკითხველოები გაიხსნა ონ-შიც და ამბროლაურშიც. ამ თემასთან დაკავშირებულ მასალებს ბეჭდავდა: ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“; ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემა „ცნობის ფურცელი“; ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „კვალი“ და სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხებზე გამორჩეულად მეტ ინფორმაციას გვანვდის გაზეთი „ივერია“. ჩვენ აქ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოვადგენთ ამბროლაურის სამკითხველოს შესახებ მოძიებულ პუბლიკაციათა შინაარსსა და შესაბამის მონაკვეთებს რაჭიდან გაგზავნილი კორესპოდენციებისას:

„ივერია“, 1893 წელი, 20 მარტი, №59, გვ. 4. — ქვემო რაჭის წიგნსაცავის დროებითი გამგე, მღვდელი იოანე ჭიჭინაძე, მადლობას უცხადებს წიგნსაცავისთვის შემონირულობის გამღებთ და თითოეულად წარმოაჩენს მათ: ბლალოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი — 12 ქართული წიგნი; ქართული ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი „მეურნე“, ამ გამოცემის პირველი, 1888 წლის ნომრები; გაზეთ „ივერიის“ 1891-1892 წლების ნომრები; რუსული საკვირაო გაზეთი 1891 წლისა, 12 წიგნად, რუსული ჟურნალი 1889 წლის, 3 წიგნად — სულ 43 მანეთის ღირებულების; მღვდელი მიხეილ მესხი — 20 ქართული ბროშურა, 1 მანეთის; მღვდელი სიმონ კახეთელიძე — 9 ქართული წიგნი, 1 მან. 70 კაპ.; ტრიფონ ბედელაძე — 6 რუსული და 1 ქართული წიგნი, 5 მან.

„ივერია“, 1893 წელი, 12 მაისი, №98, გვ. 3. — „წერილი რედაქციის მიმართ“ ქვემო რაჭის წიგნსაცავის დამაარსებელი ამხანაგობის წევრთაგანი, ბლალოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს შემომწირველებს. ესენია: პარმენ კვიცარიძე — 18 ქართული წიგნი, 4 მან. 45 კაპ.; ბ-ნი ნიკოლოზ კაპ. მესხი — 9 ქართული და 2 რუსული, 3 მან. 40 კაპ.; ბ. თ. ენუქიძე — 22 ქართული და 3 რუსული, 6 მან. 40 კაპ.; ქლიდა ჯაჭვადის ასული — 4 ქართული, 1 მან. 20 კაპ.; მღვდელი ვ. დოლაბერიძე — 11 ქართული, 4 მან. 40 კაპ.; დიაკონი ისიდორე სვანიძე — 2 ქართული და 3 რუსული, 2 მან.; ბ-ნ. მ.ზ. სხირტლაძე — 5 ქართული. 1 მან. 30 კაპ.; მღვდელი ნ. გიორგაძე — 3 აბაზი ფულად.

„ივერია“, 1893 წელი, 24 ივნისი №132, გვ. 3. — „წიგნსაცავის დაარსების გამო ქვემო რაჭაში“. ამ საქმის წამომწყები და ორგა-

ნიზატორი ნიკიფორე კანდელაკი უპირველესად აღნიშნავს გაზეთ „ივერიის“ მუდმივ მცდელობას კარგად გააცნობიეროს საზოგადოება ჩვენი სოფლებისათვის ბიბლიოთეკათა საჭიროებაში; შემდეგ წარმოაჩენს ფაქტს, რომ ქვემო რაჭა მოკლებულია ამ ძვირფას საუნჯესა და სულიერი საზრდოს სალაროს. უამისოდ სოფლის მასწავლებლები და მღვდლები, სიღარიბისა გამო წიგნების შეძენა რომ არ შეუძლიათ, ძალაუწებურად ჩამორჩებიან გონების საჭირო განვითარებას. ასევეა რაჭის მოსახლეობა, რომელთაგანაც, ვისაც კი ანბანი უსწავლია პირველ დაწყებით სკოლაში, სიყვარულიც აქვს წიგნის კითხვისა. ამიტომ განიზრახა ქვემო რაჭაში წიგნსაცავის დაარსება და 1892 წლის ღვინობისთვეში ამ კეთილ საქმეში დასახმარებლად მიმართა მისდამი რწმუნებულ სამღვდლოებს. თხოვნა შეიწყნარეს, თითოეულმა ყოველწლიური ჯამაგირის თითო პროცენტი შეწირა წიგნთსაცავს. რაკი სამღვდელოების ეს შეწირულობა, სანევროს სახით გაღებული, ოც მანეთს არ აღემატებოდა და წიგნთსაცავის ზრდასა და წარმატებას ვერ უზრუნველყოფდა, ნიკიფორე კანდელაკი გაზეთის მეშვეობით გულითადი თხოვნით მიმართავდა განათლებულ რაჭველებს, ადგილობრივად მცხოვრებთ თუ სხვაგან მყოფთ: „თუ ვინმე მხოლოდ სათავისოს არ ეძებს, არამედ მოყვასისათვისაც ... და წარმოდგენილი აქვს ჩვენი ყოფა-მდგომარეობა, აღმოგვიჩინოს შემწეობა ამ საქმეში, ფულით იქნება თუ წიგნით. ამასთანავე, შემომწირველთ ვსთხოვ, რომ წიგნებს ფასი დაუწერონ, რომელთაც კი არ ექნებათ ზედ აღნიშნული“. მიმართვა მთავრდება შემომწირულობათა მიმღების მისამართით: «Въ М. Они. Благодичному священнику Никифору Канделаки», ზღალ. მღ. ნიკიფორე კანდელაკი, ს. ველევი“. (მისამართი დაუწერია რუსულად, რადგან იმდროინდელ საქართველოში ფოსტაც დამპყრობელის ენაზე ფუნქციონირებდა).

„ივერია“, 1893 წელი, 29 ივლისი, №160, გვ. 4. — „წერილი რედაქციის მიმართ“ ქვემო რაჭის წიგნსაცავის დამაარსებელი ამხანაგობის წევრთაგანი, ზღალოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი გაზეთის საშუალებით მაღლობას უცხადებს შემომწირველებს. ესენია: ა. გ. გურგენიძე — ქართული წიგნი და 6 რუსული, 8 მან. 60 კაპ.; ი. მ. კიკვაძე — 12 ქართული და 4 რუსული, 5 მან.; ნეს. ფურცელაძე — 16 ქართული, 3 მან. 75 კაპ.; ნ. კანდელაკი — 3 ქართული და 5 რუსული, 3 მან. 65 კაპ.; ი. ს. ენუქიძე — 1 ქართული, 3 მან.; პ. თედევი — 1 ქართული, 2 მ. 50 კაპ.; მალ. სირაძე — 4 ქართული და 1 რუსული, 2 მან. 20 კაპ.; ქალბატონი კ. პეტრიაშვილისა — 2 ქართული, ყდაში, 2 მან.; ქოქაშვილი — 6 ქართული და 1 რუსული, 2 მან.; ძმები გრ. და მოსე თოიძეები — 10 ქართული, 1 მან. 80 კაპ.;

მღვდ. ს. კახეთელიძე – 1 ქართული, 1 მან. 50 კაპ.; ბუქურაული – 1 ქართული, 1 მან.; მოსე თოიძე – 5 ქართული, 85 კაპ.; ქალბატონი კალისტინე მესხისა – 6 ქართული, 75 კაპ.; ალ. ჯუღელი – 1 ქართული, 50 კაპ.; ვასილ ჯაფარიძე – 2 ქართული, 35 კაპ. შენირულობა სულ იყო 39 მანეთისა და 45 კაპიკის.

„ივერია“, 1893 წელი, 25 სექტემბერი, №205, გვ. 2. – ქვემო რაჭის წიგნსაცავის დამაარსებელი ამხანაგობის წევრთაგანი, ბლალოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს შემომწირველებს. ესენია: ვ. დათეშიძე – საქართველოს ისტორიის წიგნები: ვახუშტისა, დ. ბაქრაძისა, მ. ჯანაშვილისა; ასევე ან. ფურცელაძის ისტორიული მოთხრობა „დავით ასლანიშვილ-ჯანდიერი“; ნ. ბარათაშვილის თხზულებანი ყველა შემოსილი მშვენიერი ყდით. 4 მან. (ესაა ერთადერთი შემთხვევაა, როცა აღინიშნა წიგნთა თემატიკაც, შესაძლოა, საქართველოს ისტორიით მეტი დაინტერესებულის მისაზიდად); ყ. პ. ნანეიშვილი – 6 ქართული. 5 მან. 60 კაპ.; ი. კილაძე – 9 წიგნი. 2 მან.; სტეფანე გოგიტიძე – 5 რუსული. 1 მან. 50 კაპ.; ბ. ნანეიშვილი – 1 ქართული. 15 კაპ.; სემინარიის კურსდამთავრებულები: ს. წერეთელი – 5 ქართული. 1 მან. 20 კაპ.; ი. შუაქრიშვილი 3 ქართული. 1 მან. მეექვსე კლასის მოწაფეები: პ. ფონჯავიძე – 4 ქართული. 1 მან. 20 კაპ.; ცინცაძე – 2 ქართული, ყდაში. 1 მან.; იპ. ვართაგავა – 2 ქართული. 45 კაპ.; მ. ჭყოიძე – 3 ქართული წიგნი. 1 მან. 20 კაპ.; ი. ახალშენიშვილი 1 ქართული წიგნი. 40 კაპ.; ა. თვალავაძე – 1 ქართული წიგნი. 30 კაპ.; კ. ანთაძე – 1 ქართული წიგნი. 20 კაპ.; ა. ნადირაძე – 3 ქართული წიგნი. 30 კაპ. და მესამე კლასის მოწაფე ბურჯანაძე – 3 ქართული წიგნი. 65 კაპ. მთლიანად შენირულობა 21 მან 15 კაპ. ღირებულების. დასასრულს ნიკიფორე კანდელაკი მადლობას უცხადებს მათაც, ვინც შემომწირულობის გარდა, სხვა სახით ეხმარება წიგნსაცავს და კვლავაც თანადგომას იმედოვნებს.

„ივერია“, 1893 წელი, 22 ოქტომბერი, №227, გვ. 2. – ქვემო რაჭის წიგნსაცავის დამაარსებელი ამხანაგობის წევრთაგანი, ბლალოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს შემომწირველებს: თავადი დიმიტრი ა. ყიფიანი – 5 წიგნი. 3 მან.; ქალბატონი ლიუცია სპირიდონის ასულს გორდებანიასა – 12 ქართული წიგნი. 4 მან. 75 კაპ.; მღვდელი ალ. შარაბიძე – 20 ქართული წიგნი. 3 მან.; აზნაური თეოფილე ს. გიორგობიანი – 17 ქართული წიგნი. 2 მან. 65 კაპ.; სულ 13 მან. 40 კაპ.; ფულის ერთჯერადად შემომწირველები: თავადი ქაიხოსრო გელოვანი – 3 მან, თავადი ალექსანდრე ყიფიანი – 1 მან.; თავადი



ლევან ყიფიანი - 1 მან.; რევაზ ყიფიანი - 2 მან.; კაპიტანი სივცოვი - 5 მან. ბლალოჩინი მღვდელი, ნიკიფორე კანდელაკი - 3 მან. მალაქია სირაძე - 2 მან.; ნესტორ მენაბდე - 1 მან.; უ. ჭეიშვილი - 1 მან.; აზნაურები: ასლან კვიციანი, კოსტანტინე მაჭავარიანი, პავლე მაჭავარიანი, ალექსანდრე ბაქრაძე, ბესარიონ მხეიძე, ალექსანდრე კვიციანი, ვარლამ ბაქრაძე, ნესტორ ჯაფარიძე, ალექსი გოცირიძე, ალექსანდრე სამაკაროვი, დათიკო კანდელაკი და პანტელეიმონ ბაქრაძე - თითო მანეთი, თევდორე შარაბიძე და სხვით სურულაძე - თითო მანეთი. ასევე ყოველწლიური სანეგროს - თითო მანეთის, გადახდის მსურველნი და მიმდინარე წლის თანხის შემტანნი: აზნაური ასლან კვიციანი, ბესარიონ მხეიძე და დათიკო კანდელაკი; ბლალოჩინი მღვდელი, ნიკიფორე კანდელაკი - 2 მან. მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე 1 მან. სულ 1893 წლის 9 ოქტომბერს ფულად შეგროვდა 41 მან. 60 კაპ.

„ივერია“, 1894 წელი, 6 სექტემბერი, №189, გვ. 2. - „ახალ ამბებში“ ცალ-ცალკე მცირე ინფორმაციებია რაჭიდან. მათ შორის სამკითხველოებზეც. ერთი იტყობინება სოფელ ამბროლაურში სახალხო სამკითხველოს გახსნის მოსურნეთა 16 აგვისტოს შემდგარ კრებაზე. თანამდგომთა უმეტესობა არიან ბლალოჩინები და მღვდლები. გადაწყდა: სამკითხველო გაიხსნება ამბროლაურის აფთიაქის შენობაში; დროებით გამგე იქნება აფთიაქარი, რომელიც სამკითხველოს უსასყიდლოდ უთმობს ოთახს; არჩეულ კომისია კი განაგრძობს წიგნსაცავის შევსების საქმეს.

„ივერია“, 1894 წელი, 25 სექტემბერი, №204, გვ. 3. - ვ. (ვანო, ივანე) ნულუკიძის წერილი ამბროლაურში 12 სექტემბერს გამართული კრების შესახებ, წიგნსაცავ-სამკითხველოსა და წიგნის მალაზიის დაარსების თაობაზე. 40 კაცამდე დამსწრეთა შორის უმრავლესობა სამღვდლოება იყო, ახალგაზრდა, სემინარიადამთავრებული მღვდელი და ბლალოჩინი, მხარდამჭერი მამა ნიკიფორე კანდელაკის წამოწყებისა: „თითოეული მათგანი მონადინებულია ყოველ ნაირ ღონის ძიებით ნათელი შეიტანოს თავის მიგდებულს და გაუნათლებელ სამწყსოში“. თვითონ მამა ნიკიფორეც „თავისს შრომასა და მეცადინეობას არ აკლებდა იმ კეთილი აზრის განხორციელებას. განუწყვეტილად უყრიდა თავს წიგნებს და სხვა საშუალებას ჰპოულობდა წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. დღეს 400-ზე მეტი წიგნია და ეს რიცხვი თანდათან ჰმატულობს“. კრებამ განიხილა წიგნსაცავის, სამკითხველოსა და წიგნის მალაზიის „წესდება“, რომელიც საზოგადოდ მიღებულის გარდა, ხალხისა და გარემოების შესაბამის სხვა მუხლებსაც შეიცავდა. წესდების მიხედვით, წიგნები უნდა ჰქონოდათ ქართულ და რუსულ ენებზე.



გაცემა მოხდებოდა მხოლოდ ამხანაგობის წევრებზე, თუ ხალხში საკითხავად, აგრეთვე დასარიგებლად. წევრების სამი კატეგორია იყო: საპატიო – წლიური შენატანით 5 მანეთი; ნამდვილი – საწევრო 3 მანეთი და თანამგრძნობნი – 1 მანეთი. წიგნსაცავის, სამკითხველოსა და წიგნის მაღაზიის საქმეთა მოსაწესრიგებლად, 3 წლის ვადით აირჩიოდა კომიტეტი, რომელიც: თავად აირჩევდა თავმჯდომარეს; დანიშნავდა საცავის გამგეს; შეადგენდა სტატისტიკურ ცნობებს – ლიტერატურის მოთხოვნაზე, წიგნებისა და კითხვის გავრცელებაზე; წელიწადში 2-ჯერ წარადგენდა ანგარიშს წევრთა წინაშე. სამკითხველოს უნდა მოეხერხებინათ თვიური, საკვირაო და დღიური გამოცემების გამონერა; უზრუნველყო წიგნისა და პერიოდიკის კითხვა ადგილზე; ახალი ჟურნალ-გაზეთები უნდა დახვედროდა მომსვლელ მკითხველებს 10 დღის განმავლობაში, შემდეგ კი წევრებს შეეძლოთ გატანა 7 დღით. წიგნსაცავითა და სამკითხველოთი სარგებლობა იყო უფასო. მაღაზიაში წიგნთა ღირებულება უნდა დაედგინათ საგამომცემლო ფასის 10% მოგებით; უნდა ჰქონოდათ სახელმძღვანელოები და სხვა ყოველნაირი ლიტერატურა, მოთხოვნის შესაბამისად. კრებამ მოინონა და დაამტკიცა. დამსწრენი ჩაენერენ ამხანაგობის საპატიო წევრებად და აირჩიეს კომიტეტიც. ამ ინფორმაციის ავტორს, ვანო წულუკიძეს მიაჩნია, რომ ეს დასახული საძნელო და შრომატევადი საქმე აუცილებელია უგნურებისა და უფიცობის წინააღმდეგ, სასარგებლოა საზოგადოებისათვის და უკვე გაკეთებული საქმე და საწევრო გადასახადები წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდეს, საჭიროა განხორციელდეს ამ საქმის დედააზრი – „წიგნისა და კითხვის გავრცელება ხალხში“, ანუ არა მხოლოდ სიმრავლე წიგნიერ მკითხველთა, არამედ წიგნისა და კითხვის საყოველთაო გავრცელება: „საქმე ეს არის, რომ მდაბიო ხალხი მივიზიდოთ, იმას მივცეთ ცოდნა წერა-კითხვისა და აღვუძრათ სიმშვილი გონებრივის საზრდოსი“.

„მწყემსი“, 1894 წელი, 14 ოქტომბერი, N18, გვ. 5. – „წიგნსაცავის დაარსება ამბროლაურს (რაჭაში)“. ესეც ეხმიანება ზემოაღნიშნულ, წესდების განსახილველ შეკრებას. ჩვენ მისგან მოვიხმობთ მხოლოდ დამატებით ან განსხვავებულად წარმოჩენილ ინფორმაციებს: 12-ის ნაცვლად, კრების თარიღად მითითებულია 14 სექტემბერი; დაზუსტებულია შეკრების ადგილი – ამბროლაურის საგლეხო კანცელარია; ასევე დამსწრე პირთა რაოდენობა – 35 წევრი; დასახელებულნი არიან ბლალოჩინი მათე გორდებიანი და მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე, ნიკიფორე კანდელაკის გულითად თანაშემწეებად წიგნსაცავის დაარსებაში საქმეში, როგორც წესდების შემუშავებაში, ისე ამხანაგობის წევრთა შემოკრება-

ში. აქტიურ მონაწილეებად მოიხსენიებიან აგრეთვე მღვდლების შვილები – ლორთქიფანიძე და მინდელი. წესდება განუხილავთ ხანგრძლივი მსჯელობით. შემდეგ გამართულა სადილიც, ჩვეულებისამებრ, სადღეგრძელოებით. ამხანაგობის წევრს, თავად ასლან ერისთავს დაულოცავს ნიკიფორე კანდელაკი, როგორც ამ საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმის წამომწყები. თავის მხრივ, კანდელაკს წარმატება უსურვებია ამხანაგობისათვის. რომელშიც, სხვათა შორის, განწევრიანებული ყოფილან რაჭის სასამართლოსა და პოლიციის ბოქაულებიც; ნიკოლოზ მრეველოვი (მაღლეგი თვითონ გახდა დამაარსებელი ზემო რაჭის, ონის, სახალხო სამკითხველოსი, რომელიც 1895 წელს ამოქმედებულა) და ბესარიონ მდივანი. „ამათი მონაწილეობა ამ საქმეს დიდ დახმარებას მისცემს, იმ დახმარებას კი არა, რომ აქ პოლიციის ან სუდის ძალა იყოს საჭირო, არამედ მათ, ვითარცა თანამდებობის პირთ, ბევრი იცნობსთ და წევრების გამრავლებაში აღმოუჩინენ ამ დაწესებულებას შემწეობას“, – წერს სტატიის ავტორი, „ამხანაგთაგანი“. იგი ნაჩქარევად მიიჩნევს კრების გადაწყვეტილებას წიგნის მალაზიის გახსნაზეც აფთიაქის იმ ოთახში, სხვა შენობის დაქირავებამდე ან აშენებამდე, აფთიაქარმა რომ დაუთმო წიგნსაცავს. ორივე სასურველი საქმეა, მაგრამ ჯერ წიგნსაცავ-სამკითხველოს ფეხზე დაყენება აჯობებდა, ორი კურდღლის მდევარივით რომ არ მოხდესო.

„ივერია“, 1894 წელი, 4 დეკემბერი, №257, გვ. 3. – ამბროლაურის სახალხო წიგნსაცავის წევრთა მადლობა თანხის შემწირვლების მიმართ: ე.დ. ჭიჭინაძე – 40 კაპ.; კაპ.ი. ვანაძე – 40 კაპ.; გ. წულუკიძე – 20 კაპ.; თ.ს. გელოვანი – 1 მან.; პ.ა. ბაქრაძე – 1 მ.; ს. გ. სურდულაძე – 1 მან.; მღვ. გ.მუსერიძე – 1 მან.; ს. გელაშვილი 40 კაპ.; კ.თ. სურდულაძე – 1 მან.; თ. ჯ.ნ. ყიფიანი – 1 მან.; ბ. გოცირიძე – 10 კაპ.; კნ. ნ. ყიფიანისა – 2 მან.; კნ. ე. წულუკიძისა – 1 მან.; პ. გოცირიძისა – 1 მან.; კნიაჟ. მ. და პ. წულუკიძეები – 1 მან.; ქვრივ. ე. ჯაფარიძისა – 1 მან.; ბ.ს. ფოფხაძისა – 1 მან.; ლ.ს. გორდეზიანისა – 1 მან.; კნ. ა. გელოვანისა – 1 მან.; თ. მ. ნ. ყიფიანი – 1 მან.; კნ. ბ. გელოვანისა – 1 მან.; თ. ლ. ლ. ყიფიანი – 1 მან.; აზ. არ. ცხვედიანი – 40 კაპ.; აზ. ი. დაშნიანი – 40 კაპ.; აზ. ა. მეტონიძე – 20 კაპ.; აზ. ი. ცხვედია – 40 კაპ.; აზ. ა.ი. წერეთელი – 40 კაპ.; რუსუდან პაკროვსკისა – 1 მან.; სულ ოცდაორი მან. და ექვსი შაური.

„კვალი“, 1896, 16 ივნისი, №26, გვ. 467, – „საქველ-მოქმედო საქმე“ ამბროლაურის სამკითხველოს მმართველი, ბლადოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი გაზეთის მეშვეობით უგულითადეს მადლობას უცხადებს: ქ-ნ ეფრ. დათეშიძისას, ადელი მაჭარაძისას, მღვდელ პლ. ელბაქიძეს, ნ. პეტრიაშვილს, ბ. ხიდურელს, ა.

ბოქორიშვილს, ი. როსტომაშვილს, ვ. ნაცვლიშვილს, დ. გიორგობიანს, ს. მესხს, ქართული და რუსული წიგნებისათვის; ბ. მეთრდე მხეიძეს, ამბროლაურის სამკითხველოსათვის გაზეთ „მეურნის“ გამომწერს თავისი თანხით; ასევე ბ. ა. ბახტაძეს – 3 მანეთის შემწირველს.


„ცნობის ფურცელი“, 1897 წელი, 20 თებერვალი, №121, გვ. 3. – „ახალ ამბებში“ რაჭის შესახებ ინფორმაციის ბოლო, მეოთხე საკითხი ეხება ქვემო რაჭის უფასო სამკითხველო: „ეს სამკითხველო, თუმცა ჯერ ნორჩია, მაგრამ შესამჩნევად დაამჩნივა კვალი საზოგადოებას გონებით დანიანაურებასა და სიფხიზილში“. აღნიშნულია ასევე მკითხველთა რაოდენობის მნიშვნელოვანი მატება მიმდებარე სოფლებისა და, განსაკუთრებით, ამბროლაურის მოსახლეობაში. სამკითხველოს ფუნქციონირების ასეთი დადებითი შედეგების მიუხედავად, კორესპოდენტის ანონიმი ავტორი საყვედურობს წიგნსაცავის დამაარსებელს, საქმისადმი გულგრილობასა და სამკითხველოს მიმართ უზრუნველობას აბრალებს, უფრო მეტიც, უჩივის კიდევ: „თავის დროზე არ ნებულობს რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების დაბარებას სამკითხველოსთვის და ეს გარემოება გულს უცრუებს ხალხს თვით სამკითხველოზე; ფული კი სამკითხველოსთვის 200 მანეთამდე უნდა იყოს წევრთაგან შემოსული. იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დატოვებს, ვისგანაც ჯერ არს“.

„კვალი“, 1897 წელი, 1 ივნისი, №23 გვ. 447 – „ახალ ამბებში“. სოფ. ამბროლაური, (რაჭის მაზრა) აღნიშნულია, რომ ამბროლაურის სამკითხველო ერთ პატარა, სუფთა ოთახშია მოთავსებული, სადაც უფასოდ შეუძლია მკითხველს ჟურნალ-გაზეთები იკითხოს, წიგნები კი, თუ სურს, სახლშიც წაიღოს. სამკითხველოს დაარსება დიდი სიხარული იყო, მაგრამ ახლა, ამხანაგობის წევრებს საწევროს გადახდა უჭირთ, უფულოდ კი რა გაკეთდება? წინა წელს გამომწერილი ჰქონდათ: „ივერია“, „კვალი“, „მეურნე“ და რუსული გაზეთებიც, მარტო „ივერია“ აქვთ. ვლადიმერ გამყრელიძე, სამკითხველოს მმართველად დანიშნული (ნიკიფორე კანდელაკის შემდეგ) თავს ანებებს ამ საქმეს, 5 თვის ჯამაგირის მიუღებლობის გამო. აქაც გამოთქმულია საყვედური ამბროლაურის წიგნსაცავის დამაარსებლის, ნიკიფორე კანდელაკის, მიმართ: „სამკითხველო კაი ხანია ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული, ვინც მისი დაარსება მოინაღინა, არც ფულით და არც საქმით მისთვის აღარ ზრუნავს. ვ. ქ.“ (შესაძლოა, ეს იყოს ვანო, ანუ იოვანე ჭიჭინაძე, პირველი და დროებითი მმართველი ამბროლაურის ბიბლიოთეკისა).

„ივერია“, 1897 წელი, 11 დეკემბერი, №256. გვ. 2. — „სოფ. ამბროლაური, (რაჭა)“. მცირე შეტყობინებაა, რომ 3 წელია, რაც ბლალოჩინი მღვდლის, კანდელაკისა და სხვა მღვდელთა მცდელობით წიგნსაცავ-სამკითხველო დაარსდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ღარიბია. იმედია, გაზეთებისა და წიგნების გამომცემლები გაითვალისწინებენ ჩვენს გაჭირვებას და დაგვითმობენ თითო-ოროლა გაზეთს, წიგნს.

„ივერია“, 1897 წელი, 18 დეკემბერი, №262. გვ. 2. — „დაბა და სოფელი. მონერილი ამბები“. მთელ რაჭაში მხოლოდ ორი სახალხო წიგნთსაცავია — ერთი დაბა ონში, მეორე კი სოფელ ამბროლაურში. ეს ცოტაა და იოლად ვერ გავლენ, თანაც ორივე გასაჭირშია. ამბროლაურის სამკითხველოს საქმე მაინც მთლად ისეა, რომ იტყვიან „თათარს და ურიას შეებრალება“. არსებობს, მაგრამ ყველასგან დავინწყებული და თავმინებებული, დამწუხრებით მდგარი გზის პირას, თუთქოს გამვლელ-გამომვლელს ეუბნება: „იმდენი სიკეთე მიყავ, რომ უთხარი ჩემი ასეთი მწუხარება ჩემს გამგეს და შეაბრალე ჩემი თავი როგორმე“, მაგრამ მშველელი არ უჩანს. ახალდაარსებული კი კარგი მომავლის იმედს იძლეოდა, წიგნებიც ემატებოდა და ჟურნალ-გაზეთებიც, მკითხველიც შესაბამისად უმრავლდებოდა. ახლა ჟურნალ-გაზეთები გამოელია, წიგნებიც უმცირდება, გააქვთ და აღარ აბრუნებენ, რადგან ხმა დაირხა: — რაკი ვერ იხეირა, ონში უნდა გადავიდეს, იქაურ წიგნსაცავ-სამკითხველოს შეუერთდეს. ვინ იცის, მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, ეგებ ასეც მოხდესო, — წუხს ცენტერაძე. თუმცაღა თან იმედოვნებს: „დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი კანდელაკი (გამგე წიგნთ-საცავისა) ამას ითაკილებს და ჩვეულებრივის მხნეობითა და ბეჯითობით შეუდგება საქმის გაუმჯობესებას“ — მოულოდნელია, რომ ცენტერაძე დეკემბერში ამ განაცხადს აკეთებს, რადგან ნიკიფორე კანდელაკი იმ წლის დასაწყისიდანვე აღარ უნდა ყოფილიყო ამბროლაურის წიგნსაცავის მმართველი, თუკი 1897 წლის ივნისის დამდეგს, 5 თვის ხელფასის მიუღებლობის გამო, სამსახურიდან წასვლას აპირებდა. მის ნაცვლად დანიშნული ვლადიმერ გამყრელიძე (იხ.: „კვალი“, 1897, 1 ივნისი, №23, გვ. 447).

„ცნობის ფურცელი“, 1898 წელი, 17 დეკემბერი, №706, გვ. 3 — ს. ამბროლაური, რაჭა. „სამკითხველოს საქმე.“ „არა ცოტა ხანია, რაც ამბროლაურში არსებობს სახალხო სამკითხველო და კარები კი მიკეტილია. რაც ამბროლაურში ბოქაული ბ-ნი ჟღენტი გადმოიყვანეს, მოინადინა სამკითხველოს გაუმჯობესება, მაგრამ შემწეობა ჯერ-ჯერობით არავის აღმოუჩენია. იმედი გვაქვს, ბატონი ბოქაული სამკითხველოს ხელახლა გააღებინებს, თორემ, შიგ რაც წიგნებია, სულ თავგების სანავარდო გახდება. ტრიფონ მეგ-ლი“.



„ივერია“, 1899, 28 მარტი, №67, გვ. 2-3. — მცირე სამწუხარო შეტყობინება რაჭი სამკითხველოების შესახებ: სამი წელი იქნება, რაც ონსა და ამბროლაურში უფასო სამკითხველოები დაარსდა. ამბროლაურისამ ცოტა ხანს იბოგინა და სალათას ძილით ძინავს. მისთვის თავს არც დამაარსებელნი იწუხებენ, არც წევრები და დაკეტილ სამკითხველოში წიგნებს თავგები იზეპირებენ. როგორც ამბობენ, არც ონის სამკითხველოს საქმეა კარგად. თურმე, იმასაც სენი ეპარება.

„ივერია“, 1899 წელი, 4 აგვისტო, №165, გვ.2. — შეტყობინება რაჭიდან, ს. ამბროლაურიდან: ამასწინათ ისევ გამოიღვიძა დიდი ხნის მიძინებულმა წიგნსაცავ-სამკითხველომ. მისმა წევრებმა თავი მოიყარეს და დიდი სჯა-ბაასით 8 თუმანამდის საწევრო მოაგროვეს. ლევან ხიდურელმა, რომელსაც წინა წლების სახლის ქირად 15 თუმანი ეკუთვნოდა, მხოლოდ 5 აიღო, სხვა გულკეთილობით დათმო. დარჩენილი სამი თუმანი ცოტაა წიგნების დასაკაზმად და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად, ამით საქმეს მნიშვნელოვნად წინ ვერ წაწევთ და შემწეობას ვითხოვ ამგვარი საქმეების გულშემატკივართაგანო.

„ივერია“, 1901, 16 დეკემბერი, №273, გვ. 2-3. — „წერილი რაჭიდან“. ავტორი, ვანო ჭიჭინაძე, წერს რაჭის საზოგადო გასაჭირზე: გაბმულ უამინდობაზე, წყალდიდობასა და ხიდების წაღებაზე, მეწყრებზე, უგზობასა და ფოსტალიონთა სავალალო მდგომარეობაზე. შემდეგ ეხება რაჭის სამკითხველოთა საკითხს. აცხადებს, რომ 80 000 კომლიან მოსახლეობას 2 სამკითხველოც აღარ აქვს, რადგან ამბროლაურისამ 4 წლის წინათ განისვენა და დაკეტილში წიგნსაცავში, ხალხის ნაცვლად, თავგები მომრავლდნენ.

„ივერია“, 1903, 30 დეკემბერი, №2366, გვ. 3. — „წერილი რაჭიდან“. ისევ ვანო ჭიჭინაძის კორესპოდენცია. წარმოაჩენს ამბროლაურის უფასო სამკითხველოს ბედ-იღბალს. აღნიშნავს, რომ ქვემო რაჭა თავის დროზე ძალიან გაახარა მაზრის ორი სახალხო სამკითხველოდან ერთ-ერთის ამბროლაურში დაარსებამ. თავდაპირველად საქმე კარგად წარიმართა. უფასო სამკითხველომ ბევრი მშრომელი მიიზიდა მკითხველად. მის პატარა, ნაქირავებ ოთახში იმდენი კითხვის მოყვარული მიდიოდა, რომ მომსახურე ძლივს აუდიოდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გაცემას. თუმცა რამდენიმე წელში მდგომარეობა შეიცვალა, განსაკუთრებით სავალალოდ კი ამ საქმისთვის თავდადებული მღვდელის, პლ. ელბაქიძის, გარდაცვალებიდან. აღარავინ ზრუნავდა სამკითხველოზე, აღარც შეკრება ახსენდებოდათ და აღარც ფულის შეგროვება. შენობის ქირაც ვალად დაედოთ და გამგის, ვლ. გამყრელიძის, ხელფასიც



ხუთი თვისა. ამიტომ რამდენიმე წელია ის სამკითხველო დაიკეტა და ვინ იცის, ეგებ წიგნებს თავგები ღრღნიან. საქმის გამოსწორება იქნებ კიდევ შეიძლებოდეს, მაგრამ ამ საქმთ თავს აღარავინ იტკივებს. თანაც იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს საეკლესიო სამკითხველოს გახსნა უსურვებია რაჭის ცენტრში, სოფელ წესში და სამისოდ ორმოცივე მღვდლისგან სანეეროს სახით თუმნის აკრება განუზრახავს. წელიწადში ამდენი თანხით კი, მართლაც, შეიძლება კარგი სამკითხველოს მოწყობა.

ამრიგად, XIX საუკუნის მინურულის ქართული პრესა საკმაო მასალას იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. მთლიანობაში სურათი ასეთია: „ივერიის“ პუბლიკაციები რაოდენობრივადაც მეტია სხვებზე და შინაარსობლივადაც უფრო მრავალფეროვანი. აღნიშნულ თემაზე ცნობების უმრავლესობა ვანო ჭიჭინაძისეულ რაჭის ამბების კორესპოდენციებშია. უპირველესად ამბროლაურის სამკითხველოს თემაზე გამოქვეყნდა სამადლობელი განცხადებები წიგნსაცავისთვის შეწირულობების გამლეთა მიმართ. მათში დასახელებულია ყოველი პირი; თითოეულისაგან მიღებული შემოწირულობის სახეობა (წიგნი, ყურნალი, გაზეთი, ბროშურა, ფული); მათი რაოდენობა. მითითებულია გამოცემების ენა (ქართული, რუსული); ცალკეული შეწირულობის ფასი და ერთიანი ღირებულება. მაშინ ის განცხადებები პრესის საშუალებით მადლიერების საჯაროდ გამოხატვასაც იყო, საზოგადოებისადმი ანგარიშის ჩაბარებაც, შემომწირველთა წარმოჩენაც და სტიმულიც სხვებისთვის. საუკუნეთა გადასახედიდან ისინი წარმოდგენას გვიქმნიან წიგნსაცავის ჩამოყალიბების პროცესზე, ამ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის მონაწილე პირებზე, რითაც ცნობილ პიროვნებათა ბიოგრაფიული ცნობების შევსებისა თუ შემწირველთა შორის წინაპართა ამოცნობის საშუალებასაც იძლევიან. ასეთი განცხადებების უმრავლესობა გამოქვეყნდა 1793 წელს, წიგნსაცავის ფონდის ჩამოყალიბებისას. უკვე 1794 წელს გვეუწყა წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსების გადაწყვეტილება და განხორციელება: ბიბლიოთეკის ადგილისა და გამგის შერჩევა, კომიტეტის საქმიანობა, შეკრებები და კრების მონაწილეთა განწევრიანება ამხანაგობაში; წესდების შემუშავება-განხილვა და სხვა. გამოვლინდა, რომ 1793-1796 წლებში ქვემო რაჭის წიგნსაცავ-სამკითხველოს საქმეები კარგად მიმდინარეობდა, მკითხველიც ბევრი ჰყავდა და თავისი დადებითი კვალიც დაამჩნია განათლების დონის ზრდას. 1896 წელს დაიბეჭდა კანდელაკის ბოლო სამადლობელი განცხადება შემწირველებისადმი. 1797 წლის დასაწყისიდან გამოქვეყნებული მასალები ასახავს წიგნსაცავის შეჭირვებასა და საყვედურს მის



მესვეურთა მიმართ. 1798 წლის დეკემბერში გვაცნობეს, რომ ამბროლაურის ახლად დანიშნულ ბოქაულს მოუწადინებოდა სამკითხველოს შექმნა, მაგრამ დამხმარე არავინ აღმოჩენილა. 1899 წელს აგვისტოში ამხანაგობის წევრები შეკრებილან და კიდევ ერთხელ უცდიათ უფასო საერო ბიბლიოთეკის გადარჩენა, მაგრამ 8 თუმნამდე ძლივს შეკრებილი სანწევრო, რასაკვირველია, ამისთვის არ კმაროდა. შემომწირველთა მოზიდვა ვერ მოუხერხებიათ და სამკითხველოს კარიც, ფაქტობრივად, გამოკეტილა — „დაკეტილ წიგნსაცავში, ხალხის ნაცვლად, თავგები მომრავლდნენ“. 1903 წელს, როგორც ვანო ჭიჭინაძე აცხადებს, ამბროლაურის სამკითხველოს აღდგენის იმედიც აღარაა, რადგან მისი დამაარსებელიცა და ამხანაგობის წევრთა უმრავლესობაც რაჭის სამღვდელოება იყო, მათ კი (ორმოცივე მღვდელს), იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს სურვილით, სანწევროს სახით თუშანი უნდა გაეღო საეკლესიო სამკითხველოს გასახსნელად რაჭის ცენტრში, სოფელ წესში.

დაბოლოს, სხვა წყაროთა მოშველიებითაც, შევეცდებით უფრო გამოკვეთილად წარმოვადგინოთ ამბროლაურის უფასო სამრევლო სამკითხველოს დამაარსებელი: ბლალორინი მღვდელი ნიკიფორე სვიმონის ძე კანდელაკი (1864-1947). დაიბადა რაჭაში, მედავითნის ოჯახში. მან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა თბილისის სემინარია და 1889 წელს მღვდლად აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა, გაბრიელ ქიქოძემ. განათლებული ახალგაზრდა განმწესდა მშობლიური სოფლის, ველევის, ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად. ასე დაიწყო მისი სამღვდელო მოღვაწეობა. დროთა განმავლობაში ნიკიფორე კანდელაკი მრავალი საეკლესიო ჯილდოს მიმღები, დაფასებული და იერარქიულად დაწინაურებული ღვთისმსახური გახდა. 1892 წლის შემოდგომაზე ჯერ კიდევ ახალგაზრდა წინამძღვარი იყო, კარგად რომ გაიაზრა მთელი საქართველოს მამულებით წამოწყებული საბიბლიოთეკო საქმის განვითარების სიკეთე. განიზრახა თავადაც ამ გზით შეწევნოდა რაჭას, მისი სოფლების ეკონომიურად შეჭირვებული სამღვდელოებასა და კითხვის მოწადინე მრევლს. მათი წიგნიერების დონის ამაღლებისა და გონებრივი დაწინაურებისათვის გარდაუვალი საჭიროება იყო სამკითხველოს დაარსება. კანდელაკმა გამოავლინა საქმის რიგიანად ორგანიზების ნიჭი და შეძლო სასიკეთო განზრახვის რეალობად ქცევა — წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსება, ქვემო რაჭაში, იმდროინდელ სოფელ ამბროლაურში. ეს მისი თხოვნის საფუძველზე გაჩნდა მცირე, მაგრამ მუდმივი შენატანი — მისდამი დაქვემდებარებულმა სამღვდელოებამ ამ საქმისათვის გაიღო ყო-



ველწლიური ჯამაგირის თითო პროცენტი. ცხადი იყო, რომ იმ 20 მანეთით დიდი მიზნის განსახორციელებას ვერავინ შეძლებდა და მამა ნიკიფორემ, გაზეთის საშუალებით, სათანადო შემწეობა შესთხოვა ინტელიგენტ რაჭველებსა და არამხოლოდ მათ. მთხოვნელს კი ნდობა და დაფასება უნდა ჰქონოდა და მაგალითიც უნდა მიეცა სხვათათვის, დახმარება რომ მიეღო. როგორც ვნახეთ, მან ეს შეძლო. შემომწირველთა წასახალისებლად და საზოგადოებისათვის ანგარიშის ჩასაბარებლადაც, ნიკიფორე კანდელაკი სამადლობელ განცხადებებს აქვეყნებდა, ძირითადად, „ქვემო რაჭის ნიგნსაცავის დამაარსებელი ნევრთაგანის“ სახელით („ივერია“, 1893 წელი, 12 მაისი, №98, გვ. 3; „ივერია“, 1893 წელი, 24 ივნისი №132, გვ. 3; „ივერია“, 1893 წელი, 29 ივლისი, №160, გვ. 4; „ივერია“, 1893 წელი, 25 სექტემბერი, №205, გვ. 2 და „კვალი“, 1896 წელი, 16 ივნისი, №26, გვ. 467). იგი, ნიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსების მსურველი, თვითვე იყო პირველი და ყველაზე დიდი შეწირულობის შემტანიც („ივერია“, 1893 წელი, 20 მარტი). შემდეგაც, მუდამ ჩანს შემწირველთა შორის მისი გვარ-სახელი შესაბამის განცხადებებში. კანდელაკის დაუღალავი, მრავალმხრივი მცდელობით იყო, რომ 1894 წლის ზაფხულში, თანამდგომმა ნევრებმა ამხანაგობისა შეძლეს ნიგნსაცავის შევსება და სახალხო სამკითხველოს გახსნა. ამ დროისათვის წესდებაც შედგენილი ჰქონდა, ბლალორჩინ მათე გორდუზიანისა და მღვდელ ვლადიმერ ფოფხაძის გულმოდგინე თანადგომით („მწყემსი“, 1894 წელი, 14 ოქტომბერი, №18, გვ. 5). კანდელაკი, როგორც ამბროლაურის სამკითხველოს მმართველი, 1896 წელს აკეთებს ბოლო სამადლობელ განაცხადს შემომწირველების მიმართ („კვალი“ 1896, 16 ივნისი, №26, გვ. 467). 1897 წლის დასაწყისიდანვე იგი სამკითხველოს საქმეებში აღარ ჩანს და პუბლიკაციების ავტორები, აღნიშნავენ მისი მმართველობის გარეშე დარჩენილი სამკითხველოს გასაჭირს: ამბროლაურიდან გამოგზავნილი კორესპოდენციის ავტორი, გრ. ცენტერაძე, მადლობს ნიკიფორე კანდელაკს სამკითხველოს დაარსებისათვის, მაგრამ აღნიშნავს მის იმჟამინდელ სავალალო მდგომარეობასაც და ისევ კანდელაკი ეიმედება საქმის მშველელად. ჩვენდა გასაკვირად, იგი ისევ ნიგნსაცავის გამგედ მოიხსენებს ბლალორჩინ კანდელაკს („ივერია“, 1897 წელი, 18 დეკემბერი, №262, გვ. 2). ამ და მომდევნო წლების სხვა პუბლიკაციათა ავტორები კი ამუნათებენ, გულგრილობასა და უზრუნველობაში სდებენ ბრალს ამ სასულიერო და საერო ასპარეზზე დამაშვრალ ადამიანს („ცნობის ფურცელი“, 1897 წელი, 20 თებერვალი, №121, გვ. 3.; „კვალი“, 1897 წელი, 1 ივნისი, №23, გვ. 447). განსაკუთრებით ტენდენციური ჩანს კანდელაკის



მიმართ ვანო ჭიჭინაძე, ამბროლაურის სამკითხველოზე ყველაზე მეტი ინფორმაციის გამომქვეყნებელი (შესაძლოა, ის იგივე პიროვნებაც იყოს, ვინც „ივერიაში“ გამოაქვეყნა პირველი სამადლობელი განცხადება შემწირველთა მიმართ ქვემო რაჭის წიგნსაცავის დროებითი გამგის, მღვდელ იოანე ჭიჭინაძის სახელით. მისივე გვგონია „ვ. ჭ.“-თი ხელმოწერილი კანდელაკის მიმართ საყვედურის შემცველი პირველი პუბლიკაცია(ც). ვანო ჭიჭინაძე ამბროლაურის სამკითხველოს შესახებ გამოქვეყნებულ ბოლო პუბლიკაციაშიც კი, როცა იხსენებს მისი დაარსების სიხარულს, საქმის თავდაპირველ წარმართებას, გვერდს უვლის მისი დამაარსებელის, ნიკიფორე კანდელაკის ხსენებას. თანაც ბიბლიოთეკის საქმის სავალალო დასასრულს, გამორჩეულად უკავშირებს მისი თქმით, ამ საქმეზე თავდადებული მღვდელის, პლ. ელბაქიდის, გარდაცვალებას („ივერია“, 1903, 30 დეკემბერი, №2366, გვ. 3, „წერილი რაჭიდან“). ჩვენ პლ. ელბაქიდის შესახებ სხვა მასალა ვერ მოვიძიეთ. იმას კი თამამად აღვნიშნავთ, რომ ვერც ვლადიმერ გამყრელიძემ, 1897 წლის დასაწყისში დადგენილმა ნიკიფორე კანდელაკის შემცვლელად, ვერ განაგრძო შესაბამისად კარგად დაწყებულ-ანყობილი საქმე კანდელაკისა; ვერც ამბროლაურის ახალი ბოქაულის სურვილს 1898 წელს და ვერც ამხანაგობის წევრთა ერთგვრად გააქტიურებას 1899 წელს, ვერ მოუხერხებია ქვემო რაჭის ბიბლიოთეკის გამოცოცხლება. ნიკიფორე კანდელაკი კი, იმ წლებში, როცა მას ასე ამუნათებდნენ ქვემო რაჭის სამკითხველოს ღვთის ანაბარა მიტოვებისათვის, ისევ აქტიურად იყო ჩართული სასულიერო და საერო საქმიანობებში. 1896-1897 წლებში იგი ზედამხედველობდა რაჭისა და ლეჩხუმის ოლქის სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, რომლისგანაც საკუთარი განცხადებით გაათავისუფლებინა თავი, რადგან დამატებით მოუხდა მონაწილეობა რუსეთის იმპერიისაგან წარმოებულ ეკლესია-მონასტრებისა და მოსახლეობისა საყოველთაო აღწერაში (ამ საქმისთვის ის 1898 წელს ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა). ესეც იქნებოდა მიზეზი, რომ იგი ამბროლაურის სამკითხველოზე ზრუნვას ვეღარ ახერხებდა. არც ქვემო რაჭის სამკითხველოთი დასრულებულა მღვდელ ნიკიფორე კანდელაკის ამგვარი მოღვაწეობა: როცა იგი სტეფანწმინდის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა, რაჭაში სამკითხველოს გახსნის დადებითი შედეგის გამოცდილებით, ხევშიც იზრუნა წიგნთსაცავის გახსნაზე. მის სამადლობელ განცხადებაში გამოქვეყნებულია ხევის წიგნთსაცავის სასარგებლოდ შემწირველთა ნუსხაც (ცნობის ფურცელი, 1902, 21 იანვარი, №1703. გვ.2).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ნიკიფორე კანდელაკი იყო ქარ-

თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
ნამდვილი წევრიც 1906 წლიდან და ასევე ამ საზოგადოების დუმი-
თის განყოფილების დამფუძნებელი წევრი 1914 წლიდან. აქტიური
წევრი იმ საზოგადოებისა, რომლის როლიც განუსაზღვრელია,
როგორც ქართული თვითშეგნების აღორძინების, ისე საგანმანათ-
ლებლო და საბიბლიოთეკო საქმის წარმატებით წარმართვისა სა-
ქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლორია, ალ. გურგენიძე, ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში
(1921 წლამდე). ცენტრ. სამეც. ბიბ-კა. – თბ.: მეცნიერება, 1974. 383 გვ.;
დეკანოზი ნიკიფორე კანდელაკი: /48: ისტორიის ფურცელი/რუბრიკას
უძღვება გიორგი მაჩურიშვილი//საპატრიარქოს უწყებანი. თბ., 2014. 25
სექტემბერი – 2 ოქტომბერი. – №32 (732). გვ. 13 20;
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
წევრები/ეროვნული ბიბლიოთეკის საიტიდან;
ზემოთ დასახელებული ძველი ქართული პრესა.



ნესტან სულავა

„ვეფხისტყაოსნის“ როგორც სათაურის ჯვარსახოვნებისათვის

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სულის ის მარადიული სარკე და მთელი ერის ფილოსოფიაა, რომელშიც გაცხადებულია ქართველი კაცის ხასიათი, ერის წარსული, აწმყო და მომავალი. ქართველი ერი თავის სულიერ ხატს ქვერეტდა „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც აისახა მისი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება. იგი დღემდე „ვეფხისტყაოსნით“ ცდილობს საკუთარი არსისა და ბუნების ამოკითხვასა და შემეცნებას, „ვეფხისტყაოსნით“ საზღვრავს თავის სულიერ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და მომავალს, „ვეფხისტყაოსანია“ მისთვის ეროვნული ცნობიერების უმაღლესი გამოხატულება და საზომი, რადგან მასში თავმოყრილი და განფენილია თავისი და წინარე ეპოქათა მსოფლიოს ძირითადი ინტელექტუალური მონაპოვარი, ნასაზრდოები და გაჟღენთილი ქართული სულით. მისი აზროვნების სტილი, მსოფლმხედველობა, მხატვრული სამყარო, სიმბოლური და ალეგორიული გამომსახველობითი საშუალებები მითოლოგიურ ნანამძღვრებს, წინარელიტერატურულ ტრადიციებს, ფილოსოფიურ სააზროვნო სისტემებსა და საღვთისმეტყველო სწავლებას ემყარება.

რუსთველის პოემა ქართულ სივრცეს, სამყაროს და მსოფლიოს სივრცულ არეალებს ერთდროულად ასახავს, შესაბამისად, იგი მხოლოდ საქართველოს არ ეკუთვნის – კაცობრიობის სულიერი კულტურის ხელიხელ საგოგმანები ობოლი მარგალიტია. ჰომეროსი, რუსთველი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე – ესაა ის ჯვარსახოვნებითი კონტექსტი, რომელშიც ქართველი ერის უპირველესი შემოქმედი მოიაზრება! „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა

აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარზე მდებარე სამოთხისდარ ქვეყანაში, სადაც განსხვავებული ტრადიციები და კულტურები ხვდებოდნენ ერთმანეთს და თანაარსებობდნენ ისე, რომ პოლიტიკური დაპირისპირება, რაც საუკუნეთა მანძილზე თავს იჩენდა საქართველოს მახლობელ ქვეყნებთან ურთიერთობისას, არასოდეს გადაზრდილა კულტურულ დაპირისპირებაში, ვინაიდან კულტურა პოლიტიკაზე მაღლა იდგა ყოველთვის, მეტიც, თვით პოლიტიკა იყო კულტურის ნაწილი.

„ვეფხისტყაოსანი“ ყოველი თაობის წინაშე ახალ საკითხებს აყენებს, ყოველ ეპოქაში ახლებურად იკითხება, რის საფუძველიც ისაა, რომ რუსთველის პოემის პერსონაჟები, ერთი მხრივ, კონკრეტულად მოიაზრებიან, მეორე მხრივ, „ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით არიან შექმნილნი და აგებულნი“ (ილია ჭავჭავაძე 1984: 595), ხოლო მთელი პოემა ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების პროექციაა, ფილოსოფიაა, აზრისა და გრძნობის შეზავება. შექმნიდან მოყოლებული, „ვეფხისტყაოსანი“ მუდამ იბრძოდა; საგალობელთან, ქართულ სიმღერასთან, ცეკვასთან, კულტურის სხვა ფორმებთან ერთად მან შემოინახა ქართული ეროვნული სული, გამოავლინა ერის ინტელექტუალური შესაძლებლობანი და იკისრა მისი სულიერი აღმზრდელის მისია. ძველ დროში ქალს გათხოვებისას ამიტომაც ჰტანდნენ მზითვად „ვეფხისტყაოსანს“, რათა ქართველ დედას რუსთველის ამალღებულ იდეალებზე აღეზარდა შვილი, მისთვის სიყვარულისა და სიკეთის ქმნის მოთხოვნები შთაენერგა, ცხოვრების არსი ესწავლებინა, მარადიული ღირებულებების გზამკვლევადაც დაესახა.

შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ არა მხოლოდ საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებას ასახავს, არამედ ქართველი ერისა და კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების კერძო და განზოგადებულ სურათს ხატავს, რის გამოც იგი კონკრეტულიცაა და საზოგადოც. პოემის პირველი გამოცემიდან 311 წელი გავიდა, რა დროიდანაც შეიქმნა უმდიდრესი სამეცნიერო რუსთველოლოგიური ლიტერატურა, რომელშიც სხვადასხვა ასპექტით განხილული და გარკვეულია მრავალი საკითხი. მაგრამ რუსთველი და მისი პოემა მუდამ აძლევს მკვლევარსა თუ დაინტერესებულ პირს საშუალებას, გამოთქვას თავისი მოსაზრება, ყოველ მკითხველს თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემის სახელწოდება, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკური, მითოსური, რელიგიური, ფენომენოლოგიური, დროსივრცული პოეტიკის თვალსაზრისით ბევრ საფიქრალს აღძრავს და სხვადასხვაგვარი გააზრების სა-

ფუძველს იძლევა. ამავე დროს, პოემის დედააზრსა და პერსონაჟთა საოცრად მდიდარ, მრავალფეროვან, ერთდროულად ტრიუმიფალურ მითა და ბედნიერებით აღსავსე გზას წარმოაჩენს.

პოემის სახელდებისა და ვეფხისტყაოსნობის არსის გასააზრებლად, მისი ლიტერატურული წანამძღვრების გამოსავლენად უნდა ვიმსჯელოთ აღმოსავლურ-დასავლურ ეპიკურ ლიტერატურულ თხზულებათა სათაურებთან მის მიმართებაზე. ამ თვალთახედვით „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოემის, სახელდების საკითხი არ განხილულა. პოემის სახელწოდებას ჯვარსახოვნებითი თვალსაზრისით დროსივრცული მხატვრული ფუნქცია ეკისრება, რის საფუძველზეც შეიძლება მივიჩნიოთ ქართველი ერისა და მთელი კაცობრიობის მხატვრული სიტყვის სათაურ-ისტორიად, რომელშიც მათი ისტორიის სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა რიგის ინფორმაციებია ჩაკირული; აგრეთვე, მასში ერთდროულად წარმოჩნდება პოეტის მიერ ვეფხისტყაოსნობის, როგორც მხატვრულ-ლიტერატურული და სოციოკულტურული მოვლენის, რემითოლოგიზაციაც და დემითოლოგიზაციაც, მეტაფორულობაც, სიმბოლურობაც, ალუზიურობაც, ენიგმურობაც, საზოგადოდ, მხატვრული ბუნების უნივერსალურობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაეთვზის გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველმა სიუჟეტის შენიღბვის ხერხის გამოყენის საფუძველზე პოემის მოქმედება გაშალა აღმოსავლეთის რეალურ და გამონაგონ ქვეყნებში, რასაც დაუკავშირდა პოემის ჟანრობრივი რაობის საკითხი; აღინიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ განსხვავდება თავისი ეპოქის სხვა ქვეყნების ლიტერატურული ქმნილებებისაგან, რაც პოემის სახელდებაშიც ნათლად გამოიკვეთა. რუსთველის წინამორბედ და თანამედროვე ეპიკოს მწერალთაგან აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურიდან შეიძლება დავასახელოთ „ილიადა“, „ოდისეა“, „შაჰნამე“, „რამაიანა“, „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „საიდუმლოებათა საგანძური“, „ისქანდერ-ნამე“, „დიგენის აკრიტასი“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა სიდზე“, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ ქვეყნისა და ხალხის ისტორიული წარსული, ისტორიული მოვლენები და რეალიები, ხოლო მათში არეკლილი მხატვრული გამონაგონის გააზრება ზოგადსაკაცობრიო იდეალებს სწვდება. მათი სათაურები დაკონკრეტებულია და მკითხველი ადვილად ხვდება, რა არის თითოეული მათგანის ძირითადი საკითხი ან ვინაა მთავარი პერსონაჟი. ჩამოთვლილ ნაწარმოებთა სახელდებებში ისეთი სიღრმისეული რაობა და შინა-არსი არაა ჩადებული, როგორც რუსთველის პოემის



სათაურშია. შოთა რუსთველმა ეროვნული და ზოგადსაკაცობრივი იდეალები შეარწყა, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და რენესანსულ სააზროვნო სისტემათა ფონზე წარმოჩნდა.


რუსთველის პოემის სახელდება კონცეპტუალურია, რადგან იგი გლობალური მნიშვნელობის მხატვრული სახე და მეტაფორაა, რომელიც თხზულების მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის, მისი სიღრმის, მისი ძირითადი კონცეფციის გამომხატველ მხატვრულ საშუალებად გვევლინება; ეს სათაური ნაწარმოებში გადმოცემულ მხატვრულ ფაქტებსა და მოვლენებს მეტ მასშტაბურობას ანიჭებს, რაც პოემის ზოგადსაკაცობრიულ არსზე მიუთითებს; იგი მთავარ პერსონაჟთა ხასიათს, თვისებებს, სულიერებას, ცხოვრების ურთულეს და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას აჩვენებს.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოემის სახელწოდება, მრავალშრიანი, ქარაგმულად კულტურის ისტორიის მრავალ ფენას მოიცავს და დროსივრცული მხატვრულ-ესთეტიკური მისია ეკისრება. მისი მნიშვნელობის განსაზღვრისას წამყვანი, ცხადია, მხოლოდ რუსთველურია, ვიკტორ ნოზაძის თქმით, საკუთრივ ვეფხისტყაოსნურია, მასში ყველა შრე, კერძოდ: მითოსური, ფოლკლორული, ლიტერატურული, რელიგიური, ზნეობრივ-ეთიკური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური, — ფარული და შენიღბულია. პოემის სათაურის სრულყოფილად გასააზრებლად მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სამიჯნურო-სათავგადასავლო სიუჟეტი აღმოსავლურ სამიჯნურო ხასიათისა და დასავლურ კურტუაზული ტიპის თხზულებებთან შედარებით განსხვავებულად ვითარდება. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციურ მსვლელობაში არ შეინიშნება გადახვევები სიუჟეტის ძირითადი, წამყვანი ხაზიდან, რაც ახასიათებს რუსთველის ეპოქის აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურულ თხზულებებს. თუ შევადარებთ შოთა რუსთველის თანამედროვე ეპიკურ თხზულებებს, მკვეთრ განსხვავებას დავინახავთ. კერძოდ, ჰომეროსისა და ფირდოუსის პოემების სახელწოდებები, „ილიადა“, „ოდისეა“, „შაჰნამე“, ნიზამის პოემათა სახელწოდებები, კერძოდ: „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „საიდუმლოებათა საგანძური“, „ისქანდერ-ნამე“, იმგვარ მხატვრულ სიღრმეს არ შეიცავს, როგორსაც „ვეფხისტყაოსანი“. მიუხედავად იმისა, რომ ფირდოუსის პოემა წარმოაჩენს მითოსური, ისტორიული და მხატვრული აზროვნების ვითარების ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეპოქებს, იგი მაინც მეფეთა ცხოვრებასა და ერთ-ერთი უძლიერესი აღმოსავლური სახელმწიფოს ცხოვრების ასახვაზეა ორიენტირებული. ნიზამის პოემათა სახელწოდებები კი ძირითადად თხზულებათა პერსონა-



ყების სამიჯნურო თავგადასავლებს კონკრეტული სახელდებლებით მიუთითებს, რაც დასახელებულ თხზულებებში იმდენად ფაბულას კი არ აკისრებს ძირითად მხატვრულ დანიშნულებას, რამდენადაც საკმაოდ ვრცლად წარმოაჩენს თითქმის ყველა მოქმედი პერსონაჟის განცდებს, რასაც სათაურებში გატანილი საკუთარი სახელეუბის გალერეა ემატება, და ყურადღებას ამახვილებს მოტივებზე. თითოეული მათგანი ერთიან სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება, მაგრამ, ამავე დროს, ძირითადი სათქმელის გადმოცემას აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი შენაკადების საშუალებითაც ცდილობს. ნიზამის მხოლოდ ერთი პოემის, მისტიკური თხზულების სათაური, „საიდუმლოებათა საგანძური“, სხვა პოემათაგან განსხვავებულ მხატვრულ გააზრებას გულისხმობს და მისი განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ პოემის სტრუქტურა და კომპოზიცია, რადგან იგი 20 დიდაქტიკური ხასიათის, სიუჟეტურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი საუბრისაგან შედგება და თხზულებას მხოლოდ ამიტომ შეიძლება პირობითად პოემა ეწოდოს. მისი მიზანია ავტორის ფილოსოფიურ-რელიგიურ შეხედულებათა მხატვრული ფორმით გადმოცემა. მისი შესავალი ნიზამი განჯელის პოეტურ შეხედულებებს გადმოგვცემს. აღმოსავლურ თხზულებათა სათაურები პერსონაჟების სამიჯნურო-სათავგადასავლო ამბებს კონკრეტულად წარმოსახავს, ერთიან სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება. თითოეული თხზულების სათაური, მაგალითად, „ვისრამიანი“ („ვის ო რამინ“), „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „მვიდი მზეთუნახავი“, „ისქანდერ-ნამე“, კონკრეტულ მთავარ პერსონაჟებს გულისხმობს, ნამყვანი სიუჟეტური ხაზი სათაურში გამოტანილ პერსონაჟებს მიჰყავთ, მაგრამ მთავარ პერსონაჟებთან ერთად სხვებსაც არანაკლები ყურადღება ეთმობა. შესაბამისად, ამ თხზულებათა სათაურთაგან თითოეული ორიენტირებულია კონკრეტულ პირთა სახელებსა და მხატვრულ სახეებზე.

შოთა რუსთველის პოემის სათაურში არ არის დასახელებული კონკრეტულ პერსონაჟთა სახელები, მაგრამ მეტაფორულად რომ ორი პერსონაჟია მონიშნული, პოემის ტექსტის გადამწერებმა თავის დროზე სავსებით სწორად გაიაზრეს და ხელნაწერებში აღნიშნეს, რომლებშიც სათაურის შემდეგ გაკეთებული მინაწერი პოემის ტექსტის რაობას, მთავარ პერსონაჟთა ვინაობას გვამცნობს და ნათლად მიუთითებს სათაურის სახისმეტყველებას, სიმბოლურობას, როგორც ნამყვან მეტაფორას: „ამა ჰამბავსა დასაწყისი. პირველ ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, რომელნიცა უხმობენ ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით“. ეს მინაწერი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია პოემის



სათაურის გასააზრებლად და მთავარ პერსონაჟთა თვისებების გასარკვევად. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ რუსთველის წინამორბედი და თანამედროვე აღმოსავლური და დასავლური ეპიკური თხზულებათა სათაურები არ არეკლავს უძველეს მითოლოგიებს, ლიტერატურულ-მხატვრულ ტრადიციებს. მიუხედავად ამისა, პოემის მხატვრული ქსოვილის მეტაფორული აზროვნებისა და ჰიპერბოლური მხატვრული მეტყველების მახასიათებლები აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურათა ნიაღშიცაა საძიებელი.

რუსთველის პოემაში ასახული ადამიანის კონცეფცია შუასაუკუნეების შეხედულებებისაგან განსხვავდება და სიახლეს ამკვიდრებს, რაც სათაურიდანვე ვლინდება. პოემაში ავტორმა ადამიანის შესახებ ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისისაგან განსხვავებული კონცეფცია ასახა, რომლის მიხედვით ტრადიციული გაგებაც შეინარჩუნა, რაც საკუთარი თავის შემეცნების მცდელობაში, ადამიანის ცხოვრებაში ღმერთის ადგილის შეცნობაში, ღმერთისადმი მის დამოკიდებულებაში გამოიხატა, და სიახლაც მოიტანა, რაც ადამიანის მისიის, ადამიანის თვითდამკვიდრების არსში, ინდივიდუალურის ღვთაებრივამდე ამალლებაში დაინახა. ყოველივე ეს ადამიანის სულიერი ხსნის გზად დასახა. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სათაური, ადამიანის სულიერ გარდასახვასა და ამალლებას, პერსონაჟის, როგორც ინდივიდის, ღვთაებრივამდე აღსვლას ემსახურება, რაც განასხვავებს რუსთველის პოემას წინამორბედი და ამავე ეპოქის აღმოსავლურ-დასავლური თხზულებების სათაურებისაგან.

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც სათაურში, მოქცეულია ავტორისეული მხატვრული კონცეფციის უღრმესი შრეები, მას აქვს დროსივრცული განზომილება; ტარიელის ვეფხისტყაოსნობა, რომელიც ნესტან-დარეჯანის ხატ-სახითაა მოტივირებული, წარსულის შედეგია, რომელიც არსებობს ანმყოფი და აუცილებელია მომავალში მისგან გათავისუფლება. მასში ვლინდება ტრადიცია, კულტურა, გამოცდილება. იგი შორეული წარსულიდან მომდინარე უძველესი მითოლოგიის ლიტერატურული გარდასახვაა, ბიბლიური სიმბოლიკითაცაა გაჯერებული, აგრეთვე, მთავარ პერსონაჟთა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის შინაგანი ბუნების, სულიერი სამყაროს, მათი ინტელექტის სრულყოფილებისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მხატვრული სახეა, რომელშიც ერთდროულად წარმოიჩნდება ავტორის მხატვრული კონცეფციის სხვადასხვა განზომილება. მართალია, პოემის სახელწოდება გულისხმობს ტარიელს და მის მიჯნურს ნესტან-და-



რეჯანს, მაგრამ ვეფხისტყაოსნობა, როგორც პიროვნების ცხოვრების, მისი არსებობის ტრაგიკული პერიოდის გამორჩეულობა, სულიერი თვითჩაღრმავების, საღვთო გზისაკენ სვლის სიმბოლო, პოემის ყველა პერსონაჟისათვის არსებითია.

ვ. ნოზაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომში – „ვეფხისტყაოსანის ფსიქოლოგიისმეტყველება“ – აღნიშნულია, რომ ტარიელში ნესტან-დარეჯანი ასოციაციურად ვეფხზე წარმოდგენას დაუკავშირდა, ვეფხისა და ნესტანის მსგავსება თითქმის ნამდვილად დასახა: „და როცა ნესტანი ტარიელს დაეკარგა, ნესტანის ეს მსგავსება ვეფხთან მას გარდაექცა განუყრელ წარმოდგენად, რაც ვეფხისა და ნესტანის მსგავსებაში გამოიხატა არა მარტო პირ-გამეხებით, არამედ შვენიერი სახითაც. ეს ასოციაცია უკვე ტარიელის შემეცნებაში აპპერცეპციად გარდაიქცა... ასმათსაც კი ტარიელის გავლენით ნესტანი ვეფხად წარმოუდგენია და (ტარიელს) ისეთ პირობას უქმნის, რაც განუყრელად ვეფხის მსგავსებასთან არის დაკავშირებული. ასმათი მას ვეფხის ტყავის სამოსელს უკერავს... ტარიელისთვის ვეფხი არის ნამდვილი ფსიქოლოგიური აპპერცეპცია და ეს ურთიერთობითი წარმოდგენა იქამდე მიდის, რომ ასმათი ამისათვის მას შესაფერის პირობებსაც უქმნის“. ტარიელი არა მხოლოდ ჩაცმულობითაა ვეფხისტყაოსანი მოყმე, არამედ მთელი თავისი არსებით მყოფობს ვეფხის გარემოში, ვეფხივით „წავარნაში“ ცხოვრობს. საჯდომ-წამოსანწოლიც ვეფხის ტყავისა აქვს; ავთანდილიც მოზიარე ხდება ვეფხის ტყავისა, გამოქვაბულში ისიც ვეფხის ტყავის ნატებზე ჯდება. ვეფხის აქსესუარი ერთდროულადაა სიმბოლური და მეტაფორული. ვეფხის მხატვრულ სახეში ვეფხისტყაოსნობის არსში რამდენიმე კულტურული ფენა ირეკლება, ოღონდ მასში რუსთველური, ვ. ნოზაძის სიტყვით, ვეფხისტყაოსნური, სრულიად ორიგინალურ შინაარსს იძენს და განსხვავდება წინარეკულტურულისაგან, რაც პოემის პერსონაჟთა სულიერი განახლების საწყისად, შესაბამისად, სამყაროს განახლებად მოიაზრება. ამიტომაცაა მთელი პოემა სიყვარულის გამოცდა.

„ვეფხისტყაოსანში“ მთავარ პერსონაჟთა – ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის, თინათინის ქმედების უმთავრესი მიზანი დაკარგული ღვთაებრივი ჰარმონიის ძიება, მოპოვება და დამკვიდრებაა, საღვთო და გარეშე სიბრძნის მორიგებაა, მშვენიერების, სილამაზის, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის მოსაპოვებლად ბრძოლაა. ისინი, როგორც ახალი თაობის წარმომადგენლები, ადამიანის გარდასახვის, პიროვნების აღორძინების იდეას აყენებენ. შოთა რუსთველმა არა მეფის მემკვიდრის, მეფის შვილის, არამედ პიროვნების, ადამიანი-ინდივიდის ინტერესები




ნამოსწია წინ, რითაც შოთა რუსთველმა თავისი მხატვრული საზღვროვნო სივრცე წინარე ლიტერატურულსაგან მკვეთრად განასხვავა და ესეც წარმოჩნდა პოემის სათაურში.

„ვეფხისტყაოსანმა“ ასახა „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“, ანუ „რა“, ხოლო თუ როგორაა ასახული „რა“, სხვა საკითხია. იგი გულისხმობს სილამაზის, მშვენიერების, ესთეტიზმის გამოსახვის პრინციპებზე დამყარებულ მეტაფორას, ალუზიასა და ენიგმას, რომელთა გარეშე არ იქმნება მაღალმხატვრული ნაწარმოები. „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ ისაა, რაც პოემაში სიმბოლურ-ალეგორიულად, მეტაფორულად, ალუზიურად და ენიგმურად გადმოიცემა მითოსური საზღვროვნო სისტემის, ფილოსოფიური ხედვების, ბიბლიური მოტივების, სიუჟეტების, სახისმეტყველების, არქეტიპების საფუძველზე.

„ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ გულისხმობს ღვთისგან ქმნილი მშვენიერებისა და სილამაზის იდეალის წვდომას, ხოლო სილამაზე და მშვენიერება არის აბსოლუტური ღირებულება, რომელსაც დადებითი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ პიროვნებისათვის, რომელსაც ძალუძს მათი აღქმა. სილამაზის იდეალი იქ მკვიდრდება, სადაც ყოფიერებას სრულყოფილი, ყოვლისმომცველი აბსოლუტური ღირებულება განსაზღვრავს. სრულყოფილი სილამაზე კი არის ყოფიერების სისრულე, რომელიც თავისთავში მოიცავს აბსოლუტური ღირებულების ერთიანობას, შეზავებულს გრძნობით.


„ვეფხისტყაოსნის“ „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ უშუალოდ უკავშირდება პოემის დასაწყისის იმ სტროფს, რომელშიც ერთმანეთთანაა შეპირისპირებული „სპარსული“ და „ქართული“; „სპარსული“ არ შეიძლება იყოს „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ და, პირიქით, „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ არ შეიძლება იყოს „სპარსული“, რადგან რუსთველი, ფაქტობრივად, ემიჯნება სპარსულ პოეზიას, სპარსულ კულტურულ გარემოს, რაც იმიტაც ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობა რადიკალურად განსხვავდება, მაგალითად, „ვისრამიანის“ ან „ლეილმაჯუნუნიანის“ სიყვარულისაგან. „ვეფხისტყაოსანში“ სპარსეთი საქართველოსთან და ინდოეთთან შედარებით უარყოფით კონტექსტში განიხილება (გავიხსენოთ ტარიელის სიტყვები: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“), ასევეა „ამირანდარეჯანიანშიც“ (სხვათა შორის, ამას თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სოციალკულტურული საფუძველები აქვს). ამიტომაც „სპარსული ქართულად ნათარგმანები“, რაც ლიტერატურულ-ესთეტიკურ, პოლიტიკურ-იდეოლო-



გიურ, მსოფლმხედველობრივ, ზოგადკულტურულ თვალთახედვას გვამცნობს. ამიტომ უპირისპირდებიან ერთმანეთს „სპარსული“ და „ქართული“. „სპარსული“ ფაბულურია, ამბავს უკავშირდება, „ამბავი“ კი თხრობაა, ფაბულაა, ის ამბავია, რასაც ეფუძნება პოემის სიუჟეტური განვითარება, ხოლო „ქართულად თარგმანება“ კი მხატვრულ-ესთეტიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს ემყარება და მკითხველისაგან ამ საკითხთა საწვდომად მზაობას მოითხოვს. რუსთველი იყენებს ტერმინს „სპარსული“, მაგრამ მასზე არ ჩერდება; მისთვის „სპარსული“ არაა სრულყოფილების არსის მქონე, რასაც მოწმობს პოემის შინაარსის გადმოცემისას სპარსულისადმი რუსთველის უარყოფითი განწყობა. საამისოდ დავიმოწმებ კ. კეკელიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, ქართული ეროვნული თვითშეგნება ისე მკვეთრად არასოდეს გამიჯვნია სპარსულს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ (კეკელიძე, 1957: 128).

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთველის მიერ ასახული ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო მშვენიერია, ვინაიდან იგი სრულყოფილია, მთელი თავისი მრავალფეროვნებით უსასრულოა, მარადიულია, დიადია, ამალღებულია, ხოლო „უთვალავი ფერით“ შემკული, ლამაზი და მშვენიერი სამყაროს გვირგვინი ადამიანია. შემოქმედი და შექმნილი მშვენიერია, ვინაიდან შექმნილი მშვენიერი ვერ იქნება, თუ თავად შემოქმედს მშვენიერების ქმნადობის უნარი და მისი ღრმა შეგრძნება არა აქვს. სამყარო მოძრავია, ცვალებადია, განახლებადია, სხვაგვარად მრავალფეროვანიც ვერ იქნებოდა. სამყაროს შექმნისა და მისი იერარქიულობის ღვთაებრივი ჩანაფიქრი მონესრიგებულია, სისტემურია, ამასთან, მარადიული და უწყვეტია, „უჟამო ჟამია“, რაც აბსოლუტური სრულქმნილების საფუძველს ქმნის. სამყაროს ყოველი ნაწილი, ყოველი ელემენტი ჰარმონიულად უკავშირდება მთელს, რაც სისრულეს, ამალღებულობას, მშვენიერებას წარმოშობს. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით: „იგი გაჰხდის წამისყოფით, ერთსა ასად, ასსა ერთად“ (794).

„ვეფხისტყაოსნის“ სივრცული არეალი ძალზე ფართოა, იგი, ფაქტობრივად, მოიცავს მთელ კულტურულ აღმოსავლეთს: არაბეთს, ინდოეთს, ხვარაზმელთა სამეფოს, ხატაეთს; ლექსიკის გათვალისწინებით, გამოწვინი ქვეყნებიც – მულღაზანზარი, გულანშარო, ქაჯეთი – ამავე არეალშია საგულვებელი. დროსივრცული მონუმენტურობა რენესანსის თვისებაა. პოემის გმირები უზარმაზარ სივრცეს გადასერავენ დასახული მიზნის მისაღწევად. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თვით შოთა რუსთველმა თავის არს პოეტიცა-



ში ეპოსს, დიდი ეპიკური ტილოს შექმნას მიანიჭა უპირატესობა, რაც ეპოქის მოთხოვნილება იყო. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას წინ უძღვოდა და თან სდევდა მონუმენტური ტაძრებისა და ციხე-ქალაქების აღშენება, მონუმენტური ფერწერის განვითარება. ეს ის ეპოქაა, როცა უცხო სამყაროსადმი ინტერესი იზრდება; ადამიანი სრულყოფილებასა და თვითგამოხატვას მიესწრაფვის, ამიტომ მისი თვალსაზრისი ფართოვდება. ამას მოითხოვს ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების განვითარების კანონზომიერება.

შოთა რუსთველის მხატვრულ სამყაროში უმთავრესი ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანია, ხილულ სამყაროში არსებული იერარქიის უმაღლესი საფეხური, რომლის ესთეტიკური სახე ყოველ მეტაფორასა თუ სიმბოლოში ვლინდება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იმთავითვე სრულყოფილ პიროვნებებად არ გვევლინებიან, ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ აღწევენ სრულყოფილებას, ზნეობრივ ამაღლებას; შინაგანი მშვენიერებისა და ამაღლებულობის შეგრძნების საფუძველი ერთბაშად არ დამკვიდრდება, იგი თანდათანობით მზადდება, რაც პოემის სახელდების საფუძველადაც გვევლინება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მომავალს განსაზღვრავს მათი ზნეობა და ფსიქოლოგია, გმირი „გული გონიერით“ (სოლ.) შეიგრძნობს საკუთარ თავში, რომ ღმერთმა მასში თავისი ნება განახორციელა და იგი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ გრძნობადით, ინტელექტუალურითა და ნებელობით, ე. ი. სულიერი ცხოვრებით უერთდება ღმერთს. იმედი, რწმენა და სიყვარული მასში ინტელექტუალურ სფეროში მარადიული ცხოვრებისაკენ სწრაფვას, ზესთასამყაროს სულიერებასთან შეხების გრძნობას აღვიძებს და ასაზრდოებს; გრძნობად სფეროში ღმერთისადმი, უზენაესისადმი ამაღლებული სიყვარულის შეგრძნებას უმკვიდრებს.

ადამიანის უმაღლესი ღირებულება პიროვნულობაა, ინდივიდუალურობაა. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები გამოკვეთილი ინდივიდები არიან, რომლებიც, სულიერებით გამორჩეულნი და ამაღლებულნი არიან, საკუთარი „მეს“ ძიებისაკენ, თვითშემეცნებისაკენ ურთულეს გზას გაივლიან. მათ უნდა აღმოაჩინონ საკუთარი თავი; ადამიანმა – პიროვნებამ, ინდივიდმა, რუსთველის ადამიანმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს ტრაგიზმის დაძლევის ძალა. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსანში“ ტანჯვაც გაესთეტიურებულია, რაც პოემის სახელწოდების მრავალმხრივობითაცაა დამონმებული. „ვეფხისტყაოსანში“ მთავარ პერსონაჟთა ქმედების უმთავრესი მიზანი დაკარგული ჰარმონიის ძიება, მოპოვება და



დამკვიდრებაა, მშვენიერების, სილამაზის მოსაპოვებლად ბრძოლაა, რომელიც კმაყოფილებისა და სიამოვნების მომგვრელის, ვინაიდან მათ სულიერი მშვენიერებით ამაღლებული განცდა მიუძღვით ღმერთთან შერთვისაკენ. რუსთველის ესთეტიკური მრწამსის საფუძვლებად გვესახება ის, რომ რუსთველური სამყარო ამაღლებულობის მშვენიერებით ხასიათდება, ვინაიდან უზენაესმა არსებამ, შემოქმედმა ღმერთმა სამყარო მშვენიერად შექმნა, რაც თავისთავად ღვთაებრიობის გაესთეტიურებას მოწმობს, ღმერთის მშვენიერების შეგრძნებამ კი ადამიანს ახალი გზა უჩვენა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“ (952). ესეცაა, რუსთველი ადამიანის მცდელობას ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (904). ესაა ადამიანის თვითსრულყოფისაკენ მიმავალი გზა, რომელიც სამყაროს განახლებისათვის მცდელობასა და გარჯას მოითხოვს. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩნდება, ერთი მხრივ, სამყაროს იერარქიულობა, რომელშიც, უთუოდ იგულისხმება წარმმართველი და დაქვემდებარებული, ხოლო, მეორე მხრივ, საფეხურებრივი განვითარება, რითაც ირგვლივ და ყველაფერში ჰარმონიულობა მიიღწევა. ამისთვის აუცილებელია ადამიანში სულიერი სრულყოფილების თვითშეგნების ჩამოყალიბება, ზნეობრივი ორიენტირის განსაზღვრა, ყოველგვარ განცდათა – მწუხარების, სიხარულის – საკუთარი ნებელობისადმი დაქვემდებარება.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის გარდასახვის, ადამიანში პიროვნების გამოღვიძებისა და აღორძინების იდეას ახალი თაობა აყენებს: ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. რუსთველმა პოემაში წინა პლანზე დააყენა არა მეფის ასულის ან მეფის ძის, არამედ პიროვნების, ადამიანი-ინდივიდის ინტერესები. ამით ის მკვეთრად განსხვავდება წინარე ლიტერატურული აზროვნებისაგან. „ვეფხისტყაოსანში“ ძველი თაობა ინდოეთის მაგალითზე პიროვნულს, ინდივიდუალურს უგულვებელყოფს, რაც ახალ თაობასთან დაპირისპირების საფუძველი ხდება. ახალი თაობის წარმომადგენლებმა იციან, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად დაუსრულებელი ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო და იბრძვიან კიდევ. სიახლის აუცილებლობას ახალი თაობა მთელი არსებით შეიგრძნობს და შეიმეცნებს; მან იგი ბრძოლით უნდა დაამკვიდროს. ძველი თაობიდან ამას როსტევეანი ჩასწვდა პოემის დასასრულს. სიახლის დამკვიდრებამ საუკუნეთა განმავლობაში ჰაგიოგრაფიაში შემუშავებული პრინციპების კვალობაზე აღქმული იდეალური გმირის გაგება რუსთველის პოემაში შეცვალა, ეპოქის

ლიტერატურულ-ესთეტიკური მოთხოვნების კვალობაზე იდეალური სადმი დამოკიდებულება შეიცვალა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების, ნესტან-დარეჯანის, ტარიელის, თინათინის, ავთანდილის სულიერ სამყაროს სიყვარული ალამაღლებს, ალამაზებს და ამშვენებებს, რაც თითოეულ მათგანს ესთეტიკურად წარადგენს მკითხველის წინაშე. მათივე ამაღლებულობა, სილამაზე და მშვენებებაა სხვათათვის გარჯა, სხვათა ბედნიერება, სხვათა სიყვარულის გასამარჯვებლად მცდელობა. ესთეტიკური და ეთიკური შეზავებულია, ხოლო ეთიკური, თავის მხრივ, გამშვენებელია. რუსთველის პერსონაჟები საკუთარ თავში აყალიბებენ სამყაროს მთლიანობის შეგრძნებას, რომელშიც ადამიანი-პიროვნება მიკროკოსმოსია. ღმერთის მიერ შექმნილ მშვენებულ სამყაროში ტრაგიკულიც მშვენებულად აღიქმება, თუ იგი პიროვნება-ინდივიდის ტრაგედიაა. ტრაგიკულის მშვენებულად აღქმა რენესანსმა მოიტანა, ვინაიდან ადამიანური გრძნობა ყოველთვის მშვენებულია. მანვე დაამკვიდრა გონების კულტი: ყოველივე ამით გამშვენებული არიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები. მათში შეზავებულია გონითი და გრძნობადი ელემენტები, რის გამოც პოემაში შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ესთეტიკის სააზროვნო სივრცე ირეკლება და აისახება.

„ვეფხისტყაოსნის“ მთლიან, მონოლითურ სამყაროში, „უთვალავი ფერით“ შემკულში, ყურადღების ცენტრში ექცევიან პიროვნებები, რომლებიც ცვლიან მთელ საზოგადოებას, რადგან საზოგადოება პიროვნებათა, ინდივიდთა ერთიანობაა. რუსთველის ადამიანი არის მიკროსამყარო, ხოლო სამყარო – მაკრო ადამიანი. ამიტომაც რუსთველური მხატვრული აზროვნების ნაყოფი, „ვეფხისტყაოსანი“, გამოკვეთილი ინდივიდი შემოქმედის ღვთაებრივი სიბრძნით გაჯერებული, მარადიული მშვენებებით შემკული მხატვრული სამყარო.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა საბოლოო გამარჯვება განაპირობა სიყვარულმა, რწმენამ, იმედმა, ღვთის განგებამ, ურთიერთ-თანადგომამ, თანალმობამ, მაღალმა ზნეობამ, ღმრთივგანბრძნობილობამ, სულიერმა სრულყოფილებამ, გმირობამ და ვაჟკაცობამ. „ვეფხისტყაოსანი“ „ვით მარგალიტი ობოლი ხელიხელ საგოგმანები“ საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა და ამჟამაც იბრძვის ზნეობრივი იდეალების დასამკვიდრებლად, ეროვნული ცნობიერების განსავეითარებლად, კაცობრიობის გადასარჩენად.

გამოყენებული ლიტერატურა:



ნოზაძე: ნოზაძე ვიკტორ, „ვეფხისტყაოსანის“ ფსიქოლოგიისმეტყველება, ავტორის ხელნაწერი შრომა საარქივო მასალის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა მანანა კვატიაამ (ხელნაწერი შრომა).

კეკელიძე, 1957: კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა... თბ., 1957.

შოთა რუსთველი, 1966: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, - თბ., 1966.

ილია ჭავჭავაძე, 1984: ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, - თბ., 1984.



მანანა სამაჟვილი

ავტორისეულიდან – ხალხსურამდე

თედო და ნიკო რაზიკაჟვილების ზოგიერთი ლექსის გამო

რაზიკაჟვილების ოჯახმა სამი დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე აღუზარდა საქართველოს. სამივე მათგანის შემოქმედება გამოირჩევა ორიგინალური ხელნერით და შემოქმედის დაკვირვებული თვალთახედვით. სამივე მათგანს აერთიანებდა უსაზღვროდ დიდი სიყვარული საქართველოსი. ეს განაპირობებდა მათი მოღვაწეობის სარბიელს: შეუპოვარ ბრძოლას სიტყვითა და საქმით ქვეყნის ხილულ, თუ „უხილავ“ პრობლემებთან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სამივე ძმამ (ვაჟა, თედო და ბაჩანა) თავისი შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროდ ხალხური სიტყვიერება აირჩია. თქმულებები, ლეგენდები და ხალხური ლექსები იყო ის სფერო, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოს ისტორიულ წარსულთან, საზოგადოების ინტერესებთან, მის სატკივართან, გამარჯვების სიხარულთან თუ განუხორციელებელ ოცნებებთან.



თედო რაზიკაჟვილი

2
ბიძა ბაბუის ძევი,
მეც კაცობისა მხარა
ყო ხართ, ნუ ამბობენ
ქმარს ქუჩის ქანდაკ.
ნაქმარს და ვაჟობა
მეც ვსუ-კუბუკობა დედა! 1884/5

2
საბუკა. 1.
ქაბუკი მხარა მიუცხე უმარა
ქაბუკი მხარა მიუცხე უმარა
მამუბი-კუბუკობა,
მამუბი-კუბუკობა.
მამუბი-კუბუკობა.
მამუბი-კუბუკობა.
მამუბი-კუბუკობა.
მამუბი-კუბუკობა.
1884/5

2
საბუკა. 2.
მამუბი-კუბუკობა მხარა
მამუბი-კუბუკობა;
მამუბი-კუბუკობა
მამუბი-კუბუკობა.
1884/5

3
მამუბი-კუბუკობა, მამუბი-
კუბუკობა მამუბი-კუბუკობა.

მიერ ფშავეში, ქართლსა და კახეთში შეგროვებული ხალხური ლექსები. ძმებისთვის მომხიბლავი იყო ხალხის მეხსიერებაში შემონახული ფშავესურული ლექსებისა და თქმულებების პოეტური ბუნებაც: ლექსთნყოფა და სიტყვაკაზმულობა. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ თედოს და ბაჩანას შემოქმედება ასე ბუნებრივად ჩაენერა ხალხის მეხსიერებაში და სამართლიანი სიყვარული დაიმსახურა.

გასაგებ მიზეზთა გამო, თედო და ნიკო რაზიკაშვილებისთვის რთული აღმოჩნდა ბუმბერაზ ვაჟასთან ერთ ისტორიულ პერიოდში თავის დამკვიდრება. მიუხედავად ამისა, ხალხმა იმდე-



ბაჩანა რაზიკაშვილი

ნად შეიყვარა თავის დროზე პრესაში დაბეჭდილი თედოს და ბაჩანას პოეტური ქმნილებები, რომ ისინი სწრაფად ვრცელდებოდა ზეპირი გზით, როგორც შინაარსით გამორჩეული მაღალმხატვრული პოეზიის ნიმუშები. თედო რაზიკაშვილის თავმდაბლობაც იყო იმისი მიზეზი, რომ მან სიცოცხლეშივე არ გამოსცა თავისი მოთხრობებისა და ლექსების კრებულები. დაბეჭდილია თედოს პოეზიის მხოლოდ ერთი გამოცემა: „რჩეული ლექსები და პოემები. თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი, 1999“, რომელშიც შემდგენელმა პრესაში გამოქვეყნებული 55 ლექსიდან მხოლოდ 16 ლექსი შეიტანა. თავის დროზე ძმების პოეზიის სრული კრებულების გამოუცემლობის გამო, დაიკარგა ინფორმაცია ამ თხზულებების ავტორებზეც. ასე, მაგალითად,

დღეს ხალხურად მიიჩნევა თედო რაზიკაშვილის ლექსი „კახეთს“ რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის 27 ოქტომბერს (№228). დღეს გავრცელებულ პოპულარულ ხალხურ სიმღერაში, „მიყვარხარ ტკბილო კახეთო“, თედოს ლექსის პირველი რვა ტაეპია გამოყენებული, მსმენელმა კი არ იცის მისი ავტორის ვინაობა. აი, ამ ლექსის სრული ვარიანტი:

„მიყვარხარ ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო,
ირემო – იალალზედა,
ივრის პირებზედ – ჩალაო;
ბარდებში მძრომო ხოხობო,
ტურფაო ხარისთვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო,
ზედ ჯეირნების ფარაო.

მიყვარხარ სიყვარულითა,
ვაჰმე, შხამგარეულითა,
მუდამ გიგონებ გულითა
სევდისგან დაღეულითა;
გეტრფი და გეტრფი გრძნობითა,
ზეცამდე აწეულითა.
ვაიმე, ჭირის მოკლულსა,
მე ლხინის მომლოდინესა,
ვნევარ გულგადაღეული
ტანჯულთა სალოგინესა,
ცრემლს მასმევს, მომშიებულსა
შავს მინას მალოკინებსა.
ეგებ არ მოგკვდე შენისა
სურვილით გაუძლომელი,
მამულის მხსნელთა ნაკვალსა
არ ავცდე აუცდომელი...
თუ დაუტირლად დავემხო
ანმყოთი დაუტკობელი, —
მყობად მოყვარულს სამუდმო
შენ მომეც დასადგომელი!
ეგები ძვალებს მაინცა
ნამი ანამოს მდელომა
და ჩემს შემდგომად ტანჯულმა
იხაროს საქართველომა!”

კიდევ უფრო საინტერესოა ბაჩანას ლექსების ბედი. ცხოვრების ბოლოს უკვე დაავადებული პოეტი, რომელიც დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში ცხოვრობდა, ოცნებობდა თავისი ლექსების სრული კრებულის გამოცემაზე. სამწუხაროდ, პოეტს არ აუხდა ეს ოცნება. ბაჩანას გარდაცვალებიდან მხოლოდ 11 წლის შემდეგ შემდეგ (ის გარდაიცვალა 1927 წელს), ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ, მეცნიერმა სოლომონ ყუბანიძემ შექმნა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პოეტის ლექსებისა და პოემების თავმოყრა და გამოსცა ბაჩანას პოეზიის სრული კრებული: ბაჩანა. ლექსები და პოემები. - თბ., ფედერაცია, 1938“. არსებობს ნიკო რაზიკაშვილის რჩეული თხზულებების შედარებით ახალი გამოცემაც: ბაჩანა. მუხავ, მიყვარხარ, ტიალო: ლექსები, პოემები. - თბ., მერანი, 1988“. ბაჩანას პოეზიის დასახელებული გამოცემებიდან არც ერთი არ ასახავს სრულად პოეტის შემოქმედებას: სოლ. ყუბანიძევილის მიერ შედგენილ წიგნში არ შესულა ბაჩანას



სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში გაზეთებსა და ყურნალებში, გაბნეული 27 ლექსი და ორი პოემა (აქედან ერთი პოემა, „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“, დაიბეჭდა, როგორც დამოუკიდებელი გამოცემა 1890 წელს); აქამდე არ დაბეჭდილა მისი საინტერესო მოთხრობებიც, რომლებიც ცალკე განხილვის საგანია და სათანადო ყურადღებას იმსახურებს.

ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, ვაჟასა და თედოსგან განსხვავებით, მეტად ახლოსაა ფშაურ დიალექტთან, იმ დროს, როცა მისი მოთხრობები და წერილები წმინდა ლიტერატურული ენითაა დაწერილი. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი იკვლევდა ბაჩანას პოეტური ენის თავისებურებებს: მაგალითად, პოეტის მიერ ლექსებსა და პოემებში უხვად გამოყენებული ფშავ-ხევსურული დიალექტის ლექსიკური ერთეულები შეტანილია „ფშაურ ლექსიკონში“, რომელიც შეადგინა გიგი ხორნაულმა; ფილოლოგი და ფოლკლორისტი ტრისტან მახაური კი თავის გამოკვლევაში – „ფოლკლორული ნაკადი ბაჩანას პოემაში „წაწლობა“ – სამართლიანად აღნიშნავს ერთ მეტად საყურადღებო გარემოებას, რომ: „ხალხურ სიტყვიერებასთან ბაჩანას დამოკიდებულების საკითხი, სამწუხაროდ, დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის“. მკვლევარი ეთანხმება ამ საკითხზე მწერლისა და ლიტერატორის, ირაკლი გოგოლაურის დაკვირვებას და იქვე მაგალითად მოჰყავს მის მიერ თეზისების სახით ჩამოყალიბებული აზრი:

„ბაჩანა ლირიკულ ლექსებს ქმნის:

1. ხალხური სიმღერებისა და ლექსების ტონ-რიტმიკისა და მელოდიათა გავლენის საფუძველზე.
2. ხალხური თქმულებანი და გადმოცემანი უდევს საფუძვლად მის ეპიკურ ქმნილებებს.
3. თავის ნაწარმოებებში უცვლელად იყენებს ხალხური ლექს-სიმღერების ტექსტებს, ანდაზებსა და სხვა ფრთიან გამოთქმებს.
4. ბაჩანას ლექსები და ეპიკურ ქმნილებათა ნაწყვეტები გადასულია ფოლკლორში და ახლა ისინი შემკრებთაგან ფიქსირდებიან, როგორც ხალხური სიტყვიერების ნიმუშები“.

ბაჩანას ხალხურ კილოზე განყობილი ლექსები ჩართული აქვს არა მარტო პოემებში, არამედ, მოთხრობებშიც. ასე, მაგალითად: მწერალს მოთხრობა „დედის ტირილი“ (გაზ. „თეატრი, 1886, №13) ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ლეგენდაზე აუგია. მოთხრობის ფაბულა დამშვენებულია შესანიშნავი ლექსებით, რომლებიც ძალიან მიაგავს ხალხურს, მაგრამ ავტორისეული უნდა იყოს.



მოთხრობის შინაარსი ასეთია: დედას ჩვილ ბავშვს გასტაცებს არ-
ნივი. შვილის ძებნისას სასონარკვეთილი მშობელი ყვავილს, შემ-
დეგ კი წყაროს შესჩივლებს:

„ტანად და პირად ლამაზო,
გთხოვ, ერთნამ თავი აიღო:
მოკლე სიცოცხლეს გაფიცებ,
მიტხრა, სიკეთე გაიღო,
არნივმა შვილი გამტაცა,
რა უყვა, საით წაიღო?“

„ცივო, ცივის კლდის ნადენო,
წანწკარით ჩამომდინარე,
რაც იცი, ნუ დამიმაღავ,
დარდი მეც გამიზიარე...
წყარო ვის გაუგონია
თვალებს ცრემლჩამომდინარე?“

ეს მონაკვეთები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ოს-
ტატურად იყენებს პოეტი ხალხური ლექსების სურათ-ხატებს და
რიტმს თავისი ლექსებისთვის.

მკითხველისათვის ახლა უფრო გასაგები უნდა იყოს, თუ რა-
ტომ ჩათვალეს ხალხში გავრცელებული ბაჩანას ზოგიერთი ლექსი
ფოლკლორის ნიმუშად. ეს, რა თქმა უნდა, შეეხება ისეთ თხზულებ-
ებს, რომელთა ხელნაწერებიც არ დაუძებნიათ და ბაჩანას პო-
ეზიის კრებულებში არ შეუტანიათ. ამასთან დაკავშირებით, უნდა
გავიხსენოთ ბაჩანას ერთი შესანიშნავი ლირიკული ლექსის ისტო-
რია. აი, ისიც:

„ცაზედ მოდიან წერონი
მწკრივადა, ჯარის-ჯარადა...
ვერა ჰხედავთა, ტივლებო?
ცრემლი ჩამომდის ღვარადა!
ნადით, წაიღეთ ამბავი,
არ გადუხვიოთ შარადა;
უთხარით, ნუ დამივინყებს,
ქალია ტურფა ტანადა, —
ნეტავი თუ ვაგონდები?
მე კი ვსულდგმულობ ძალადა“.

ეს ლექსი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „დროების“ 1885 წლის 1 სექტემბრის (№187) ნომერში, სადაც ის ჩართულია ბაჩანას პირველ პუბლიკაციაში, ეთნოგრაფიული შინაარსის წერილში: „მცირე რამ ფშავ-ხევსურეთზე“. წერილში ბაჩანა მოგვითხრობს მთიელთა ყოფა-ცხოვრებაზე, საქმიანობასა და რეგიონის პრობლემებზე, შემდეგ კი აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას „მთიანი სამშობლოსადმი“: „ფშაველი ზამთრობით თუ დაანებებდა მხოლოდ იმას (მთას) თავს და ჩამოჰრეკავდა ცხვარ-ძროხას ბარს, კახეთში“. აქ ის არ ივიწყებს ფშაველების პოეტურ ბუნებას და განაგრძობს: „რა უცხოვდ არიან მაშინ ნათქვამი ეს ლექსები სახალხო პოეტებისგან“ — ო, „სახალხო პოეტების“ გამონათქვამებად კი ქვემოთ მოჰყავს ორი ლექსი. აქედან პირველი ხალხურია:

„ვაჰ გულო, ვაჰ გუნებაო,
ვაჰ სიშორეო გზიასაო,
წასვლავ და აღარ მოსვლაო,
დანირვავ სწორებისაო“.

მეორე ლექსი გახლავთ „ცაზედ მოდიან წერონი“, რომელიც ნამდვილად ავტორის ორიგინალური ლირიკული ლექსია. ამას მოწმობს 1893 წლის გაზეთ „კვალში“ (№ 38) დაბეჭდილი ბაჩანას ზემოთ ნახსენები თხზულება. გაზეთში დაბეჭდილ ლექსს მითითებული აქვს მისი დაწერის თარიღი — 1883 წელი. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამავე ლექსის ხელნაწერიც (№12432), რომელიც დათარიღებულია 1884 წლით. სავარაუდოდ, გაზეთში გაიპარა უზუსტობა ლექსის დაწერის თარიღთან დაკავშირებით. სარწმუნოდ უნდა ჩავთვალოთ ხელნაწერზე მითითებული თარიღი, რომელიც ბაჩანას მიერ თავის დროზე დაფიქსირებული. საინტერესოა, რომ აღნიშნული ლექსი წიგნის შემდგენლებმა შეიტანეს 1978 წელს დაბეჭდილ „ქართული ხალხური პოეზიის“ მეექვსე ტომში (გვ. 109). ამავე წიგნის კომენტარებში (გვ. 279) ბაჩანა ზემოთ მოყვანილი „ხალხური“ სატრფიალო ლექსის ჩამწერადაა მოხსენიებული. აქვე მითითებულია წყაროდ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ბაჩანას ეთნოგრაფიული წერილი. წიგნის შემდგენლები შეცდომაში შეიყვანა იმ ფაქტმა, რომ ავტორმა თავისი ლექსიც „სახალხო პოეტების“ ნათქვამად „მონათლა“. საქმე იმაშია, რომ 19 წლის ახალბედა პოეტს, ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიის მოსწავლეს, მოერიდა პირველ პუბლიკაციაში თავისი სახელით ლექსის გამოქვეყნება და ის ხალხურ ლექსად წარმოგვიჩინა. მოგვიანებით, მწერალსა და მკვლევარს გიგი

ხორნაულს ბაჩანას ამ ლექსის ავტორად მიხა ხელაშვილი მიუჩვენებია და მისი ლექსების კრებულში შეუტანია (მიხა ხელაშვილი, ლექსო, ამოგთქომ ოხერო. - თბ., 2006, გვ. 76).

1980 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№43) დაიბეჭდა ენათმეცნიერისა და ქართული ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნის, ალექსი ჭინჭარაულის სტატია „ბაჩანას სამი ლექსი“, სადაც მეცნიერი საუბრობს ბაჩანას ლექსების გახალხურების ტენდენციაზე. მას მოჰყავს მაგალითები ბაჩანას სხვა ორ თხზულებასთან დაკავშირებით: მათგან ერთი – „დაბარებული“ შეტანილია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ კრებულში:

„მშვიდობით, ნადი, ბულბულო,
მშვიდობით შენი მგზავრობა!
იერუსალიმს გაუვლი,
ჩაჰძახე ჩვენი ნახდომა,
ჩვენი მუდმივი დუხჭირი,
ჩვენი მუდმივი შეცდომა.
**ზღვა-ზღვა მივცურავთ უაზროდ,
ნიჩბების მოუსმელადა.**
**არც რასა ვდარდობთ, თვალით ბრმა
ბედი გვყავს წინამძლოლადა.**
**გავალთ, თუ დავიღუპებით,
არა ვიცით რა სწორადა.**
ალარც გული გვაქვს, არც ჭკუა,
ალარც თაკილი სადმეა,
არა გვგონია სმა-ჭამას
გარდა სხვა საქმე რამეა.
რომ გამობრუნდე, ბულბულო,
ეგებ რამ დაგაბაროსა,
ყველას წამალი ის არის,
ეგებ რამ მოგვაგვაროსა,
თუ არა – რისთვისა ვიყო?
მეცა იქ მიმაბაროსა...
უთხარი ჩვენსა შოთასა,
იქა ჰმარხია, მგონია.
სანამ ან საქართველოა,
ან ივერიის ძენია –
ისიც ცოცხალი იქნება,
ნურაზედ მოუნყენია.

იქნება იმის ძველ ნაშთსა,
დაშლილსა უცხო მხარეში,
ენატრებოდეს აქ წოლა,
ამ თავის ქართლის მხარეში?
მაგრამ ვინ ზრუნავს – სუყველა
გაბმულა თავის საქმეში!
იქნება ბევრიც ინატრა
თავის სიკვდილის ნამებში,
კიდევ ენახნა თამარი,
ჩასცქერებოდა თვალებში“.

ალ. ჭინჭარაული აღნიშნავს, რომ ამ ლექსის რამდენიმე (7-12) სტრიქონი, რომელსაც მღეროდა ცნობილი მომღერალი „დედას ლევანა“, ვილაცას სოფელ შაშიანში ჩაუნერია. 1934 წელს იგივე ლექსი ვახტანგ კოტეტიშვილმა შეიტანა ნიგნში: „ხალხური პოეზია“; შემდეგ კიდევ განმეორდა ეს შეცდომა და 1979 წელს ის გადაბეჭდეს „ქართული ხალხური პოეზიის“ კრებულის მე-7 ტომში (გვ. 86). იგივე ბედი ეწია ბაჩანას ლექსს – „სიმღერა“ („ქალს ვუთხარ გულის პასუხი“). ამასთან დაკავშირებით, ალ. ჭინჭარაული წერს: „ბაჩანას ეს ლექსი 1939 წ. ნიგნში „ფშაური მოლექსებანი“ ხალხურად გამოაქვეყნა ივ. ხორნაულმა (გვ. 50), იქიდან „ქართული ხალხური პოეზიის“ მე-6 ტომში გადმობეჭდეს (1978 წ. გვ. 149, №618)“. ხელნაწერების გარდა არსებობს სხვა წყაროც ზემოთ აღნიშნული ორი ლექსის ავტორის შესახებ: ეს გახლავთ ბაჩანას სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები ჟურნალ-გაზეთებში: ლექსი „დაბარებული“ დაბეჭდილია გაზეთში „კვალი“ 1893 (№37). აქვე მითითებულია ლექსის დაწერის თარიღი -1887 წ.; მეორე ლექსი – „ქალს ვუთხარ გულის პასუხი“ გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ (№282) 1895 წელს.

ბოლოს, ალ. ჭინჭარაული განიხილავს ბაჩანას ლექსს – „ცაზედ მოდიან წერონი“. სტატიის ავტორი ამ თხზულებასაც ავტორისეულად მიიჩნევს და სათანადო არგუმენტებით ასაბუთებს თავის აზრს, თუმცა მნიშვნელოვან ცნობად არ მოჰყავს ბაჩანას ამ ლექსის დათარიღებული ხელნაწერის არსებობა. სამწუხაროა, რომ ბაჩანას საინტერესო შემოქმედება დღესაც არ არის სათანადოდ შესწავლილი და აღიარებული. სწორედ ამიტომ, იგივე ტენდენცია დღესაც გრძელდება და ბაჩანას ამ პატარა პოეტურ შედეგს, როგორც ხალხურ ლექსს, ისე დაამღერებენ შემსრულებლები. სასიამოლო ტექსტში ვაჟას სატრფიალო ლექსს მოსდევს ბაჩანას ტაეპები და შემდეგ – ხალხური ლექსი:

„შენმა სურვილმა დამლია,
შენზე ფიქრმა და სევდამა,
შორს წასვლამ ხშირად გაყრამა,
გულის თვალებით ხედვამა“.
„ცაზედ მოდიან წერონი
მწკრივადა ჯარის-ჯარადა,
ვერა ხედვათა ტივლებო
ცრემლი ჩამომდის ღვარადა“.
„გადამაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი...
შენ ჩემს გულს ველარ მოიგებ,
ჩემი სათქმელი ის არი!“

ქართული პოეზიის მკვლევართათვის საყურადღებო უნდა ამ საკითხებზე დაფიქრება. იმედია, ეროვნული ლიტერატურის დღევანდელი მოამაგენი კომპლექსურად შეისწავლიან ვაჟას არაჩვეულებრივი ძმების – თედო და ნიკო რაზიკაშვილების შემოქმედებას ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობი მათი თხზულებების გამოცემისა და პოპულარიზაციის მიზნით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაჩანა. ლექსები და პოემები. - თბ., ფედერაცია, 1838.
2. ბაჩანა. მუხავ, მიყვარხარ, ტიალო: ლექსები, პოემები. - თბ., მერანი, 1888.
3. რაზიკაშვილი, თედო. რჩეული ლექსები და პოემები. - თბ., საქ. მეცნ. აკად. ქართ. ლიტ. ინ-ტი, 1999.
4. გაზ. „ივერია“, 1891, №228.
5. გაზ. „დროება“, 1885, №187.
6. გაზ. „კვალი“, 1893, №: 37, 38.
7. გაზ. „ივერია“, 1895, №282.
8. გაზ. „თეატრი“, 1886, №13.
9. ქართული ხალხური პოეზია. ტ. 6. - თბ., მეცნიერება, 1978.
10. ქართული ხალხური პოეზია. ტ. 7. „_____“ 1979.
11. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980, №43.
12. ხელაშვილი, მიხა. ლექსო, ამოგთქომ ოხერო. - თბ., 2006.
13. ლიტერატურული კვლევები: შრომები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. - თბ., თსუ, 2018.



14. გოგოლაური, ირაკლი. ბაჩანას პოეზია და ხალხური შემოქმედება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს XXVI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, გამომცემლობა „მეცნიერება“, - თბ., 1987.

ტრაგიკული დაბრუნება

(სამსონ ფირცხალავა)

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი და გამოცემელი სამსონ გიორგის ძე ფირცხალავა (ფსევდონიმები: „სიტყვა“, „კალამი“, „სანვინი“, „S-P“, „S-SON“, „იგივე“) დაიბადა 1872 წლის 26 მაისს¹ დ. ხონის სოფელ მათხოჯში. პირველადი განათლება მან ხონში მიიღო, 1889-1893 წლებში ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, 1893 წლიდან კი – პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. სწორედ იქ დაუახლოვდა იგი ივანე ჯავახიშვილს, ზურაბ ავალიშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, გრიგოლ რცხილაძეს და



სამსონ ფირცხალავა

სხვ. ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში 70-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ისინი ყოველწლიურად მართავდნენ სადამოებეს, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართული კულტურის პოპუ-

1. საქართველოს ჯანაშვიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცულ ავტობიოგრაფიაში სამსონ ფირცხალავას დაბადების თარიღად აღნიშნულია 26 მაისი, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მიერ შედგენილ ანკეტაში – 3 იანვარი. ჟანდარმერიის თარიღი ნაკლებად სანდო უნდა იყოს, რადგან სშსს არქივში დაცულ სისხლის სამართლის საქმეებში, კერძოდ, პატიმრების ანკეტებში ხშირად განსხვავებული თარიღები გვხვდება.



ლარიზაციას უწყობდა ხელს, მეორე მხრივ, შემოსავლით ლარიზაცია სტუდენტებს ეხმარებოდა. სათვისტომოს გამგეობას სამსონ ფირცხალავა მეთაურობდა. როგორც ცნობილია, ქართველმა სტუდენტებმა 1897 წელს საბერძნეთ-ოსმალეთის ომის გამო განიზრახეს, თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ბერძენი ხალხისათვის. მათ რჩევისთვის მიმართეს ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს და შესაბამისი წერილები „ივერიის“, „მოამბის“ და „კვალის“ რედაქციებში გაგზავნეს. წერილების ავტორი სამსონ ფირცხალავა იყო. საზოგადოებისთვის ისიცაა ცნობილი, რომ ქართველმა სტუდენტებმა ორი განსხვავებული პასუხი მიიღეს: ილია ახალგაზრდებს თავშეკავებას ურჩევდა: მართალია, იგი დიდ პატივს სცემდა ბერძენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და თანაუგრძნობდა მათ, მაგრამ სტუდენტების ამ ნაბიჯს, მისი აზრით, შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა საქართველოსთვის, რომელიც მათი ფიქრისა და ზრუნვის უმთავრესი საგანი უნდა ყოფილიყო. „გიორგი წერეთელი გვაფრთხილებდა, მაგრამ გვირჩევდა, მიჰყევით თქვენს ახალგაზრდულ მისწრაფებასო“, – იგონებდა სამსონ ფირცხალავა (ფირცხალავა 1920: 16). თუმცა ეს პასუხები ქართველმა სტუდენტებმა იმდენი ხნის დაგვიანებით მიიღეს, რომ დეპეშების გაგზავნას უკვე აზრი აღარ ჰქონდა (ფირცხალავა 1920: 15). წერილები სამსონ ფირცხალავას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუცია, როცა ამ ორგანიზაციის მდივანი იყო. „ილია ჭავჭავაძე რომ გარდაიცვალა და მე წკ საზოგადოების დავალებით ჩავიბარე მისი თბილისის ბინის ნივთები, აღმოჩნდა ილიას გამოგზავნილი შავი და თეთრიც. ახლა საქართველოს მუზეუმში უნდა ინახებოდეს“, – წერდა იგი თავის მემუარებში (ფირცხალავა 1988: 27).¹

ფირცხალავას საქმეში² დაპატიმრების დროს ჩამორთმეულ ნივთმტკიცებათა შორის აღმოჩნდა პეტრბურგის ქართველ სტუდენტთა მიმართვის ტექსტი პოლონელი სტუდენტებისადმი. ისინი თანაგრძნობას უცხადებდნენ თანატოლებს მათი ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფის გამო, როცა პოლონეთში ძეგლი დაუდგეს პოლონელი ერის უარმყოფელს, „მტარვალ მურავიოვს“. ამ ტექსტის ავტორიც სამსონ ფირცხალავა იყო, თარიღი – 1897 წლის დეკემბერი.³

1. წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ი. ჭავჭავაძის ფონდი, ხელ. №225 (იხ. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. X. 1961. გვ.517).
 2. საქართველოს შსს არქივი. ფ. ნ. საქმე № 13981, ყუთი 155.
 3. „ამ მოწოდების ტექსტი (ჩემი შედგენილი) აღმოჩნდა ჩემს საქალაქში“, – აღნიშნავდა სამსონ ფირცხალავა თავის მოგონებათა წიგნში (ფირცხალავა 1988: 27).



პეტერბურგიდან დაბრუნებული სამსონ ფირცხალავა მუშაობდა ქუთაისის სახაზინო პალატაში, საკვირაო სკოლებში სწავლიდა ქართულ ენას, წერდა რეცენზიებს ლადო მესხიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლებზე. მოგვიანებით სამუშაოდ გადავიდა ჭიათურაში, ქართველი მწარმოებლების კანტორაში. უფრონალ „კვალში“ გამოქვეყნდა ფირცხალავას წერილი მალაროს მუშათა მიძიმე მდგომარეობაზე, რის გამოც მას სამსახურის დატოვება მოუწია. ამის შემდგომ მან გადაინაცვლა თბილისში და „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა (1901-1902): აქვეყნებდა ფელეტონებს, პუბლიცისტურ წერილებს ფსევდონიმებით: „კალამი“ და „სიტყვა“; 1902 წლის 25 მაისს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად, ამავე წლის 17 ივნისს – გამგეობის მდივნად და ამ მოვალეობას იგი 1910 წლამდე ასრულებდა. დიდია მისი წვლილი ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობაში. სამსონ ფირცხალავამ შეადგინა და გამოსცა „XIX საუკუნის ქართველი პოეტების რჩეული ლექსები“ (1909), კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ (გ. სალარიძესთან (ახალციხელი) ერთად, 1907), პიესად გადააკეთა ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც სცენაზე 1907 წლის 12 ოქტომბერს დაიდგა.

სამსონ ფირცხალავა იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, მესამე დამფუძნებელი კრების (1900) მონაწილე. 1907-1909 წლებში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ – მემარჯვენე ფედერალისტი.

წინამურის ტრაგედიის პირველსავე დღეებში გაჩნდა ეჭვი, რომ ილიას მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების ხელი ერია. 1907 წლის 10 ოქტომბერს, ცხელ გულზე, ილია ჭავჭავაძის დიდი გულშემატკივარი, მისი ერთგული თანამებრძოლი სამსონ ფირცხალავა „სიტყვა“-ს ფსევდონიმით გაზ. „ისარში“ (№221) აქვეყნებს წერილს „ვინ მოჰკლა ილია“. სრული ტექსტი ვრცელია. ყველაზე მტკივნეული ავტორისთვის პეტერბურგში 1907 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებული ქართველი სტუდენტების კრების ფაქტია... კრების დამსწრე 72 სტუდენტიდან 45-ს მიუცია ხმა პეტერბურგიდან სამძიმრის დეპუტის გამოგზავნისთვის, 2 აშკარად წინ აღდგომა, 39 გაჩუმებულა: „ჯერ უნდა ვითათბიროთ და მერე გადავწყვიტოთ, ღირსია თუ არა ილიას სიკვდილი იმისა, რომ მწუხარება გამოვსთქვათ... დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ კრებამ მიიღო დეპუტა და დაადასტურა მისი შინაარსი. ყველა ეს ორმოცდაერთი სტუ-



დენტი, „ღრმად ჩახედული ცხოვრებაში“, ყველა იმ მოძღვრების მიმდევარია, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულს ეძახიან, იმ დენის წევრები არიან, რომელიც გონებას უზშობს ადამიანს. მათ მოინდომეს ილიას სახელის შებღალვა, გამოვიდნენ მის ბრალმდებლად, უნდა მოინონონ ასეთი მამულიშვილის მოკვლა, რომლითაც იამაყებდა ყოველი განათლებული ქვეყანა... ამასთან დაკავშირებით წერს გურამ შარაძე: „ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვეზუსტებინა აღნიშნული კრების ზოგიერთი მონაწილის ვინაობა. ცნობილი ეროვნული მოღვაწე რევაზ გაბაშვილი, რომელიც მაშინ პეტერბურგში სწავლობდა და დასწრებია ამ კრებას, მოგვითხრობს: „თოფივით გავარდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი და აღაშფოთა სტუდენტობა. მახსოვს ყრილობაზედ კინალამ გავგლიჯეთ ვალიკო ჯუღელი, მაშინვე ბოლშევიკი, რომელმაც ცინიკურად განაცხადა: „пес рубят – щепки летят“, რასაც იმეორებდა ყველა მენშევიკი“ (შარაძე 1990: 404-405).

1910 წელს სამსონ ფირცხალავა მეფის ხელისუფლებამ გადაასახლა ქ. ტვერში, საიდანაც 1913 წელს დაბრუნდა და კვლავ განაგრძო სარედაქციო საქმიანობა. იმავე წელს გამოსცა კრებული „გვირგვინი“. 1917-21 წლებში იგი ხელმძღვანელობდა გაზ. „სახალხო საქმეს“; 1917 წლის ნოემბერში მიწვეული იყო ეროვნული კრების წევრად საქართველოს სოც. ფედ. პარტიისაგან; 1919 წელს გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

სამსონ ფირცხალავას, როგორც რედაქტორის, პროფესიონალიზმი სრულად წარმოჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას. 1915 წელს პოეტის დისწულის, ნიკოლოზ ერისთავის მიერ ჩაფიქრებული ნიგნის გამოცემა მისი უეცარი გარდაცვალების გამო ერისთავის მეუღლემ იტვირთა. შეიქმნა სარედაქციო კომისია კ. აბაშიძის, ი. გრიშაშვილის, ი. გედევანიშვილის, გრ. დიასამიძის, გ. ვეზირიშვილის (პოეტის დისწული), გ. ლასხიშვილის, ს. ფირცხალავას შემადგენლობით. მართალია, „მსოფლიო ომმა და საერთო გართულებებმა“ (ს.ფ.) შეაფერხა ნიგნის გამოცემა, მაგრამ 1922 წლისთვის ის შესაძლებელი გახდა.²

1. კრებულში შევიდა პ. ქავთარაძის მიერ თარგმნილი „ოიდიპოს მეფე“, ს. შანშიაშვილის „მეფე-მგოსანი“, გრ. რობაქიძის ესკიზები „შოთა რუსთაველი“, მის წერეთლის გამოკვლევა, ს. ფირცხალავას დრამატული სურათები.

2. გამოცემის რედაქტორი და ხელმძღვანელი – სამსონ ფირცხალავა. ნიგნი მიეძღვნა გამოცემის ინიციატორის, ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის ხსოვნას. სამსონ ფირცხალავა რომ დაუპატიმრებიათ, იოსებ გრიშაშვილს ეტლში მჯდომი პატიმრისთვის ჯერ კიდევ საღებავმუშმრალი ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სასიგნალო ეგზემპლარი მიუწოდებია (იხ. ფირცხალავა 1988: 5).



სამსონ ფირცხალავას უმთავრესი საზრუნავი და საფიქრალი ეროვნული თავისუფლება იყო. ამ საჭირობოტო პრობლემას მიუძღვნა მან წიგნები: „სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი“ (1915), „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“ (1918). იგი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას. პუბლიცისტურ წერილებში აღნიშნავდა, რომ ქართველებმა ეროვნული თავისუფლების სახით უდიდესი განძი მოიპოვეს და მას გაფრთხილება სჭირდებოდა: მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდება იყო, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა („ეხლა ჩვენი მოვალეობაა განვამტკიცოთ მოპოვებული თავისუფლება და დავიცვათ მთელი არსებით“. ფირცხალავა 1918: 64). წერილებში „ბრძოლა სახელმწიფოსათვის“ და „იარალი“ სამსონ ფირცხალავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ხსნა, ჩვენი გამარჯვება ჩვენი ჯარია“ და მთავრობას შეიარაღებისკენ მოუწოდებდა. ამგვარი პუბლიკაციები გახდა მიზეზი 1922 წელს მისი დაპატიმრებისა. სასჯელს იხდიდა სსსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ციხეში. არქივში არ აღმოჩნდა მასალები სამსონ ფირცხალავას იმჟამინდელი დაპატიმრების შესახებ, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ ის მეტეხის ციხეში იჯდა. ქრისტეფორე რაჭველიშვილის დაკითხვის ოქმში (1922 წ.) ნათქვამია, რომ ს. ფირცხალავა გადაასახლეს, თუმცა თავად ფირცხალავა თავის ჩვენებაში აღნიშნავდა: „1922 წლის იანვარში თუ თებერვალში მე დაპატიმრებული ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ, როგორც კონტრრევოლუციური პარტიის, სოციალ-ფედერალისტების ლიდერი და ჩამსვეს მეტეხის ციხეში... 1922 წლის ზაფხულში მე ავად გავხდი და ამიტომ გამათავისუფლეს პატიმრობიდან... 1922 წლის სექტემბერში მე წავედი ემიგრაციაში საზღვარგარეთ...“¹

მართლაც, პატიმრობიდან გათავისუფლებული სამსონ ფირცხალავა 1922 წელს ემიგრაციაში წავიდა – ჯერ გერმანიაში, ბერლინში, ხოლო 1924 წელს – ნოე ჟორდანიას მიწვევით საფრანგეთში. სამშობლოში დაბრუნებამდე იგი პარიზის მახლობლად, სოფ. ლევილში ცხოვრობდა. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების „დამოუკიდებელი საქართველოსა“ და „საერთო საქმის“ რედკოლეგიის წევრი, აქვეყნებდა სტატიებს.²

1. სისხლის სამართლის საქმეთა საარქივო №1398-60; სამეთვალყურეო საქმე 4 ტომად, დაკითხვის ოქმი – 1952 წ., 30.1, გვ. 12.

2. „პრომა და ცოდნა“ („დამოუკიდებელი საქართველო“ №12, 1926), „დიდი და პატარა ერები“ („დამოუკიდებელი საქართველო“, № 14, 1926). ეს და სხვა ემიგრანტული გაზეთები აღმოჩნდა 1928 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დაპატიმრებულ ჭიჭიკო-დავით გოგორიშვილის საქმეში. ფონდი: 6, საარქ. № 27248, ყუთი 42.



ემიგრანტული ორგანიზაცია „საერთო ფრონტი“ წარმოადგენდა სოციალ-ფედერალისტების პარტიას; პარიზში სამსონ ფირცხალავამ შექმნა კიდევ ორი ორგანიზაცია: „კავკასიის კომიტეტი“ და „პრომეთეს მოძრაობა“, რომლებიც გაერთიანდა სრულიად კავკასიურ მოძრაობად; გამოსცა რამდენიმე ბროშურა¹ (с КЛЕВЕТОЙ НА СОВЕТСКУЮ ВЛАСТЬ, – როგორც ჩანერენ შემდეგ ბრალდებაში): „ისტორიული ლანდები“, 1934 წ., „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“, 1947 წ. ფირცხალავა შედიოდა ემიგრანტ მიხეილ კედისა მიერ პარიზში დაარსებულ „საქართველოს ყველა პარტიის ერთიანობის ორგანიზაციაში“. 1940 წლის 29 მაისს, გერმანიის მიერ პარიზის ოკუპაციის შემდეგ, მან მიიღო ოფიციალური ნებართვა, გადასულიყო ბორდოში... ეს და სხვა ბრალდებები გახდა საფუძველი იმისა, რომ 1948 წელს ემიგრაციიდან დაბრუნებული სამსონ ფირცხალავა 1951 წელს დაპატიმრეს.


როგორც სამსონ ფირცხალავას დაკითხვის ოქმიდან ჩანს,² ჟორდანიას, გეგეჭკორს, ქორქიას, კობახიძეს და სხვა ქართველ ემიგრანტებს პარიზში სისტემატურად უკავშირდებოდა ილია თავაძე და მოუწოდებდა მათ სსრკ-ში რეემიგრაციას, ლამაზ ფერებში უხატავდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ქვეყნის წინსვლას და აძლევდა უსაფრთხოების გარანტიას (როგორც ჩანს, დაკითხვის ოქმის შედგენის დროს, 1952 წლის დასაწყისში, ილია თავაძე თავადაც დაპატიმრებული იყო და მასზე კომპრომატები სჭირდებოდათ).³ სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ქართველი ემიგრანტების თამამი გადაწყვეტილება, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რაც მათი დაპატიმრებით დასრულდა.⁴ სამსონ ფირცხალავამ პარიზი ქართველ ემიგრანტთა შორის ყველაზე ბოლომ დატოვა და თბილისში 1948

1. მაგალითად „დიდი ამბების მოლოდინში“ გერმანია-რუსეთს შორის ომის გარდაუვალობის შესახებ.

2. 1952 წ., 3.ილ. გვ. 24.

3. ილია თავაძე – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 30-იან წლებში საქართველოს სკკპ(ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე და მდივანი, 40-იანი წლების დასაწყისში – საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარო-მინისტრი, 1946-48 წლებში საფრანგეთში სსრკ საელჩოს პირველი მდივანი, 1949-50 წ.წ. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის განყოფილების გამგე.

4. № 4369 საქმეში (ცალკე კონვერტში გრიფით „საიდუმლო“) დევს დასაპატიმრებელ პირთა (სულ 56 კაცი) სია. მათ შორის 8 უკვე დაპატიმრებულია. ესენი არიან: მუუნარგია აკაკი ბენიამინის ძე, ციციშვილი სიმონ არჩილის ძე, ციციშვილი ელენე სიმონის ასული, გეგელია გიორგი დიმიტრის ძე, კობახიძე კონსტანტინე, ნიჟარაძე ნიკოლოზ ბარნაბას ძე, ნიჟარაძე აკაკი ნიკოლოზის ძე, თავაძე ილია (დანართი საქმისა № 4369, გვ. 22).



წლის 23 თებერვალს ჩამოვიდა. უბინაობის გამო, ერთხანს აკაკი მეუნარგიასთან ერთად სასტუმრო „თბილისში“ ცხოვრობდა.¹ დაპატიმრების დროისთვის ის უკვე ჯანაშიას ქ. №23-ში იყო გადასული. იმხანად იგი მუშაობდა საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ. 1948 წელს გამოსცა წიგნი „ქართველთა წინაპრები და მონათესავე ტომები წინა აზიაში“ – გაგრძელება 1947 წელს პარიზში გამოცემული ბროშურისა. მომზადებული ჰქონდა გამოსაცემად ქართული ხალხური ზღაპარი „მინა თავისას მოითხოვს“, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო პუბლიკაცია ვერ განხორციელდა. სამსონ ფირცხალავას ხშირად იწვევდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებზე. 1950 წლის 6 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე იგი მოგონებით გამოსულა.

სამსონ ფირცხალავა 1951 წელს დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერობა, ბერლინში და პარიზში ანტისაბჭოთა საქმიანობა, ომის წლებში გერმანელებთან კავშირი. სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ ანტისაბჭოთა საქმიანობის გაგრძელება.² 1951 წლის 31 იანვარს საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა კუციავამ³ საქართველოს უშიშროების სამინისტროსგან სასწრაფოდ გამოითხოვა სამსონ ფირცხალავას მაკომპრომიტირებელი მასალები. მალევე მოსკოვიდან მიიღეს

1. ამავე სასტუმროში გაჩერდა საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებული სიმონ ციციშვილი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად. მისი მეუღლე სასტიკი წინააღმდეგი იყო რემიგრირებისა, ქმარ-შვილსაც არწმუნებდა, დარჩენილიყვნენ პარიზში, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი და სიძე, ისევე როგორც სასტუმრო „თბილისში“ მათი მეზობლები, აკაკი მეუნარგია და სამსონ ფირცხალავა, დააპატიმრეს.

2. 1951 წლის 19 დეკემბერს სამსონ ფირცხალავას დაპატიმრების ბრძანებას ხელს აწერს საქ. სახ. უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ვ. რუხაძე; მის ხელმოწერას ადასტურებს სახ. უშიშროების მინისტრის მოადგილე გ. შარაშენიძე; დაპატიმრების სანქცია გაცემულია უშიშროების სამხედრო პროკურორის, იუსტიციის პოდპოლკოვნიკის დ. ესაკიას მიერ (მუხლი: 581,ა“; 58-10 | ნაწ. და 58-011.), რაც ითვალისწინებდა უმალღეს სასჯელს, 25 წლით თავისუფლების აღკვეთას. ოქმში წერია, რომ 24 დეკემბერს მას აუღეს თითის ანაბეჭდები, მის ბინაში კი ჩაატარეს ჩხრეკა.

3. „1939-1952 წლებში შინსახკომის ციხეში თითქმის ყველას მიმართ იყენებდნენ რეპრესიებს. ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. რეპრესიებს მიმართავდნენ კუციავა, თავდიშვილი, მალილოვი, შავგულიძე, ყრუაშვილი, ბედიგოვი და სხვ. შინსახკომის შინაგანი ციხის სანიტარული ნაწილის 1937-1948 წლების არქივი განადგურებულია“ (1939-1952 წლებში შინსახკომის შინაგანი ციხის უფროსის რაფიელ იაკობის ძე.

ამონაწერი ვახტანგ კოტეტიშვილის დაკითხვის ოქმიდან (იხ. ქვემოთ დაკითხვის ოქმებში).

საინტერესოა 1952 წლის 3 მაისს, მონმის სახით, სამსონ ფირცხალავას ჩვენება, პატიმარ პეტრე შარიას საქმეზე. გამოძიებას აინტერესებდა შარიას პარიზული ვიზიტის დეტალები. დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ, რომ ფირცხალავა პარიზში შეხვედრია პეტრე შარიასა და პროფესორ ამირანაშვილს 1945 წელს, როცა ისინი ქართული სამუზეუმო განძეულობის დაბრუნების საქმეს აგვარებდნენ... ამასთან, სამსონ ფირცხალავა ამბობს, რომ მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პეტრე შარიას სთხოვა სამსახურში მონყოლა და მისი დახმარებით დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ. ასევე, პეტრე შარიას დახმარებით დაიბეჭდა მისი ბროშურა (ზემოთ ხსენებული, ზ.ც.) „ქართველების წინაპრები და მათი მონათესავე ტომები შუა აზიაში“. ნაშრომი შარიას აკადემიკოს ბერძენიშვილისათვის გადაუცია და მისი ხელახალი გამოცემა გადაუწყვეტიათ. „გამოცემისათვის, როგორც ფირცხალავა ამბობს, 8 ათასი მანეთიც მიუღია“ (ფონდი №6, საარქივო №51295, ტ. 9).

1952 წლის 5 ივლისს სამხედრო ტრიბუნალმა სამსონ ფირცხალავას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იმავე წლის 25 ივლისს მან ციხის საავადმყოფოს მიმართა თხოვნით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სტაციონარში გადაეყვანათ, არადა მის საქმეში დევს ექიმის დასკვნა, რომლის თანახმადაც, პატიმარი ფირცხალავა 15 ივლისიდან ვითომ უკვე იყო ჰოსპიტალიზირებული...

სამსონ ფირცხალავა გარდაიცვალა 26 ივლისს. მორიგე ექიმის, ვინმე დონანაშვილის დასკვნის თანახმად, „...დიზენტერიით „по поводу старческой дряхлости“. ბოლო დრომდე ყველა წყარო ირწმუნებოდა, რომ იგი გარდაიცვალა გზაში, გადასახლების ადგილზე გადაყვანისას. სინამდვილეში ის გარდაცვლილია ციხეში, საფიქრებელია, გულის უკმარისობით. ოფიციალურად სამსონ ფირცხალავა დღემდე არ არის რეაბილიტირებული, რომელიც დაგვიდასტურა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ: „რეაბილიტაციის მასალები სამსონ გიორგის ძე ფირცხალავას მიმართ არ არსებობს“, 20.05.2016, № თ-162.

ასე დასრულდა ცხოვრება იმ დიდი მამულიშვილისა, რომელმაც, მიუხედავად საბჭოთა ქვეყნის არასანდო პოლიტიკური ვითარებისა, მაინც გარისკა დაბრუნება იმ იმედით, რომ მშობლიურ მიწას მიებარებოდა... მიებარა, მაგრამ სად, რომელ ქვა-ლორღს, სამუდამოდ უცნობია.



კვერენჩილაძე 2011: კვერენჩილაძე რ. საბუთები დაღადებენ. - თბ., „უნივერსალ“, 2011.

ფირცხალავა 1918: ფირცხალავა, ს. ეროვნება და ეროვნული თავისუფლება. ტფილისი: მთავრობის სტამბა, 1918.

ფირცხალავა 1920: ფირცხალავა, ს. „ჩემი სტუდენტობის დროიდან“. გაზ. „ქართველი სტუდენტი“, № 1, 1920.

ფირცხალავა 1988: ფირცხალავა, ს. მოგონებათა ფურცლები. - თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988.

შარაძე 1990: შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე – 1837-1907. ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება. წიგნი მეორე. - თბ., „ხელოვნება“, 1990.

ცხადაია 2019: ცხადაია ზ. „გიგლა ბერბიჭაშვილის საქმე. წიგნში: ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წ.წ). - თბ., „მნიგნობარი“, 2019, გვ. 272-273.

ნაწვეთები სამსონ ფირცხალავას

დაკითხვის ოქმებიდან:

დაკითხვის ოქმი: 1952 წ., 2.ი. გვ. 16.

კითხვა: მოუყევით გამოძიებას ყველაფერი, რაც თქვენთვის ცნობილია აკაკი მეუნარგიაზე.

პასუხი: „...მეუნარგია გავიცანი 1922 წელს ციხეში, როცა მე დაპატიმრებული ვიყავი... სექტემბერში მე წავედი ემიგრაციაში და მეუნარგიას არ შევხვედრივარ. როდის და რა მდგომარეობის გამო წავიდა ის ემიგრაციაში, არ ვიცი. 1930 წლამდე იყო სოც, ფედერალისტთა პარტიაში. შემდეგ კი გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“, რომლის რედკოლეგიაში შევდიოდი მე, გამოაქვეყნა განცხადება სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან გასვლის შესახებ... იმის გამო, რომ მე ვცხოვრობდი სოფ. ლევილში, მეუნარგია კი პარიზში, იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და მისი პარიზში მოღვაწეობის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი... იმ დღიდან, რაც მეუნარგია სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან გავიდა, მე მას არ შევხვედრივარ რეემიგრაციის მოსამზადებელ სამუშაომდე და მისი საქმიანობის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ მუშაობდა რომელიღაც ქარხანაში მუშად.

1946 წლიდან, როცა საფრანგეთში დაიწყო ქართველ ემიგრანტთა რეემიგრაციისათვის მოსამზადებელი სამუშაო, მე მას ხშირად ვხვდებოდი იმასთან დაკავშირებით, რომ ისიც იყო რეემიგრაციის



მომხრე... 1946 წელს მეუნარგიამ და მისმა ბიძაშვილმა ემიგრანტი კონსტანტინე კობახიძემ დაიწყეს გაზეთ „ქართული საქმის“ გამოცემა, რომელშიც მოათავსეს სტატიები, რითაც აგიტაციას უწევდნენ სსრკ-ში დაბრუნებას. მე სულით და გულით მინდოდა რეემიგრაცია. თავადის (ილია – ზ.ც.) დავალებით ვანყობდი ქართველთა თავშეყრას და გამოვთქვამდით აზრს სამშობლოში დაბრუნებაზე. ამ შეკრებებს ხშირად ესწრებოდა მეუნარგია, რომელმაც მყარად გადაწყვიტა რეემიგრაცია სსრკ-ში. ამ მდგომარეობამ დამაკავშირა და უფრო ახლოს გამაცნო იგი მე.

კითხვა: რა იცით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეუნარგიას მტრული საქმიანობის შესახებ, რეემიგრაციამდე და შემდეგ?

პასუხი: გარდა იმისა, რომ მეუნარგია 1930 წლამდე ირიცხებოდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრად, სხვა მე მის მტრულ საქმიანობაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არაფერი ვიცი როგორც რეემიგრაციამდე, ასევე შემდგომ... ჩემთვის აბსოლუტურად უცნობია ყველაფერი...

დაკითხვის ოქმი: 1952 წ., 2.ი. გვ. 16.

„თავაძემ ამიხსნა, რომ საქართველო ძალიან სწრაფად იზრდებოდა, ვითარდებოდა მრენველობა და მოსახლეობის კეთილდღეობა ყოველწლიურად იზრდებოდა. თავაძე მარწმუნებდა, რომ დავბრუნებულიყავი სსრკ-ში, მაგრამ მე იქ არ შემიძლო ამის გადაწყვეტა და ვუპასუხე, რომ ამაზე დავფიქრდებოდი... თავაძემ მე მითხრა, რომ სხვებისთვისაც გამენია აგიტაცია... ყველა შეხვედრაზე ჩვენი საუბრის თემა იყო რეემიგრაცია... „...კრებაზე ყველა გამომსვლელი გამოთქვამდა აზრს საბჭოთა მთავრობასთან შერიგებისა და რეემიგრაციის მიზანშეწონილობაზე. ემიგრაციის წინააღმდეგ გამოვიდა კონსტანტინე გვარჯილაძე და თქვა, რომ ემიგრანტებს საქართველოში არ მისცემენ სამუშაოს, თავისუფლებას და რომ საბჭოთა საქართველოში მიღწევები მეცნიერების, კულტურის, მრენველობის და სხვ. სფეროში კომუნისტების მიერაა დახატული გადაჭარბებული“.

* * *

1951 წლის 31 იანვარს საგამოძიებლო განყოფილების უფროსი კუციავა საქართველოს უშიშროების სამინისტროსგან სასწრაფოდ ითხოვს მაკომპრომეტირებელ მასალებს ფირცხალავაზე. ამისათვის მოსკოვიდან გამოითხოვენ ამონაწერს ვახტანგ კოტეტიშვილის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც გადმოეგზავნა გამოძიებას.

ბრალდებულ ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილის
დაკითხვის ოქმიდან; 1-2 დეკემბერი, 1937 წ.

კითხვა: გვიამბეთ, რა ხასიათისა იყო თქვენი კავშირები საზღვარგარეთთან, როგორ ახერხებდით და კონკრეტულად ვისთან გქონდათ კავშირი.

პასუხი: კავშირი გვექონდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენლებთან საზღვარგარეთ – სიმონ მდივანთან და სამსონ ფირცხალავასთან. პირველ ხანებში ამ კავშირებს ვახერხებდით საზღვარგარეთ მიმავალ სოციალ-ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრების მეშვეობით, რომლებსაც ჩამოჰქონდათ ინფორმაციები ს. მდივანისა და ს. ფირცხალავას შესახებ. საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციები ეხებოდა საბჭოთა კავშირთან ცალკეული სახელმწიფოების დამოკიდებულების გამწვავებას, განსაკუთრებით ფაშისტურ გერმანიასთან. ამ გამწვავებებზე კონტრრევოლუციური კომიტეტი თავის ანგარიშებს აგებდა. საზღვარგარეთელი სოციალ-ფედერალისტები ს. მდივანი და ს. ფირცხალავა გვარწმუნებდნენ იმაში, რომ საქართველო მალე გათავისუფლდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან, გარდაუვალი ომის შედეგად, რომელსაც გამოუცხადებდნენ უცხოეთის სახელმწიფოები.

წავიკითხე პირადად. ჩანერილია ჩემი სიტყვებით. სწორია – კოტეტიშვილი (გვარი ნაბეჭდია – ზ.ც.).

დაკითხა – მილიციის უფრ. ლეიტენანტმა გოცირიძემ.

მე-4 განყოფილების ოპერწმუნებულმა, სერჟანტმა მოვსესიანმა.

ამონაწერის სისწორეს ადასტურებს: ხაშურის რაიონული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მაიორი ლაბაძე.



ხათუნა კალანდარიშვილი

ილია ჭავჭავაძის მხატვრული მეთოდი მოთხრობაში „სარჩობელაზედ“

ილია ჭავჭავაძემ თავისი პატარა მოთხრობით „სარჩობელაზედ“ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეში უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ღირებულების მქონე საკითხები შემოიტანა. როგორც მიუთითებენ, ამ მოთხრობაში „ილიამ საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის ურთიერთობის, დანაშაულისა და სასჯელის მარადმტკივნეული საკითხები განიხილა და ... გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“ (ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1995, გვ. 390). ამ ზოგადადამიანურ თემებს სიმძაფრეს ისიც მატებს, რომ ისინი ქართულ რეალობაში არსებულ პრობლემებს გამოხატავენ და ეროვნული თვალთახედვითაც აქტუალურნი არიან.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით მუშაობას მკითხველამდე იდეალების ნათლად და დაუბრკოლებლად მიტანის სურვილი წარმართავს. ეს არის გზა „იდეისაკენ პირდაპირი სვლისა“ (ლ. მინაშვილი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია, შრომები, X, 2020, გვ. 125); როდესაც ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრი მხატვრულ მასალას იქვემდებარებს, როდესაც მასალა იმ ნიშნითაა შერჩეული, რომ სათქმელი მაქსიმალური სიზუსტით, თუმცა, ამავე დროს, ზემოქმედების დიდი ძალით გამოიხატოს. ამ მეთოდით არის შესრულებული ილიას შესანიშნავი პროზაული ნაწარმოებების უმრავლესობა. მხატვრული მასალისადმი ილია ჭავჭავაძის ამგვარი მიდგომის განმარტება იმაში მდგომარეობს, რომ „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი ლიტერატურა წმინდა ესთეტიკურ ღირებულებებთან ერთად ხალხის დამრავლავის, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო მიზნებსაც ისახავდა. მწერლობა ენეოდა გარკვეული იდეების



პოპულარიზაციას, რაც, ბუნებრივია, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამდენად, გარკვეული იდეების გამოხატვისას კენ მისწრაფება ჩვენი დიდი მწერლობის დამახასიათებელი ნიშანი იყო“ (იქვე, გვ. 126).

ეს მეთოდი გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ პატარა მოთხრობა „სარჩობელაზედ“ შექმნის დროსაც. ამ ნაწარმოების კომპოზიციურ ღერძს მოხუცი პეტრეს პერსონაჟი წარმოადგენს. თხზულების მთავარი მიზანდასახულობა ამ პერსონაჟთან მიმართებით ვლინდება. მასთან დაკავშირებითაა გამოკვეთილი ყველა მნიშვნელოვანი აზრობრივი და იდეური მომენტი.

მოხუცი პეტრეს ტიპი ილია ჭავჭავაძემ წარმოადგინა, როგორც ადამიანობის გარკვეული ეტალონი – ხალხის წიაღიდან გამოსული, ხალხის წიაღში აღზრდილი კაცი, რომლის ბუნება, მენტალიტეტი, გარესამყაროსადმი დამოკიდებულება ხალხის მსოფლმხედველობის გამოხატველია. მის ადამიანობას, ზნეობას, კაცთმოყვარეობას ის გარემო კვებავს, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. იგი თავისი მომხიბვლელი, ერთგვარად ბავშვური სიმარტივით, გულუბრყვილობით, შინაგანი სისუფთავითა და სინრფელით უახლოვდება ადამიანის პირველსახეს. როგორც მისი საქციელი და საუბარი გვარწმუნებს, ეს არის ერთ-ერთი კაცთაგანი, რომლის ბუნებაშიც ყველაზე ნაკლებადაა ფესვგადგმული ადამიანური მანკიერებანი. მისი მთავარი თვისება სხვა ადამიანების სიყვარულია და ეს განსაზღვრავს უანგარო სიკეთეს, გულმხურვალეობას, შენდობის უნარს. პეტრეს ხასიათში გამოკვეთილი ეს ნიშნები, გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობასა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობასთან ერთად, ამ პერსონაჟს ძალიან ამსგავსებს ბავშვს, რომლის შესახებ სახარებაში ნათქვამია: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ევე ვითარცა არს სასუფეველი ღმრთისა. ამინ გეტყვი თქვენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა ყრმაი, ვერ შევიდეს მას შინა“ (ლუკა, 18.16,17. გვ. 150). პეტრე თავისი უბრალოებით, არაპრეტენზიულობით, ამავე დროს, მაღალი მორალური შეგნებით მიმთითებლად გვევლინება იმ მდგომარეობაზე, რომლის მიღწევაც დაუსახა მიზნად კაცობრიობას ქრისტიანულმა მოძღვრებამ. სწორედ ამ პერსონაჟს მოაქვს მკითხველამდე მწერლის უმთავრესი იდეური ჩანაფიქრი. იგი გამოვლენილია პეტრეს საქციელში, გარემოსადმი დამოკიდებულებაში, მის ფიქრებსა და დასკვნებში.

საზოგადოების დეგრადაციას, გულცივობას, სისასტიკემდე მისულ უპასუხისმგებლობას ილია ასე გვიჩვენებს: „მახათაზედ



ბუზსავით ხალხი ირეოდა. იქ, თავში, ერთს განაპირებულს ადგილს, სარჩობელა გაემართათ და გარშემო ჯარი იდგა... პეტრემ მიიხედ-მოიხედა, ჰინახა ამოდენა ხალხი, კაცი თუ დედაკაცი, და გაუკვირდა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტომი II, 1988, გვ. 229). როცა გადანყვიტა, რომ მთაზე აღმართულ სახრჩობელასთან თვალთმაქცური სანახაობა უნდა გამართულიყო, პეტრემ გულში გაიფიქრა: „ეგ უფრო კარგიც იქნება, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავია? კატა ხომ არ არის, აილო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული, ადამიანია...“ (იქვე, გვ. 229). როცა თავისმა ვაჟმა წერილის პირველი სიტყვები წაუკითხა, „რაო? – გაანყვიტინა კითხვა ზარდაცემულმა პეტრემ და ელდისაგან გაფითრდა, – ჩამოარჩესო! მაშ, მართალი იყო ის ამბავი! მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდა მერე! ... ნეტა არ მენახა“ (იქვე, გვ. 236).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოთხრობა „სარჩობელაზედ“ წარმოადგენს მხატვრული სიტყვის სფეროში გალაშქრებას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამის მიღწევის ერთ გზად ილია ჭავჭავაძეს ამოურჩევია ჩამოხრჩობის ეპიზოდის დეტალური აღწერა: „ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი, მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუნყდა, თითქო სული შეეხუთათ, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგაო. ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქმინა, ისე, როგორც ამოიქმინს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ-გადასხმული. უბედური სარჩობელაზე ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფორთხალი. დიდხანს იქნია სანყალმა ფეხები“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტომი II, 1988, გვ. 232). ასეთი დეტალების მოწოდება თვალსაჩინოდ გამოკვეთს სიტუაციის ამაზრზენობას და მკითხველზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ეს პროტესტს აღვივებს მკითხველის გულში; მაგრამ დიდმა მწერალმა ამ საკითხისადმი თავისი პოზიცია ყველაზე ნათლად ბებერი პეტრეს პერსონაჟის საშუალებით გამოხატა – საგანგებოდ გააკეთა აქცენტი იმაზე, რომ პეტრეს არაფრით არ შეუძლია დაიჯეროს, რომ მახათას მთაზე გამართული ხალხმრავალი სანახაობა მართლაც ადამიანის სიკვდილით დასჯაა: „კატა ხომ არ არის, აილო და ჩამოჰკიდო, რაც უნდა იყოს, ღვთის სული, ადამიანია“ (იქვე, გვ. 229), – ფიქრობს ის თავისთვის და თავისებურად ცდილობს ამ აზრის დასაბუთებას: აქ რომ ნამდვილად ცოცხალი

ადამიანის ჩამოხრჩობა მზადდებოდა, როგორ შეიძლება, ამდენი ქალი იყოს თავმოყრილი, ან ასე მხიარულობდეს ხალხი და ა.შ. პეტრეს ყოველი მხრიდან ესმის ადამიანების საუბარი, რაც ადასტურებს, რომ სიკვდილით დასჯა რეალური ფაქტია; თავისი თვალთ ხედავს სახრჩობელას მცველ ჯარისკაცებს, მღვდელს, მთავრობის მოხელეს, ჯალათს. თავისივე თვალთ დაინახავს, რომ ცოცხალ ადამიანს, რომელიც სიკვდილით დასჯის ადგილამდე საკუთარი ფეხით მივიდა, კისერზე ყულფს გადააცვამენ და ფეხქვეშ საყრდენს გამოაცლიან, მაგრამ მაინც არ შეუძლია დაიჯეროს. მისი გაურყენელი ბუნებისთვის წარმოუდგენელია, რომ ღვთის შექმნილი ადამიანი „კატასავით“ ჩამოჰკიდონ და ჩამოახრჩონ. ამ აზრის მიღება მის გონებას არ შეუძლია, მისი გაუბზარავი შინაგანი სამყარო ვერ ითავისებს ადამიანის სიკვდილით დასჯის ფაქტს და ამიტომაც ებლაუჭება მოხუცი პეტრე იმ იმედს, რომ ეს ყველაფერი თვალთმაქცობა იყო და ამდენი ხალხი, ლამის მთელი ქალაქი, მისი, სოფლელი გამოუსვლელი კაცის გასამასხარებლად შეიკრიბა. ეს უფრო დასაშვებად მიაჩნია მის გონებას, მის წრფელ ბუნებას, ვიდრე სიკვდილით დასჯის რეალურობის აღიარება.

ილია ჭავჭავაძემ შემთხვევით არ დაუთმო ასეთი დიდი ადგილი პეტრეს შინაგანი განწყობილების ჩვენებას, მისი ფიქრისა და მსჯელობის გადმოცემას სიკვდილით დასჯის აღსრულების დროს. ამით მან მკითხველს დაანახვა, რომ ადამიანის მოკვლა არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც სასჯელის ჩვეულებრივი, რიგითი ფორმა. ის ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანობის არსს. ეს არაჰუმანური აქტი მიუღებელია საზოგადოდ, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი დამნაშავეც არ უნდა იყოს მისი ობიექტი. ამ აზრის დასაბუთება უნდა დავინახოთ იმაშიც, რომ საკუთრივ სიკვდილით დასჯის პროცესის გადმოცემისას ნაწარმოებში სრულიად არ არსებობს მინიშნება იმაზე, თუ რა დააშავა ყმანვილმა, რომელმაც ასეთი მძიმე სასჯელი დაიმსახურა. სანახაობისათვის მოსული დედაკაცების საუბარშიც კი სიკვდილით დასჯის ქვეცნობიერი მიუღებლობა იგრძნობა და არა დანაშაულით დაინტერესება: „— რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი! — სთქვა ერთმა დედაკაცმა, — ჯერ დღე სწორედაც არ გასთენებია და ეგრე ადრე და მალე კი უნდა მზე დაუბნელდეს. — რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული, ღმერთო, მაგისტანა დღეს ნუ შემასწრობ! — დაუმატა მეორემ და ჩაიკრა გულში ხელი“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტომი II, 1988, გვ. 231). ეს განამტკიცებს და ზოგად მნიშვნელობას სძენს იმ განწყობილებას, რომელიც პეტრეს ფიქრების გადმოცემით შექმნა ავტორმა.

ამ მოთხრობაში დანაშაულისა და მისი შესაბამისი სასჯელის პრობლემაცაა განხილული. ეს თემა ილია ჭავჭავაძეს პეტრესადმი ბეჟანის ძმის მიწერილ წერილში შემოაქვს. მასში ნათქვამია, რომ მოხუცი პეტრეს სიკეთემ „მაღლის შუქი ჩაანვდინა“ გულამდე ობლებს. მართალია, ერთი ადამიანის სათნოება საკმარისი არ აღმოჩნდა მათი ცხოვრების გზის გასამართად, მაგრამ ჩამოხრჩობილი ყმაწვილის ძმა კი გულახდილობისთვის განაწყო. სწორედ ეს გულახდილობაა უმნიშვნელოვანესი ხსენებული პრობლემის განსახილავად, რადგან მისი საშუალებით აღწევს ილია მკითხველის მოქცევას იმ ერთადერთ სწორ პოზიციაში, რომლიდანაც შესაძლებელია ობიექტური მსჯავრი. წერილში განმარტებულია ძმების მდგომარეობა – ნაჩვენებია ცხოვრების როგორი გზა გაიარეს, სანამ დამნაშავეები გახდებოდნენ, აღწერილია, თუ რამ მიიყვანა ისინი დანაშაულამდე. ყოველივე ეს გადმოცემულია ისეთი ადამიანის პირით, რომელმაც საკუთარ თავზე გამოცადა მთელი სიმძიმე და ის უნუგეშო მდგომარეობა, როდესაც კაცს ცხოვრება არჩევანის საშუალებას ართმევს და დანაშაულისკენ უბიძგებს. პირად წერილში დაუფარავადაა გადმოცემული გაბოროტებული, სასონარკვეთილი ადამიანის სულისკვეთება, მისი მძიმე ემოციური მდგომარეობა, რაც ლოგიკურ შედეგად მოჩანს იმ გზისა, ამ წერილის დაწერამდე რომ გაიარა მისმა ავტორმა. ეს მკითხველს საშუალებას აძლევს, მხოლოდ მსაჯულისა თუ შემფასებლის პოზიციიდან კი არ უყუროს ძმების საქციელს, არამედ ღრმად ჩაიხედოს მათი ცხოვრების პერიპეტივებში, მათი თვალითაც დაინახოს მოვლენები და ამ გადასახედიდან გაიაზროს მათი სულიერი მდგომარეობა. ეს უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ მკითხველი დანაშაულის მხოლოდ რაციონალურ, ცივ შემფასებლად კი არ დარჩეს, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ობიექტურ რეალობაშიც, არამედ უფრო ფართოდ შეხედოს მოვლენებს და რაციონალური შეფასება მორალურ საფუძველზე აღმოცენებული ადამიანური პოზიციით დააბალანსოს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შემფასებელი შეეცდება საკუთარი თავის წარმოდგენას დამნაშავის პოზიციაში და გაითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის პირობებსა და მიზეზს. „გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ – სახარების ეს სახელმძღვანელო სიტყვები არც ამ შემთხვევაში კარგავს თავის ყოვლისმომცველ აზრსა და მნიშვნელობას. ეს არის ერთადერთი ჰუმანური პოზიცია, რომელიც სამართლიან შეფასებას განსაზღვრავს, და უმთავრესი საფუძველიც იმისთვის, რომ საზოგადოება ჩამოყალიბდეს, ისწავლოს ცალკეული წევრების ბედით დაინტერესება და, საბოლოო ჯამში,

საკუთარი მოვალეობის შესრულება შეძლოს. სიყვარული უნდა იყოს ადამიანური ურთიერთობების საფუძველი მაშინაც კი, როცა საქმე გვაქვს დანაშაულთან. რადგან დიდი საშიშროება არსებობს, რომ სიყვარულის გარეშე გამოტანილი მსჯავრი შურისძიებას დაემსგავსება. სწორედ ამას გულისხმობს დიდი მწერალი, როცა ბეჟანის ძმას ათქმევინებს: „მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტყეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით – მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტომი II, 1988, გვ. 239). სწორედ ამიტომაც, რომ „იქ სამართალი არ გაბრუნდებდა“ (იქვე, გვ. 237). ამ სიტყვების წაკითხვისა და გააზრების შემდეგ მკითხველის პოზიცია, როგორც არ უნდა ყოფილიყო მანამდე ის, უახლოვდება პეტრესეულ გაგებას, რომ „ადამიანი კატა ხომ არ არის...“

მაშასადამე, დიდი მწერლის შეხედულებით, სწორედ ის ე.წ. „გულში ჩახედვა“ უმნიშვნელოვანესი რამ, რაც ადამიანურ სამართალს აკლია. რამ მიიყვანა ადამიანი დანაშაულამდე, შესაძლებელია თუ არა მისი სწორ გზაზე დაყენება – მხოლოდ ამით დაინტერესება შექმნის საფუძველს იმისთვის, რომ სასჯელი იქცეს ადამიანის გამოსწორების საშუალებად და არა სამაგიეროს გადახდის ფორმად. ამ საკითხთან მიმართებით ინტერესმოკლებული არ არის 1895 წელს დაწერილი ილიას ერთი წერილის გათვალისწინება, რომლის სახელწოდებაც „ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს“. მასში უკვე პუბლიცისტური პათოსით არის გადმოცემული ავტორის პოზიცია დანაშაულისა და სასჯელის პრობლემასთან დაკავშირებით. როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, დანაშაულის ჩადენის ფაქტი ჯერ კიდევ არ მონმობს იმას, რომ დამნაშავე ზნეობრივად წამხდარი და გადაგვარებულია. შეიძლება ბევრი აღმოჩნდეს ისეთი კაცი, „რომელსაც დანაშაულობა შეემთხვა არა გულის სიბოროტითა და არა იმით, რომ იგი ხელობით ავაზაკი იყოს, ან ავსაქმის მოურიდებელი“. შეიძლება „არასრულწლოვანი, ან ჯერ გულით და გონებით არდამჯდარი, უვიცი ვინმე“ იყოს და ამიტომაც „ბოროტის მაცდურობას ვერ გაუმაგრდეს“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტომი XIII, 2007, გვ. 135-137). ასეთ ვითარებაში ილიას გამართლებულად მიაჩნია ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ახლებური მიდგომა, რომელიც შედარებით მცირე დანაშაულის შემთხვევაში ითვალისწინებს სასჯელის აღსრულების დაყოვნებას და დამნაშავეზე დაკვირვებას, რათა ციხეში გაგზავნამ „გარყვნილობისა და ავზ-



ნეობის“ უეჭველი საფრთხის ქვეშ არ მოაქციოს „ხშირად გულბრუნავი ჯერ არნამხდარი“ ადამიანი. მხოლოდ ასეთ ჰუმანურ მიდგომას მოჰყვება სასურველი შედეგი როგორც თითოეული ადამიანის, ისე მთელი საზოგადოებისთვის. ილიას ფიქრით, ასეთი დამოკიდებულება პროგრესის მანიშნებელია და „ამ გზაზე კაცობრიობა რაც უფრო მეტ მანძილს გაივლის, მით უფრო სანატრელია, რადგანაც ბევრს სულს, ჯერ კიდევ გამოსაკეთებლად საიმედოს, დაიხსნის სამუდამოდ ნახდენისაგან“ (იქვე, გვ. 137). ეს კი, როგორც განსახილველი ნაწარმოების მთავარი სათქმელიდანაც გამომდინარეობს, საზოგადოების არსებობის უმნიშვნელოვანესი ნიშანი და პირობაა. სასჯელის ამა თუ იმ ფორმის დაკისრება ადამიანისთვის დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს საზოგადოებას. ამ საკითხისადმი ზერელე მიდგომის შემთხვევაში სასჯელი უბრალო შურისძიებად გადაიქცევა და მაშინ აღარ იარსებებს ზნეობრივი საფუძველი, რომელიც მსჯავრმდებელს დამნაშავისაგან განასხვავებს. მოთხრობაში აღწერილი საზოგადოება, რომელიც იციანის და ლაზლანდარობს, ერთობა ადამიანის სიკვდილით დასჯის ყურებით და კმაყოფილია ამით, განა მკვლევლობის თანამონაწილედ არ უნდა ჩაითვალოს? დიდი ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ესლა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავეურთოთ ზედ, დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმანეთი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალალეული მტერი? ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი... ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?“ („ვერ მოჰკლეს!“, ვაჟა-ფშაველა, თხზ. ხუთ ტომად, ტომი V, 1961, გვ. 230).

როგორც მოთხრობაშია ნაჩვენები, პეტრეს მოქალაქეობრივი ცნობიერება ჯერ იმდენად არ განვითარებულა, რომ თავი საზოგადოების წევრად ჩათვალოს, თავისი, როგორც საზოგადოების წარმომადგენლის, ფუნქციაზე დაფიქრდეს და ამ სიბრტყეზე გაიაზროს წერილში ნამოყენებული ბრალდება. იგი მუდამ იქცევა ისე, როგორც თავისი გაურყვნელი, გაუზარავი ბუნება და ხალხის წიაღში ჩამოყალიბებული მორალურ-ზნეობრივი კოდექსი კარნახობს. ილია სწორედ იმას მიგვანიშნებს, რომ ეს არის საზოგადოების ფორმირების საფუძველი. პეტრემ ჯერ კიდევ არ იცის, რომ სინამდვილეში იგი საზოგადოების საუკეთესო, სანიმუშო წევრია, „მარილი სოფლისა“, რომლის მსგავსთა შესახებ წმინდა წერილში ნათქვამია: „კეთილ-არს მარილი... გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშვიდობით იყუენით ურთიერთარს“ (მარკოზი 9.50, გვ. 84). აქედან უნდა დაიწყოს დეგრადირებული საზოგადოების გაჯანსა-



ლება. ამიტომაც ამთავრებს დიდი მწერალი ნაწარმოებს სიტყვებით: მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს..." (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტომი II, 1988, გვ. 239).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, - თბ., 1961;
2. მინაშვილი ლადო, ილია ჭავჭავაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, - თბ., 1995;
3. მინაშვილი ლადო, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია, შრომები, X, გამომცემლობა „მერიდიანი“, - თბ., 2020;
4. უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმიდა სახარება, მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი, ტფილისი;
5. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II, „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, - თბ., 1988;
6. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIII, „ილიას ფონდი“, - თბ., 2007.



წინმო სპეციალიკა

პეტერ შეფერი და მისი გამოცემები

პეტერ შეფერის (1425/30-1503) სახელი ისტორიას შემორჩა, როგორც უნიჭიერესი პირველმბეჭდავი და მეთხუთმეტე საუკუნის ერთ-ერთი უმსხვილესი გამომცემელი. ის დაიბადა გესხეიმში, საბაზისო განათლება მიიღო საშინაო სკოლაში, რის შემდეგაც სწავლა ერფურტისა და პარიზის უნივერსიტეტებში გააგრძელა. ერფურტის უნივერსიტეტის საარქივო დოკუმენტების მიხედვით, შეფერი იქ 1444-1448 წლებში სწავლობდა. მომავალმა გამომცემელმა განათლების სრულყოფა სორბონის უნივერსიტეტში გადაწყვიტა. იგი თავდაპირველად იურისპრუდენციით იყო გატაცებული, თუმცა დაეუფლა გადამწერის პროფესიასაც და ითვლებოდა სათავო ასოების ერთ-ერთ საუკეთესო მომხატველად. შემორჩენილია შეფერის მიერ, პარიზში 1449 წელს, არაჩვეულებრივი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერის ფაქსიმილე. ეს იყო ძველი ბერძენი მოაზროვნის, არისტოტელეს ნაშრომების კრებული. სამწუხაროდ, იგი ფრანკო-პრუსიის ომის დროს განადგურდა, თუმცა არსებობს ფაქსიმილეს კოლოფონი, რომელიც გადამწერის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.¹

ევროპაში XV საუკუნის დასაწყისში არსებული ხელნაწერი და ქსილოგრაფიული წიგნების რაოდენობა ვეღარ აკმაყოფილებდა კითხვის მსურველთა მოთხოვნებს. მრავალი ადამიანი ცდილობდა ეპოვა მარტივი და იაფი მეთოდი წიგნის ასლების დიდი რაოდენობით შესაქმნელად. ეს მოახერხა გერმანელმა მესტამბე-გამომცემელმა იოჰან გუტენბერგმა (1400-1468). ამ მიგნების წყალობით

1. Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. — Ч. 1. — М.: 1990. — 4 Ст.


კაცობრიობას ფართოდ გაეხსნა გზა ინტელექტუალური და მეცნიერული განვითარებისაკენ. გუტენბერგის გენიალური აღმოჩენა — მოძრავი ლიტერების საშუალებით ნიგნის ბეჭდვის მეთოდი უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა, მისი ავტორი — მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გამომგონებლად, ქალაქი მაინცი კი პოლიგრაფიის აკვნად აღიარეს.

ნიგნის ბეჭდვით დაინტერესებული პეტერ შეფერი პარიზიდან მაინცში ჩავიდა და 1452 წლიდან გუტენბერგის სახე-



პეტერ შეფერი

ლოსნოში შევირდად დაიწყო მუშაობა. მისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა დიდ გამომგონებელს. ნიჭიერმა ახალგაზრდამ სწრაფად აულო აღლო პოლიგრაფისტის პროფესიას. გუტენბერგის გენიალური მიგნების არსი სწორედ მეტალის შრიფტჩამოსახმელ ფორმასა და შრიფტის ჩამოსხმის ტექნოლოგიაში მდგომარეობდა. ასეთი ფორმა წარმოადგენდა მეტალის სწორკუთხოვანი შრიფტის ჩამოსახმელ მონყობილობას. შტამპს მაგარი მეტალი-საგან ამზადებენ, რომელსაც პუანსონს უწოდებენ. მასზე სარკისებურად იყო გამოსახული რელიეფური ასო. შემდეგ პუანსონის რბილი მეტალის ფირფიტაზე დაწნეხით მიიღებოდა ასოს ჩაღრმავებული და პირდაპირი გამოსახულება — მატრიცა. იგი იდგმებოდა შრიფტის ფორმაში, რომელსაც ზემოდან ასხამდნენ გამდნარ მეტალს. მიიღებოდა ასონიშნის რელიეფური და სარკისებური გამოსახულება, რომლითაც შესაძლებელი იყო ბეჭდვა. ერთი მატრიცისაგან ნებისმიერი რაოდენობის ლიტერს ამზადებდნენ. ტექნიკური პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ანბანის ასოები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა სივანით, შრიფტჩამოსხმის



ჰერბარიუმი და საგამომცემლო ნიშანი


ფორმა კი ყველა ასონიშნისათვის მისადაგებული უნდა ყოფილიყო. ამისათვის იყენებდნენ ორი ნაწილისაგან შედგენილ ფორმას. ერთი მათგანის განევით შესაძლებელი იყო მისი სიგანის შეცვლა. იმის გამო, რომ პუანსონის საშუალებით ხდებოდა ნაჭდვის გაკეთება მატრიცაში, მას ასხამდნენ მყარი, მატრიცას კი – პირიქით, რბილი ლითონისაგან. ასონიშნების ჩამოსასხმელად საჭირო იყო გამოყენებინათ ლითონი, რომელსაც უნდა ჰქონოდა დაბალი დნობის ტემპერატურა, რათა სწრაფად გამლღვალიყო და მყისიერად გამაგრებულიყო. ხანგრძლივი ცდების შედეგად გუტენბერგმა შექმნა შენადნობი, რომელიც შედგებოდა 70 წილი ტყვიის, 25 წილი კალისა და 5 – სტიბიუმისაგან.¹

ქალაქდზე ლითონის ასონიშნების მკვეთრი კვალი რომ დარჩენილიყო, მათ გასაპოხად საკმარისი არ იყო ჩვეულებრივი მელნის გამოყენება, რომელსაც ქსილოგრაფიული ბეჭდვისას იყენებდნენ. გუტენბერგმა ნახშირისა და სელის ზეთისაგან დაამზადა სასტამ-


1. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М.; Л., 1926.

Tractatus


Belberbis



ნოვანი...
Eperonice.
Belberbis...
Eperonice...



Operacione.
Belberbis...
Operacione...



Ca. cecryl.
Belberbis...
Ca. cecryl...

Ca. cecryl.
Operacione.
Belberbis...

Ca. cecryl.
Belberbis...
Ca. cecryl...

ჯანმრთელობის ბაღი, 1485 წ.

ბო საღებავი. რაც შეეხება ქალაქს, საჭირო იყო ბეჭდვამდე მისი წინასწარი მომზადება და დატენიანება, რადგან მშრალ ქალაქში საღებავი კარგად არ შეინოვებოდა. ამასთანავე, საჭირო იყო წინასწარ მომზადებულიყო საბეჭდი ფორმა – ანანყობი.

ნიგნის ბეჭდვისთვის საჭირო საბეჭდი დაზუბა და შრიფტ-კასა ახალი გამოგონება არ ყოფილა. პრესს იყენებდნენ როგორც ქალაქის, ასევე მონეტების დასამზადებლად. კასებს კი ბანკირები იყენებდნენ მონეტების დახარისხებისათვის. შრიფტ-კასა ზედა და ქვედა ნაწილისაგან შედგებოდა. ზედა ნაწილის საკნებში განთავსებული იყო მთავრული ასოები და სასვენი ნიშნები, ქვედაში კი – სატექსტო ასონიშნები. ზედა ნაწილის საკნებში ასონიშნები ანბანის მიხედვით იყო განაწილებული, ქვედაში კი ისე, რომ მათი გამოყენება ადვილად მოსახერხებელი ყოფილიყო. ასოთამწყობი იქვე მიმაგრებული ტექსტის მიხედვით, ცალი ხელით კრებდა ასოებს საპნკარეში, რომელიც მეორე ხელით ეჭირა. ეს მოწყობილობაც საგანგებოდ იყო მოფიქრებული. ასოთამწყობს საპნკარედან ასონიშნები გადაჰქონდა ანანყობის დაფაზე, რომლითაც ხდებოდა საბეჭდი ფორმის აწყობა. ანანყობი ფორმა რომ არ დაშ-



ლილიყო, მას სქელი თოკით კრავდნენ. ფორმას ზემოდან უსვამდნენ საღებავის თხელ ფენას. ამ სამუშაოს სტამბის სპეციალური მუშაკი ასრულებდა საღებავის ბალიშის – მაცის საშუალებით, რომელსაც ხშირი წმენდა სჭირდებოდა. დასარბილებლად და ელასტიკურობის შესაძენად მას 7–8 საათით წყალში ალბობდნენ. საჭირო იყო საღებავის ბალიშის ხშირი გამოცვლა, რადგან ბეჭდვის ხარისხი უმეტესწილად დამოკიდებული იყო მის სიგლუვეზე და საღებავის თანაბრად გადანაწილებაზე. ყოველივე ეს დიდ დროს მოითხოვდა და მაშინ, როცა მესტამბე ერთ ფურცელს ბეჭდავდა, მისი დამხმარე სხვა ფორმას ამზადებდა დასაბეჭდად.

დანესტიანებული ქალაღდის ფურცელს არ დებდნენ პირდაპირ ფორმაზე, არამედ ტიმპანზე, ანუ ჩარჩოზე გადაჭიმულ ქსოვიღზე ან რბიღ ტყავზე, რომელიც ტალერზე ხრახნებით იყო მიმაგრებული. ფურცელი რომ არ გასრიღლებულიყო, მას შუღ ნანიღში ამაგრებდნენ ორი ქინძისთავით და ზემოდან ადებდნენ ფრაშკეტს, ხის ან ლითონის ჩარჩოს მასზე გადაჭიმული ქალღღდით ან მუყაოთი, რომელიც ამოჭრიღი იყო იმ ადგიღს, სადაც ტექსტი უნდა დაებეჭდათ. ფრაშკეტი მიმაგრებული იყო ტიმპანთან ხრახნისებით, რათღ ფურცღღის მიწდვრები არ დასვრიღიყო.

საბეჭდი დაზგღ, როგორც წესი, იატაკსღ და ჭერზე მჭიდროდ და უძრავად იყო მიმაგრებული. ბეჭდვღ ძირითადად ორი ფერის საღებავით ხდებოდა და საჭიროებდა განსაკუთრებულ სიზუსტეს. საბეჭდი დაზგის ძირითადი ნანიღი იყო ხის ხრახნი დამწოღი ბერკეტით. ხრახნს ქვემოდან დამაგრებული ჰქონდა ოთხკუთხღ დამტკეპნი ფიღღ. ბერკეტის შემოტრიღლებით შესაძლებელი იყო დამტკეპნის აწევღ-დაწევღ, ანუ ბეჭდვღ, რაც რთული პროცესი გახღდათ და მოითხოვდა განსაკუთრებულ ფიზიკურ ძღღისხმევეს, ზუსტ და კოორდინირებულ მოქმედებებს.

დაბეჭდიღ ფურცელს გასაშრობად კიდებდნენ თოკზე. ერთი ანანყობიდან მიიღებოდა ასობით ამონაბეჭდი. შემწრღღი ფურცღღები კვღავ პრესის ქვეშ თავსდებოდა, სადაც მის მეორე გვერდს ბეჭდავდნენ. ფურცღღების დასაწწწხად და გასასწწწრებღღდ მათ ერთმანეთზე აწყობდნენ და 5-6 საათით ათავსებდნენ 40-50 ფუნტი სიძიძიღს ქვეშ. შემდეგ მათ ახარისხებდნენ, აღღგებდნენ და კინძავდნენ.

პოღიგრაფიულ სანღრმოებში, სადაც შრომღ დანანწწრებული იყო, მუშაობდა რამდენიმე სტამბის მუშაკი: შრიფტამწწყობი, ანანწწყობზე საღებავის დამტანი და მბეჭდავი. ამ სამი ძირითადი საქმის გარდა, შესასრულებელი იყო მრავალი სამუშაო: დაბეჭდიღი და გამწრღღი ფურცღღების დასტებად აწყობღ, საღებავის მომზადე-

ბა, წყლის მოზიდვა და ა.შ. ამ სამუშაოებს ძირითადად შეგირდები ასრულებდნენ.¹

პირველმბეჭდავის საუკეთესო მოსწავლე იყო პეტერ შეფერი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნიგნის ბეჭდვის საქმეში: თანაბარი ზომის ასოების დასაბეჭდად გააუმჯობესა ლიტერების ფორმები; დახვეწა სასტამბო საღებავის შემადგენლობა მასში ლაქის დამატებით; შემოიღო ფერადი ბეჭდვა. ორფეროვანი ნაბეჭდის მისაღებად, ჯერ ბეჭდავდნენ შავი ფერის ტექსტს, ისე რომ ფრაშკეტს აფარებდნენ ფურცლის იმ ადგილებს, სადაც ტექსტი წითელ ფერში უნდა დაებეჭდათ. იგივე ფურცელს მეორედ ბეჭდავდნენ წითელი საღებავით, მაგრამ ამჯერად – აფარებდნენ ფურცლის შავად დაბეჭდილ ადგილს.



IOHANN FAUST
*Büchdrucker zu Mainz, war mit Johann
Gutenberg in Compagnie
Lebt um das Jahr Christi 1. 1456*

იოჰან ფუსტი

უკიდურესი სრულყოფილებისაკენ სწრაფვის გამო გუტენბერგი დიდ მოთხოვნებს უყენებდა ასოთამკრეფებს. ამის გამო საქმე წინ ძალიან ნელა მიდიოდა. ერთ დღეში ექვსი ასოთამწყობი ამზადებდა მხოლოდ ერთ გვერდს. თუ რა სირთულეებთან უხდებოდა შეჯახება გამომცემელს, ამაზე მეტყველებს ქალაქის ანალიზი. თავდაპირველად ბიბლიას ბეჭდავდნენ მაღალი ხარისხის ქალაქზე. ნახევარი წლის შემდეგ მარაგი ამოიწურა, საჭირო გახდა

1. Бахтияров, А. А. Иоган Гутенберг, его жизнь и деятельность в связи с историей книгопечатания: Биографический очерк. – Санкт-Петербург, 1892. Ст. 21.

ქალაქის შესყიდვა პატარ-პატარა პარტიებით და ნარჩენების გამოყენებაც კი. 1454 წელს ქალაქის უქონლობის გამო ბეჭდვა შეაჩერეს. გუტენბერგი იძულებული გახდა ბიბლიის ბეჭდვისათვის დროებით თავი დაენებებინა და სტამბის მუშაკები შედარებით მომგებიანი გამოცემების — ინდულგენციისა და „თურქული კალენდრის“ ბეჭდვით დაესაქმებინა. ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფლება ამ პროდუქციისათვის გუტენბერგს ნაღდ ფულს უხდიდა, რომლის საშუალებითაც იგი ბიბლიის დასაბეჭდად საკმარისი რაოდენობის ქალაქს ყიდულობდა.

პირველბეჭდავის ოცნება ბიბლიის გამოცემა იყო. ეს უმნიშვნელოვანესი და შრომატევადი საქმე დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა. მატერიალური სირთულეების გამო იგი იძულებული იყო დახმარებისათვის შეძლებული საქმოსნის — იოჰან ფუსტისათვის (დაახ. 1400-30 ოქტომბერი. 1466) მიემართა. გუტენბერგმა აღებული თანხით დაიქირავა სტაჟიორები და „42 სტრიქონი ბიბლიის“ ბეჭდვა გააგრძელა. პირველი ნაბეჭდი ნაკრების მომზადებისათვის მესტამბე-გამომცემელმა დაახლოებით ორი წელი დახარჯა. წიგნის მოცულობა დაახლოებით 1300 გვერდი იყო. როდესაც პუბლიკაცია ფაქტობრივად დასრულდა, ფუსტსა და გუტენბერგს შორის უთანხმოება წარმოიშვა. ფუსტმა პარტნიორი გაფლანგვაში დააბანაშაულა და მთელი თანხის პროცენტით დაბრუნება მოითხოვა. ნორმალურ პირობებში ამ წიგნის გაყიდვით მიღებული შემოსავლით უნდა დაფარულიყო საკრედიტო დანახარჯები და გაფართოებულიყო წარმოება, მაგრამ იოჰან ფუსტმა სასამართლოში უჩივლა წიგნბეჭდვის გამომგონებელს. მძიმე მდგომარეობაში მყოფ მასწავლებელს მისმა საყვარელმა შეგირდმა, პეტერ შეფერმა უღალატა, მევალე-მეიჯარეს მხარეზე გადავიდა და სასამართლო პროცესზე გუტენბერგის წინააღმდეგ მოწმის სტატუსით გამოვიდა. ფუსტი ხომ შეფერის სიმამრი გახლდათ. სიძე-სიმამრის ერთად ყოფნამ კი მნიშვნელოვნად გადანონა მართლმსაჯულების სასწორი.¹

წიგნის ისტორიის მკვლევრებს ხელში ჩაუვარდათ 1455 წლის ნოემბრით დათარიღებული ნოტარიული აქტი, რომელიც ფუსტისა და გუტენბერგის უთანხმოებას ეხებოდა. აქტის შინაარსიდან ირკვევა, რომ გუტენბერგი 1450 წელს უკვე ფლობდა საკუთარ სტამბას. მან აღჭურვილობის შესაძენად ფუსტისაგან ისესხა 800 გულდენი იმ პირობით, რომ ამ ფულის მეშვეობით შექმნილი სასტამბო აღჭურვილობა თავდებში უნდა ჩაედო. ფუსტმა თანხა პრო-

1. Проскуряков, В. М. Иоган Гутенберг. Жизнь замечательных людей. — М., 1933. Ст. 73.

subter me scaphate. **U**t requiescam in die
 tribulationis: et ascendam ad psum arcum
 meum. **L**atus enim non flexabit: et non erit gre-
 men in viris. **M**ercedem operis olivae: et ardua
 non afferent abum. **A**bscedet de oculis tuis:
 et non erit armenum in psepibus. **E**go autem
 in domino gaudebo: et resultabo in tuo ihu meo.
Deus dominus fortitudo mea: et ponet
 pedes meos quasi ruos. **E**t super excelsa
 mea: deducet me victor in pslalmis cantate.

Dominus audiam audiam tuam et tuam in dno
 et dno in cordis et organo laudare tu psl.
Laudate dno in organo et psalms
Laudate dno in organo et psalms
Laudate dno in organo et psalms

Dominus dominus fortitudo mea: et ponet
 pedes meos quasi ruos. **E**t super excelsa
 mea: deducet me victor in pslalmis cantate.
Laudate dno in organo et psalms
Laudate dno in organo et psalms
Laudate dno in organo et psalms

მანცის ფსალმუნი. 1457 წ.

ცენტით ასესხა პირველმბეჭდავს და ამავე დროს მისი მეწილეც
 გახდა. ნელინადში 300 გულდენის ოდენობის თანხა სასტამბო სა-
 ლებავის, ქალაღდისა და ლითონის შესაძენად ფუსტს შეჰქონდა,
 სანაცვლოდ იგი 6 პროცენტს იღებდა. მოლაპარაკების მიხედვით,
 სანარმოს მთელი შემოსავალი თანაბრად უნდა გაყოფილიყო. მაგ-
 რამ 1452 წელს 300-ის ნაცვლად მან 800 გულდენი ჩადო საქმეში.
 ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მთელი სტამბა მის ხელში
 გადავიდოდა. ვალი კი შეადგენდა 800+800=1600 გულდენს პრო-
 ცენტებით. აი, სწორედ ამ ბოლო ვალის პროცენტების გადახდა არ
 უნდოდა გუტენბერგს. ფუსტმა გადაწყვიტა მოლაპარაკება დაერ-
 ლვია და გუტენბერგისთვის ერთბაშად მოეთხოვა ორივე თანხა
 პროცენტებიანად, რაც მთლიანობაში 2026 გულდენი აღმოჩნდა.
 სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ეს საჩივარი. მან დაად-
 გინა, რომ შეტანილი თანხიდან მეორე ნაწილს ვერ დაერქმეოდა
 სესხი, რადგან ის განიხილებოდა კომპანიონის შემოწირულებად
 ერთობლივი სანარმოსთვის. 1455 წლის 6 ნოემბერს სასამართ-
 ლოს გადაწყვეტილებით, გუტენბერგი იძულებული გახდა ფუს-
 ტისა და შეფერისათვის გადაეცა სტამბა თავისი აღჭურვილობით,

ანუ სახელოსნო თავის გამოგონებასთან და წიგნის ანაბეჭდების მთელ ტირაჟთან ერთად. გუტენბერგს დარჩა მცირე სახელოსნო ნაკლები ტექნიკური შესაძლებლობებით – ჩამოსხმული შრიფტების მხოლოდ ერთი კომპლექტით. ამ უთანხმოებამ საბოლოოდ შეარყია გამომგონებლის მატერიალური მდგომარეობა. მან ვეღარ შექმნა ბიბლიის ხარისხისა და მასშტაბის გამოცემები. მისი ახალი ბეჭდვის პროდუქცია იყო სახელმძღვანელოები, კალენდრები, ფსალმუნები – სულ 50-მდე წიგნი. გუტენბერგმა დაიწყო სხვა მესტამბეების დახმარება.

ასეთი ლალატის მიუხედავად, პირველმბეჭდავს არ დაუყრია ფარ-ხმალი. არადა, ეს იყო გუტენბერგის ტრიუმფის წლები, როდესაც მან შექმნა წიგნის ბეჭდვის ხელოვნების განუმეორებელი შედეგები – 42-სტრიქონიანი ბიბლია, რომლის ფურცლებზე არსად არ იყო გერმანელი მესტამბის სახელი, გამოცემის თარიღი, გამომცემლობის დასახელება და ადგილმდებარეობა. ბიბლია, მკვლევარების ერთსულოვანი მოსაზრებით, იოჰან გუტენბერგის შექმნილია.

ამ სასამართლო პროცესმა საბოლოოდ დაამორა ერთმანეთს გუტენბერგი და ფუსტი. შესაძლოა, ფუსტს კიდევაც მოეხერხებინა გუტენბერგის გამოგონების მითვისება და საკუთარი სახელის უკვდავყოფა, რომ არა ახალგაზრდა შეფერის მინაწერი მაინცში 1505 წელს გამოცემულ იმპერატორ მაქსიმილიანესათვის მიძღვნილ წიგნზე: „1450 წელს მაინცში, ნიჭიერმა გუტენბერგმა გამოიგონა სასტამბო ხელოვნება, რომელიც შემდგომში გაუმჯობესდა და გავრცელდა შთამომავლებში ფუსტისა და შეფერის შრომით.“¹

1455 წელს, სასამართლო პროცესის მოგების შემდეგ ფუსტმა სტამბის მმართველობა სიძეს მიანდო. ნიჭიერმა და შრომისმოყვარე პეტერ შეფერმა პოლიგრაფიული საქმიანობა ააწყო და ინკუნაბულების ბეჭდვა-გამოცემას შეუდგა.

ინკუნაბულა ლათინური სიტყვაა (*incunabula*) და ნიშნავს აკვანს, დასაწყისს. ასე უწოდებენ წიგნს ან ცალკეულ ფურცელს, რომელიც გამოიცემოდა ევროპაში წიგნის ბეჭდვის დასაწყისიდან 1501 წლის 1 იანვრამდე. ეს გამოცემები არა მარტო დღეს, არამედ იმ პერიოდისათვისაც იშვიათობას წარმოადგენდნენ, რადგან თითოეული წიგნის ტირაჟი 100-დან 300 ეგზემპლარს არ აღემატებოდა. ძირითადად, მისი მომხმარებლები იყვნენ სწავლულები, ადვოკატები და ღვთისმსახურები.

1. Бахтиаров, А.А. Иоган Гутенберг, его жизнь и деятельность в связи с историей книгопечатания : Биографический очерк. – Санкт-Петербург, 1892., Ст. 27.

Santus Autor.



CXXII

E vrentse de wunnse vnde breken to drunswick in douch de efoenwiel
 wente an de lauwendrugge. Des forten troy konighe ont vnde palse
 graw hincric de toge vt der stadt mit den herzen vn slogen var cym
 luyt vpp der langhen drugge vor dem vort to drunswick var dreyff
 manich syn kint vor Ridder Grewen Gessmans vnde var mocht vor ge
 slagen vnde de van der drugge spungen vnde voftrunden var drey
 en got vnde dylbeuer her santus autor de ein bischofmer to der stadt drey
 wick. So de steyd gescheern was in der nacht var na openbarde sel
 santus autor dem bischoffe van Trete vnde sse. Sd sel byn autor de
 vor deel ein bischoff to Trete drey grawen vnde wull in drey to drey
 wick myne raume hebben de wille var muel vnde godde var er schid so
 wull ic se oel nicht vollat. So sage de woldige konig philippus var
 de aff drey vuffer stad drunswick edder se schaf quates de dea slatum

საქსონიის ქრონიკები 1492 წ.

ტერმინი „ინკუნაბულა“ პირველად გამოიყენა ბერნარდ ფონ მალინკროდტმა პამფლეტში: „De ortu et progressu artis typographycæ“ – განვითარებისა და პროგრესისათვის ტიპოგრა-



ფიულ ხელოვნებში, რომელიც 1639 წელს გამოიცა. ამ ტერმინის ფართოდ გავრცელება XVIII საუკუნიდან დაიწყო. ქმნიდნენ ორი ტიპის ინკუნაბულებს: ქსილოგრაფიულსა და სტამბურს, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ინკუნაბულად იწოდება მხოლოდ სტამბური წესით დამზადებულ წიგნი, როგორცაა „გუტენბერგის ბიბლია“. ინკუნაბულების უმრავლესობა ლათინურ ენაზეა გამოცემული. თუმცა ბეჭდავდნენ გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. მრავალი ასეთი უნიკალური გამოცემა არის დაცული მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა თუ ბიბლიოთეკებში.¹

პეტერ შეფერი ბეჭდავდა არაჩვეულებრივ ინკუნაბულებს. მათ შორის ყველაზე ცნობილი გამოცემებია: „მაინცის ფსალმუნი“ (1457), „საეკლესიო რიტუალების განმარტებანი“ (1459), „ჰერბარიუმი“ (1484), „ჯანმრთელობის ბალი“ (1485), „ვალდებულებების შესახებ“ (1465), „საქსონიის ქრონიკები“ (1492) და სხვა. 1468 წელს მან „მაინცის ფსალმუნი“ დაბეჭდა მინიატურულ ფორმატზე. ეს იყო მსოფლიოში პირველი ბეჭდური მინიატურული წიგნი.


სასამართლო პროცესიდან ორი წლის შემდეგ 1457 წელს მაინცში გამოიცა მსხვილფორმატიანი ფსალმუნების კრებული. მაღალმხატვრულ დონეზე დაბეჭდილ გამოცემას ადგილმდებარეობის გამო, „მაინცის ფსალმუნს“ – Mainz Psalter (Das Mainzer Psalterium) უწოდებენ. წიგნი გამოცემულია 1457 წელს, მარიამობამდე, სავარაუდოდ, 14 აგვისტოს.

წიგნზე საგამომცემლო მონაცემების დაბეჭდვის იდეა შეფერს ეკუთვნოდა. ლამაზად გაფორმებული „მაინცის ფსალმუნი“ მსოფლიოში პირველი წიგნია, რომლის კოლოფონში მითითებული იყო ცნობები გამოცემის ადგილის, თარიღისა და მესტამბე-გამომცემლების შესახებ: „წინამდებარე ფსალმუნთა წიგნი ინიციალთა სილამაზითა და რუბრიკაციებით დიდებულად მორთული, ბეჭდვის არაჩვეულებრივი გამოგონებით და ასოთწყობით, ყოველგვარი კალამის (იმხანად სანერი ინსტრუმენტი ასე იწოდებოდა) გამოყენების გარეშე ასე გამოსახულ არს და ღვთის სადიდებლად მიძინების წინ 1457 საღვთო წელს შესძლეს დასრულება მაინცელმა მოქალაქე იოჰან ფუსტმა და პეტერ შეფერმა ჰერნსჰეიმიდან“.²

როგორც ვხედავთ, აქ საერთოდ არ არის ნახსენები წიგნთბეჭდვის ნამდვილი გამომგონებლის იოჰან გუტენბერგის სახელი. მკვლევართა მოსაზრებით, ამ წიგნის გამოცემა დაიწყო გუტენბერგმა, ხოლო, ფუსტმა და შეფერმა იგი მხოლოდ დაასრულეს.

1. Книговедение/энциклопедический словарь. – М. 1982.

2. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – М. – 1990. – ч. 2.



ნიგნმცოდნეობის ლიტერატურაში აღწერილია ამ ნიგნის ათი ეგზემპლარი, რომელთაგან ორი პარიზში ინახება, თითო დაცულია ბერლინში, ვენაში, ლონდონში, ვისბადენში, დარმშტატში, ანჟერში, ვინდზორსა და მანჩესტერში. თითქმის მეორე მსოფლიო ომამდე „ფსალმუნნი“ დრეზდენის საქსონიის ბიბლიოთეკის სიამაყე გახლდათ. დღესდღეობით, „ფსალმუნნი“ გერმანიაში, ქალაქ ვისბადენში ინახება.

ცნობილია, ამ გამოცემის ორი ვარიანტი: სრული-175. ფურცლიანი და შემოკლებული – 143-ფურცლიანი. თითოეული ხუთ-ხუთ ეგზემპლარად არის შემონახული.

ნიგნი დაბეჭდილია ორ სახის მსხვილი შრიფტით. მკვლევართა შეთანხმებული მოსაზრებით, შრიფტი გუტენბერგის სახელოსნოშია დამზადებული. თითო სვეტი შედგება 20 მსხვილი ან 24 შედარებით წვრილი შრიფტით დაბეჭდილი სტროფისგან. მსხვილი შრიფტის კეგელი შეადგენს 14,6 მმ-ს, ანუ 38,8 სტამბურ პუნქტირს, რაც დაახლოებით შეესაბამება თანამედროვე „დიდ კანონს“. წვრილი შრიფტის კეგელი (სინამდვილეში ისიც მსხვილია) 12 მმ. ანუ 31,9 პუნქტირია. როგორც პირველ, ასევე მეორე შრიფტში მრავალი ერთი და იგივე სახელწოდების ლიტერია. მთლიანად მსხვილ შრიფტში 200 სტროფული (ორი ან მეტი შერწყმული ასოს 61 ლიგატურის ჩათვლით) და 31 კალიგრაფიული, ხოლო წვრილ შრიფტში – 176 სტროფული (57 ლიგატურა) და 34 კალიგრაფიული ასოა. გუტენბერგის ბიბლიისაგან განსხვავებით, ტექსტი ერთ სვეტადაა ნაბეჭდი, მხოლოდ ოთხი ფურცელია ორ სვეტად აკრეფილი. ფურცლოვანი წესით დაბეჭდილი ფსალმუნის ფოლიანტი 408x300 მმ. ზომისაა და აკინძულია ათ-ათ ფურცლიან რვეულებად.¹

ამავე „ფსალმუნში“ გაჩნდა ნიგნის ბეჭდვის ისტორიაში პირველი სასტამბო ნიშანიც – ფუსტისა და შეფერის საგამომცემლო მარკა, რომელიც ნიგნის ბოლო გვერდზე, კოლოფონის შემდეგად არის დაბეჭდილი. ეს ნიშანი ათი შემონახული ეგზემპლარიდან მხოლოდ ერთზეა შემორჩენილი, რის გამოც ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ იგი მოგვიანებით შექმნეს.

გუტენბერგის ნიგნებში სათაო ასოები ხელით იყო ჩახატული, შეფერმა კი ფსალმუნისათვის დეკორატიული სათაო ასოები პირველად დაბეჭდა სტამბური წესით ორი ფერის საღებავით: ლურჯით – დასტამბა თვით ინიციალი, მის გარშემო არსებული ორნამენტი კი – წითელით, ან პირიქით. შედეგად არაჩვეულებრივად

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – М., 1990. – ч. I. ст. 14.



გაფორმებული ფურცლები მიიღო. ძირითადი ტექსტი დაბეჭდილი შავი ფერის საღებავით. ამდენად, წიგნი სამ ფერშია დაბეჭდილი და ეს პოლიგრაფიის ტექნიკაში პირველი პოლიქრონული ბეჭდვის მცდელობა იყო. ტექსტში გვხვდება სამი ზომის – სამი, ხუთი და ექვსი პუნქტის სიმაღლის ინიციალები. წიგნის პირველ ზოლზე განთავსებულია მოზრდილი ინიციალი „B“, მისი ზომა 88x88 მმ. ორფეროვანი ინიციალების გარდა წითელი საღებავითა არის დაბეჭდილი ყოველი ახალი ფრაზის მთავრული ასო. ორიგინალურადაა მოფიქრებული შავი და წითელი საღებავის შეხამება ნაბეჭდ ფურცელზე. იგრძნობა, რომ ფერთა ჰარმონიაზე შეფერი მუდმივად ზრუნავდა.¹

დეკორატიული ინიციალის ნაყში ძალიან მკაფიოა. რთული ორნამენტი იმდენად წვრილხაზოვანია, რომ წიგნბეჭდვის ისტორიის მკვლევართა მოსაზრებით, ისინი შეუძლებელია ხეზე გრავირების მეთოდით იყოს შესრულებული. იმ წლებში სპილენძზე ღრმა ბეჭდვის მეთოდი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული. ამდენად, გრავირებისათვის შეფერი იყენებდა ლითონის ფირფიტებს, თუმცა ბეჭდვის ტექნიკა ისეთივე იქნებოდა, როგორიც ხეზე.

ქსილოგრაფიაში ნახატის ფორმირებისათვის ხაზები მზადდება ხის ორმხრივი ამოტვიფრვით. ხესთან შედარებით მეტალის გრავირება, რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია. ამიტომაც, რომ ლითონზე გრავირება სხვაგვარი ტექნიკით სრულდება. ნახატის კონტურულ ხაზებს ღრმად ტვიფრავდნენ. ასეთი წესით დამზადებულ საგრავიურო ფირფიტას იყენებდნენ, როგორც ჩამოსასხმელ ფორმას. კლიშეს საშუალებით მიიღებოდა გამოსახულების საკმაოდ მკაფიო კონტურული ხაზები. თუ კლიშეს სიმაღლე ისეთივე იქნება, რამხელაც ლიტერისა, მაშინ შესაძლებელი იყო სასტამბო ანაწყობის ერთდროულად ამობეჭდვა. პეტერ შეფერი შესანიშნავად ფლობდა ლითონჩამოსხმის ტექნიკას. ვარაუდობენ, რომ სწორედ მან შექმნა პირველი შრიფტის ჩამოსასხმელი ლითონის ფორმა. მეტალის კლიშეს შესაქმნელად კი მისი მსგავსი, უფრო დიდი ზომის ფორმა ექნებოდა დამზადებული.

საინტერესოა, როგორ ახერხებდა შეფერი ასეთი კლიშეებით ორფეროვანი გამოსახულების მიღებას? მკვლევრების აზრით, კლიშეები ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ნაწილს, რომელსაც ჰქონდა ინიციალის მოხაზულობა, იღებდნენ ფორმიდან და აგორებდნენ წითელ საღებავში; მეორე ნაწილზე, რომელიც ინიციალის გარშემო სივრცესა და ორნამენტის ნაყუს ქმნიდა, ლურჯ

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – М. – 1990. – ч. I. ст. 15.


პეტერ შეფერმა 1485 წელს დაბეჭდა უხვად დასურათებული ინკუნაბულა – „ჯანმრთელობის ბაღი“ – *Gart der Gesundheit* или *Hortus Sanitatis*, რომელიც ყველაზე ძველი ნაბეჭდი წიგნია სამკურნალო მცენარეებისა და ფარმაცოლოგიის შესახებ. 435 თავისაგან შედგენილი გერმანული გამოცემა მოიცავს 382 მცენარის, 25 ცხოველისა და 28 მინერალის აღწერილობას. ენციკლოპედიურ ნაშრომს საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების ხელნაწერებში აღწერილი ცნობები მცენარეთა თავისებურებების შესახებ. იგულისხმება ორი ხელნაწერი: კონრად ფონ მეგენბერგის „ბუნების წიგნი“ და ძველი გერმანული „*Macer floridus*“. ნაშრომი შეადგინა ფრანკ-ფურტელმა ექიმმა და ბოტანიკოსმა იოჰან ვონინეკე ფონ კაუბმა (1430–1503/1504).

შეფერს წიგნის გამოცემა დაუკვეთა ბერნგარდ ფონ ბრაიდენბახმა (დაახლ. 1440–1497). ილუსტრაციები შეასრულა უტრეხტელმა გრაფიორმა ერხარდ როივირმა. 1470 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები წიგნის დასაბეჭდად. 1483 წელს დასრულდა ტექსტზე მუშაობა და იგი სტამბას გადაეცა, თუმცა ილუსტრაციების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი.

ბრაიდენბახი და როივირი მომლოცველებად გაემგზავრნენ პალესტინაში, სადაც ხმელთაშუა ზღვის მცენარეების უფრო ხარისხიანი ჩანახატები გააკეთეს, თუმცა ისინი გამოცემაში ვერ განათავსეს, რადგან შეფერმა ნაშრომი მათ დაბრუნებამდე დაბეჭდა. წიგნმა დიდი გამოხმაურება მოიპოვა. მისი მეორე გამოცემა, რომელსაც „ბალახების ლათინურ წიგნსაც“ უწოდებენ, 1491 წელს დაიბეჭდა. „ჯანმრთელობის ბაღი“ განმეორებით სამოცჯერ გამოიცა. მათ შორის 13 ინკუნაბულა იყო.

ამ ნაშრომის შექმნამდე იოჰან კაუბამ შეადგინა „ჰერბარიუმი“, რომელიც შუა საუკუნეების არაბული და ევროპული ხელნაწერებიდან ამოკრებილი ციტატების კრებულია. იგი ლათინურ ენაზე გამოიცა შეფერისა და ფუსტის სტამბაში 1484 წელს.

მეთხუთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში შეფერმა მაინცში შეიძინა მინა სახელწოდებით „*Hof zum Humbrecht*“, რომელიც მოგვიანებით „*Schöfflerhof*“-ის სახელწოდებით გახდა ცნობილი. 1489 წლიდან სიკვდილამდე, ანუ 1503 წლამდე პეტერ შეფერი საერო მოსამართლის სტატუსით მოღვაწეობდა მაინცში. პეტერსა და მის მეუღლეს, კრისტინას ოთხი ვაჟი ჰყავდათ. მათი უფროსი ვაჟი გრატიან შეფერი მესტამბე-გამომცემელი იყო. მან დააარსა



საკუთარი სტამბა. მეორე ვაჟი, პეტერ შეფერ უმცროსი, მუსიკალური ლიტერატურის ცნობილი გამომცემელი გახლდათ მაინცში, ვორმსში, სტრასბურგში, ბაზელსა და ვენეციაში. მესამე ვაჟმა, იოჰანმა, სტამბის მენეჯმენტის მოჰკიდა ხელი და დიდი წვლილი შეიტანა სტამბის გამოგონების გარშემო არსებულ დაბნეულობაში. მან 1509 და 1515 წლებში განაცხადა, რომ წიგნის ბეჭდვა მისმა ბაბუამ იოჰან ფუსტმა გამოიგონა. პიტერ შეფერს ჰყავდა ქალიშვილიც, კატარინა, რომელიც დაქორწინებული იყო ბოტო ბოტეზე, კონრად ბოტეს ვაჟზე. ის იყო პიტერ შეფერის ბოლო ბეჭდური ნაწარმოების „Cronecken der Sassen“ შესაძლო ავტორი. თუმცა, საქსონური ქრონიკების ავტორად ზოგიერთი მკვლევარი მოიხსენიებს მის ბიძაშვილს – გერმან ბოტეს.

„საქსონური ქრონიკები“ შეფერმა 1492 წელს გამოსცა. ეს იყო ახალი ტიპის პირველი ისტორიული წიგნი. იგი აგრძელებდა მსოფლიო ისტორიის შუა საუკუნეების ტრადიციას, სადაც ისტორია მოთხრობილია ბიბლიური დროიდან 1489 წლამდე. ქრონიკის ადრეულ ნაწილებში დიდი ყურადღება ეთმობა გერმანულ და სლავური წარმომავლობის ხალხს, რადგან შუა საუკუნეებში საქსონიის ტერიტორიაზე სლავური მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობდა. ნაშრომში ავტორი აღწერს როგორც ადრინდელი წყაროებიდან ცნობილ ღვთაებებსა და კულტებს, ასევე ახალს, რომელთაგან ყველაზე ცნობილია საქსონიის ღმერთი კროდო და სლავური ფლინცი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობებმა დიდი გავლენა მოახდინა კულტურასა და ძველი წარმართობის აღქმაზე, დადგინდა, რომ საქსონურ ქრონიკაში არსებული ყველა ახალი ინფორმაცია გერმანული და სლავური წარმართობის შესახებ არ არის დადასტურებული ადრეული სახელო წყაროებით. ამ ინფორმაციების უმრავლესობა შეთხზულია თვით ავტორის ან მისი თანამედროვეების მიერ შუა საუკუნეების ბოლოს.

1490-იანი წლებისთვის ძველი ისტორიული წიგნები ლათინურ ენაზე, მცირე ილუსტრაციებით იბეჭდებოდა. „საქსონური ქრონიკები“ არის 284-ფურცლიანი, 1255 გრაფიურით შემკული წიგნი, რომელთაგან დაახლოებით 550 მეორდება. პირველი 6 გვერდი მოკლედ ასახავს მსოფლიო ისტორიას, დანარჩენი წიგნი კი ქვემო საქსონიის ისტორიას ეძღვნება. წიგნი დაწერილია ქვემო საქსონურ დიალექტზე. მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ილუსტრაციების სიმრავლე. მათი ზომა



ცვალებადია. გვხვდება ფურცლოვანი, ნახევარფურცლოვანი და ტექსტში ჩართული გრაფიურები. ქსილოგრაფიული ინიციალები მოთავსებულია მინდორზე, ტექსტის ზოლის გვერდით. ინკუნაბულის მხატვრული გაფორმება ნამდვილად იმსახურებს ნიგნის მკვლევართა დიდ მონონებას.


ნიგნცოდნეობის სპეციალისტების ყურადღებას იპყრობს „საქსონურ ქრონიკებში“ შემონახული 1461-1463 წლების „საარქიებისკოპოსო ომის“ დროინდელი რამდენიმე დოკუმენტი. მათი შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე მონინალმდეგის მიერ გამოცემული ფურცლები იბეჭდებოდა ერთი და იმავე შრიფტით ფუსტისა და შეფერის სტამბაში. ამრიგად, ირკვევა, რომ ფუსტი კომერციული ინტერესების გამო, რეგულარულად უბეჭდავდა საბუთებს ორივე ოპონენტს.

იოჰან ფუსტი მიეკუთვნებოდა მდიდარ პატივსაცემ ოჯახს მაინციდან. მისი ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები სახელმწიფო და საეკლესიო პირები იყვნენ. იოჰანის ძმა იაკობ ფუსტი იუველიერი იყო. მას ბურგომისტრის თანამდებობა ეკავა 1462 წელს, როცა ადოლფ II-ის ჯარებმა მაინცი გადაარცვეს. იგი სავარაუდოდ, მოკლეს. თავად იოჰან ფუსტი განათლებით იურისტი იყო. ლიტერატურაში იგი მოხსენებულია ბანკირად და მოძრავი ლიტერებით ნაბეჭდი პროდუქციის პროპაგანდისტად.

1462 წელს მაინცში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, როცა არქიებისკოპოსის სკამისთვის გაჩაღდა ბრძოლა გრაფ დიტერ ფონ იზენბურგსა და ადოლფ ფონ ნასაუს შორის, გამარჯვება წილად ხვდა ადოლფს. მან გუტენბერგი თავისი მფარველობის ქვეშ შეიფარა და მუშაობისათვის ყოველგვარი პირობა შეუქმნა. 1465 წელს იგი ახალმა არქიებისკოპოსმა თავის სამსახურში აიყვანა.

ფუსტი და შეფერი დამარცხებულის მხარეს აღმოჩნდნენ. არეულობის დროს მათი სტამბა მთლიანად დაარბიეს. ასოთამწყობებმა, რომლებსაც „გუტენბერგის შვილებს უწოდებდნენ“, შრიფტები გაიტაცეს, ევროპის სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ და გაავრცელეს ნიგნის ბეჭდვის ხელოვნება.

ფუსტსა და შეფერს დარბეული სტამბის თავიდან აღდგენა მოუწიათ. ფუსტი ნიგნის ბეჭდვის ხელოვნებას საიდუმლოდ ინახავდა. იგი სტამბის დაქირავებულ მუშებს ბიბლიაზე აფიცებდა, რათა მათ ვინმესთვის არ გაემხილათ ნიგნის ბეჭდვის ახალი მეთოდის შესახებ. ფუსტი სტამბის მუშაკებს სარდაფში განთავსებულ სახე-



ლოსნოში კეტავდა. ნაბეჭდ პროდუქციას კი პარიზში კარგ ფასად ჰყიდიდა, რამაც მას სწრაფად გამდიდრების საშუალება მისცა. საფრანგეთში პირველი ბეჭდური ბიბლიის გამოჩენამ მითქმამოთქმა გამოიწვია. წიგნის ბეჭდვის პროცესს ბევრი სასწაულს უკავშირებდა. მღვდლებს არ სჯეროდათ, რომ ჯადოქრობის გარეშე, ერთი ხელნაწერიდან მრავალი ეგზემპლარის მიღება იყო შესაძლებელი. პარიზში ერთ-ერთი მსვლელობის დროს ფუსტი დააპატიმრეს. სავარაუდოდ, ეკლესიის მსახურნი მას კოცონზე დაწვავდნენ, 1466 წლის 30 ოქტომბერს ციხეში რომ არ გარდაცვლილიყო. მაინცის სტამბა კი მემკვიდრეობით შეფერს გადაეცა. იმ დროისათვის გუტენბერგი ცოცხალი იყო.¹

წიგნის ბეჭდვის გამოგონების 400 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1858 წელს, მაინის ფრანკფურტში აღმართეს მონუმენტი, რომელზეც იოჰან გუტენბერგთან ერთად პეტერ შეფერისა და იოჰან ფუსტის ქანდაკებებია წარმოდგენილი. ქვემოთ განთავსებულია მეთხუთმეტე საუკუნის ცამეტი სახელგანთქმული მესტამბე-გამომცემლისა და მეთოთხმეტე – თვით მოქანდაკის სკულპტურული პორტრეტი. მონუმენტზე განთავსებულია იმ დროის ცნობილი წიგნის ბეჭდვის ცენტრების – ოთხი ქალაქის: მაინცის, ვენეციის, სტრასბურგისა და ფრანკფურტის გერბები. კვარცხლბეკს ამშვენებს პოეზიის, თეოლოგიის, მეცნიერებისა და ინდუსტრიის ალეგორიული ქანდაკებები. ძეგლის სრულ ბრწყინვალეობას ასრულებს შადრევანი – ოთხი ცხოველის ბიუსტებით პერსონიფიცირებული ევროპა, აფრიკაში, აზია და სამხრეთ ამერიკა. მონუმენტი იოჰან გუტენბერგის გენიალური გამოგონების მსოფლიო მნიშვნელობას წარმოაჩენს.

პეტერ შეფერმა, თავისი მოღვაწეობის მანძილზე გამოსცა დაახლოებით 285 წიგნი. ისინი პოლიგრაფიული ხელოვნების ერთგვარ ეტალონებს წარმოადგენენ.

შეფერმა ამ წიგნის დაბეჭდვისთვის XV საუკუნის ერთ-ერთი მსხვილი გამომცემლის სახელი დაიმკვიდრა. მისი 40 წლის მანძილზე თავგანწირული საგამომცემლო შრომა დიდ თაყვანისცემას იმსახურებს. შეფერის ყოველი წიგნი პოლიგრაფიული ხელოვნების თავისებურ ეტალონად იქცა. ამასთან ერთად მან წიგნბეჭდვის ხელოვნება მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

1. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М.; Л., 1926.

1. Бахтиаров, А.А. Иоган Гутенберг, его жизнь и деятельность в связи с историей книгопечатания: Биографический очерк. – Санкт- Петербург, 1892.
2. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М., 1990. ч. I.
3. Книговедение/энциклопедический словарь. – М., 1982.
4. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М.; Л., 1926.
5. Проскураков, В. М. Иоган Гутенберг – Жизнь замечательных людей. – М., 1933.



ქეთევან მერკვილაძე


დიდი ქალაქების პატარა Bookshops

აღბათ, ოდესმე, ჩემი დიდი ბაბუის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის სოსიკო მერკვილაძის მსგავსად, მეც გავხსნი წიგნის მაღაზიას, „ცოდნას“ დავარქმევ და დიზაინიც მეოცე ასწლეულის დასაწყისის იქნება, დიდი ბაბუისდროინდელ იშვიათ გამოცემებს საპატიო ადგილს მივუჩენ, სტუმრებს პატივით დავხვდები და საინტერესო საღამოებს მოვანყოფ ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულებისთვის.


ეს არის ჩემი სურვილი, საკმაოდ რეალური და აღბათ ამიტომაც, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოვხვდეთ, პირველად, წიგნის მაღაზიებს ვეძებ. განსაკუთრებით პატარა მაღაზიები მხიბლავს, წიგნებისთვის ადგილი რომ არ ჰყოფნით და ყველგან აწყვია – კარში, კედლებთან, თაროების თავზე... და რომ იცოდეთ, როგორი მეპატრონეები ჰყავთ – მოლიმარი, ცხვირზე ჩამონეული სქელმინიანი სათვალით, კეთილგანწყობილი,



თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“



ნიუ-იორკი, Books



სან-ფრანცისკო, San Francisco Books

ყოფილი რომ შემოგ
ცქერიან, ხვდებიან,
რომ წიგნი ძალიან
გიყვარს.

საოცარია გვი-
ანი შემოდგომა ნიუ-
იორკში, ხშირად
წვიმს, ჩამოცვენილი
სველი ფოთლები
ოქროსფერ ხალი-
ჩას ქმნის, მიაბიჯებ
მყუდრო ქუჩაზე, სა-
ლამოხანია და უცებ,
პატარა მალაზია
Books – მუქი შინ-
დისფერი ფასადი,
წიგნებით გაფორმე-
ბული ვიტრაჟი, გა-
ნათებით შექმნილი
იღუმალი სამყარო
და წიგნის სურნელი,
ასე განსხვავებული
ყველა სურნელის-
გან. თამამად შევაბი-
ჯე, – Hi! – მეგებება
გალიმებული მე-
პატრონე, მალაზიას
ვუქებ, მრავალფე-
როვნებას ვუნონებ,
ულამაზეს ალბომს
ვიძენ ნიუ იორკის
ღირსშესანიშნაობე-
ბით, დიდი ბაბუის
მალაზიის ფოტოს
ვაჩვენებ, მოხიბლუ-
ლია და უკვე ყავასა
და სენდვიჩზეც მე-

პატიჟება. არასდროს დამავინყდება მისტერ სემი.


ს ა ნ - ფ რ ა ნ ც ი ს - კო საოცარი ლანდ-შაფტით გამოირჩევა, ხედი არასდროს მეორდება, ოკეანეც კი სხვადასხვანაირად ილანდება სხვადასხვა ადგილიდან. აქ ბევრი მყუდრო ქუჩაა და ძირითადად მათკენ მიმინწევს გული. ამჯერადაც გამიმართლა, მალაზია San Francisco Books-ის წინ ვდგავარ, ძალიან საინტერესო ექსტერიერი აქვს და წარმომიდგენია, ინტერიერი როგორ გამოგნებს. პატარა მალაზიაა, მეპატრონე საოცრად დახვეწილი, გემოვნებიანი და წესრიგის მოყვარული ქალბატონი ჩანს. ჩემი ბიოგრაფიული მონაცემებით ინტერესდება, ვნანობ, CV თან რომ არ მაქვს, ეს ისე, ხუმრობით, თორემ მის ლინდასთან საუბარი ნამდვილად სიამოვნებას მანიჭებს. მასაც ვაჩვენებ დიდი ბაბუის მალაზიის ფო-



სტოკჰოლმი, Super Books



ბრიუსელი, Bookshop



ფრანკფურტი, Bookshop

ტოს, მოკრძალებით მთხოვს ქსეროასლს, რომ ფოტო საპატიო ადგილას გამოფინოს წარწერით: „სადღაც, ქართულ ჯორჯიაში“. უარს როგორ ვკადრებ, უფრო მეტიც, საქართველოში ვეპატიუები.

„ბებერი ევროპის“ კონტინენტზეც არ ვღალატობ ტრადიციას და სტოკჰოლმის ქუჩებში ხეტილისას წიგნის სუპერ მაღაზიას ვაწყდები, წიგნის საცავეს უფრო ჰგავს, ინტერიერს სიძველის ელფერი დაჰკრავს – ჭერსა

და კედლებზე ბათქაში აქერცლილია, განათების ბურთებს ლამის ხელით ვეხები, წიგნის თაროები ჭერს სწვდება, ყველგან კიბეა მიყუდებული, საჭიროებისამებრ რომ გამოიყენოს მაღაზიის დამთვალეირებელმა. იმგვარი მრავალფეროვნებაა, ვიბნევი, ამ მაღაზიიდან ან ყველაფერი მოგაქვს, ან არაფერი.

ბრიუსელში, საცხოვრებელი სახლის ფასადი იქცევს ჩემს ყურადღებას, ვუახლოვდები, სახლი მწერლების პორტრეტებით არის მოხატული და პირველ სართულზე წიგნის საოცარი მაღაზია მხვდება, ფოტოკამერას ვიმარჯვებ, კარში მეპატრონე ჩნდება, უხერხულობას ვგრძნობ, იქნებ არც მაქვს გადაღების უფლება, თუმცა, პირიქით ხდება, ჰერ ულოფი კარგი მასპინძელია, მიყვება, როგორი სირთულეები გადალახა მაღაზიის გახსნამდე და ბოლოს და ბოლოს, ჩაის ფონზე, ჩემითაც ინტერესდება. საქართველოს შესახებ არაფერი იცის, ლამაზ ბარათებს ვჩუქნი ქართული ღირს-

შესანიშნაობებით და კმაყოფილებისგან ბრწყინავს.

გაზაფხულია, ფრანკფურტში ვარდისფრად აყვავებულ ხეივანს მივუყვები და უცებ, ყვავილებში ჩაკარგული წიგნის მალაზია – საოცარი კადრი. მეპატრონეები, ნამდვილი გერმანელი ცოლ-ქმარი აღმოჩნდნენ – კულტურული, განონასწორებული, პუნქტუალური წყვილი, თუმცა, მათი პუნქტუალურობა მე დავარღვიე, საუბარმა დრო წაიღო და მალაზია ათი წუთით გვიან დაკეტეს შესვენებისთვის. „არა უშავს, დღეს, ათი წუთით ადრე დავასრულებთ სამუშაო დღეს“, – გამოაცხადა მოღიმარმა ჰერ ტობისმა.


ვენასა და პარიზში მოგზაურობას ერთად გავიხსენებ, რადგან, წიგნის მალაზიების ქსელის Shakespeare & Company მალაზიებს, ორივე ქალაქში გადავანყდი. ვენა დიდებულებით გვიბლავს და წიგნის მალაზიაც გამორჩეულად დახვეწილია, გადაღება აკრძალულია და მხოლოდ ქუჩის კადრით შემოვიფარგლე.



ედინბურგი, Leakey's Bookshop




ვენა, Shakespeare & Company



პარიზი, Shakespeare & Company

ამ ქსელის მაღაზიებში, ძირითადად, ინგლისურენოვანი ლიტერატურაა წარმოდგენილი. პარიზის მაღაზიაში შექსპირის სონეტების უძველეს გამოცემას ვიძენ, სიმბოლურია, რადგან გეზი ბრიტანეთისკენ მაქვს ალებული.

ვიდრე გაერთიანებული სამეფოს უჩვეულო წიგნის მაღაზიებით გაგანებივრებთ, ერთ ფოტოს წარმოგიდგენთ შოტლანდიიდან – Leakey's Bookshop. მართალია, პატარა, „ქაოსური“ წიგნის მაღაზიები მხიბლავს, მაგრამ გამოიგონა ამ მაღაზიის სივრცისმიერმა დახვეწილობამ, არჩევანის მრავალფეროვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვა. მეორე სართულის აივნებიდან ვიციქირები, ინტერიერი მყიდველებით არის სავსე, ვამჩნევ, რომ ერთმანეთის არჩევანს აკვირდებიან, ზოგჯერ კონტაქტობენ კიდევ, Cool! – ამგვარად უწონებს ხანდაზმული ჯენტლმენი არჩევანს სტუდენტ გოგონას. დიდხანს ვრჩები, იქაურობას ვერ ვეღვევი.




ლონდონის გარეუბანი, წიგნის მაღაზია Books


გზად ლონდონისკენ, ნამდვილი ბრიტანული სტილის წიგნის მაღაზიას ვაწყდები. ორი ქუჩის გასაყართან უძველესი შენობა დგას, ღრუბლიანი საღამოა, რუხია ყველაფერი – შენობა, ქუჩები, ცა... მაღაზიიდან, სინათლე ოქროსფრად იღვრება და დარწმუნებული ვარ, რომ მეორე სართულზე მდებარე ლიტერატურული კაფეს თბილ გარემოში, სადაც, ტრადიციისამებრ, ცხელი შოკოლადით გამიმასპინძლებიან, წიგნით ხელში, ნამდვილ ლედიდ ვიგრძნობ თავს.

რიჩმონდსა და ოქსფორდში პაპარაცობა მიწევს, მაგრამ, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, წიგნის ამ ორი, უნიკალური მაღაზიის ფოტოებით აუცილებლად უნდა გავამდიდრო ჩემი გალერეა.



ლონდონში წიგნის ბევრი მაღაზიაა, მაგრამ ამჯერად, ორიგინალურობით გამოჩეულ, ორ მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. წიგნის მცურავ მაღაზიას შემთხვევით გადავანყდი, ნაპირს იყო მომდგარი, მყიდველებს ელოდებოდა. „წიგნის გემი“ დავარქვი და თამამად შევაბიჯე „გემბანზე“, ჩემს გარდა არავინ არის, საოცარი სიჩუმეა, „გემი“ მსუბუქად ირყევა და ალბათ ამიტომაც, არამყარად




რიჩმონდი, The Open Book



ოქსფორდი, The Book Shop Open



ლონდონი, წიგნის მცურავი მაღაზია
Word and Water



ლონდონი, წიგნის მაღაზია ცოცხალი
მუსიკის თანხლებით

დავაბიჯებ თაროებს შორის. სამეფო კარზე მიღებული, ჯენტლმენი დათუნია „პადინგტონის თავგადასავალს“ ვიძენ და გამორჩეული განწყობით ვტოვებ მცურავ საოცრებას. ჩამოსვლისას, „გემბანზე“ ამომავალი ჯენტლმენი თავის დაკრით მესალმება, მეც ასევე ვპასუხობ.


მეორე დღეს, კვლავ სანაპიროს მიუყვები, „გემი“ გასულია, თუმცა, უფრო საოცარ გარემოში ვხვდები. ერთ ადგილას ხალხია შეჯგუფებული, ჩემს სმენას აპლოდისმენტები სწვდება, ვუახლოვდები და წიგნის მაღაზია, მდინარის პირას, ცოცხალი მუსიკის თანხლებით! ვსეირნობ დახლებს შორის, თითქმის ყველა წიგნს ვეხები, არაამქვეყნიურ სამყაროში ვარ, აშკარად!

არასდროს დამავინყდება მაროკოს იღუმალეა,


რაბათში სეირნობისას აღმოსავლური თქმულებების პერსონაჟად ვგრძნობ თავს. ჰასან ბეი ძალიან პატარა წიგნის მაღაზიის მეპატრონეა, ინტერიერი წიგნებით არის სავსე, ვიწრო გასასვლელებია დატოვებული წიგნებს შორის გადასადგინებლად. აღმოსავლურ ზღაპრებს ვიძენ, ჰასან ბეი არჩევანს მინონებს, ღიმილით მაცილებს და საწყის პოზიციას უბრუნდება – კარში ჯდება წიგნით ხელში, პატარა ინტერიერში დასაჯდომი ადგილიც კი არ აქვს. ფოტოს გადაღებაზე მთანხმდება და პირობას ვაძლევ, რომ მის ზღაპრულ მხარეში აუცილებლად დავბრუნდები.

ჩინეთში არ ვყოფილვარ, ოცდამეერთე საუკუნის სტანდარტებით წარმოდგენილი წიგნის მაღაზიის ფოტო, მეგობარმა მისახსოვრა. კადრის მიხედვით, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ მაღაზიაში საოცრებები ხდება, სამყარო მყიდველების თვალწინ „ცოცხლდება“, ახდენილ სიზმარს ჰგავს იქაურობა. ჩუნცინში თუ მოხვდებით, აუცილებლად შეიარეთ.


დაბოლოს, კადრი ბაღდადის წიგნის ბაზრობი-



მაროკო, რაბათი, ჰასან ბეის წიგნის მაღაზია



ჩუნცინი, წიგნის მაღაზია



ბაღდადი, წიგნის ბაზრობა

დან. ცხადია, ერყვი
შიც არ ვყოფილვარ,
თუმცა, სიამოვნებით
მოვივლიდი ბაზრო-
ბის ყველა კუთხე-
კუნჭულს, უზარმა-
ზარი ტერიტორია
სხვადასხვა გამოცე-
მით არის სავსე და სა-
ოცარი ის არის, რომ
წიგნებს ღამითაც გა-
რეთ ტოვებენ, ალა-
გების აუცილებლობა
არ არის, რადგან ერყ-
ყელებს მტკიცედ სჯე-
რათ, რომ „მკითხველი

არ მოიპარავს, ქურდი კი არ წაიკითხავს“. ფაქტია, რომ ერყყული
სიბრძნე ამართლებს.

და მაინც, რა საოცარია წიგნის სამყარო!



მარიამ ბაჩიჩილაძე

თამარ (თალიკო) კარბელაშვილის შემოქმედება

არიან ადამიანები, მთელი ცხოვრების მანძილზე, უჩუმრად, ერთგულად და უანგაროდ რომ ემსახურებიან თავის საქმეს. მათი ნაკეთები კი, დროის გადასახედიდან გააზრებისას ზუსტად მიესადაგება ბრძნულ გამონათქვამს – „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ“.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება მხატვარი-გრაფიკოსი თამარ (თალიკო) კარბელაშვილი, რომლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ძალზე მდიდარია და მოიცავს როგორც ფერწერის, ასევე დაზგური გრაფიკის დარგის ნამუშევრებს, წიგნის მხატვრობას – როგორც ზრდასრულთათვის, ასევე მოზარდთათვის და მცირე ასაკის ბავშვებისთვის დასურათებულ უმნიშვნელოვანეს გამოცემებს.

ალბათ სჯობს მივყვეთ მხატვრის ბიოგრაფიას და თვალი გავადევნოთ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზას. თამარ (თალიკო) კარბელაშვილი დაიბადა 1937 წლის 11 სექტემბერს, ქალაქ თბილისში. მხატვრის დედა – მარიამ კონსტანტინეს ასული ავრაამოვა (ავრაამიდი) პროფესიით ექიმი ეპიდემიოლოგი გახლდათ.



თამარ (თალიკო) კარბელაშვილი



სადიპლომო ნამუშევარი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (ფერადი ლინოგრაფიურა. გამოცემა თბ., 1966, 1976, 1979 წლებში).

მამა – გულბათ ელიზბარის ძე კარბელაშვილი ინჟინერ-მანქანათმშენებელი, ეპისკოპოს ვასილ კარბელაშვილის (წმ. აღმსარებელი მღვდელმთავრის სტეფანეს) შვილიშვილი.

თამარ კარბელაშვილს ხატვის სიყვარული ბავშვობის წლებშივე გამოუვლენია. ადრეული ასაკის პერიოდში შესრულებული ნახატები, ძირითადად ნაკითხული წიგნებისგან მიღებული შთაბეჭდილებებით იყო შთაგონებული. წიგნისადმი ამგვარი ინტერესი თავისთავად შემდგომი მისი შემოქმედების საფუძვლადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან წლების შემდგომ, უკვე პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბებული ხელოვანი თავისი შემოქმედების მთავარ სფეროდ, სწორედ წიგნის ილუსტრაციას აქცევს.

ბავშვობის ბედნიერ წლებს უკავშირდება ასევე ქალბატონი თამარის დიდი გატაცება და სიყვარული საქართველოს მაღალმთიანი ადგილებისადმი. მისთვის საოცარი და სანატრელი გახსენებაა სახელგანთქმული ალპინისტი ქალბატონის – ალექსანდრა ჯაფარიძის სახელი. ამ დიდებულ ქალბატონთან სიახლოვეს თალიკო კარბელაშვილი თავისი ცხოვრების საჩუქრად მიიჩნევს. ალექსან-




ქართული ხალხური ზღაპრები. 1970. დიდი არწივი და მონადირე.
ქ.ტ., 17,9X26,8

დრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ლაშქრობების ფარგლებში მას სხვადასხვა დროს მოუნახულებია თრუსოს ხეობა, ზემო იმერეთი, ასევე ჯავახეთის ზეგანი კლდეკარით, ქსნის ხეობა. ზამთრის არდადეგებს კი, ქალბატონი თამარი ბაკურიანში თხილამურებით ვარჯიშით ატარებდა. მშობლიური ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს გაცნობამ, საქართველოს საოცარ ბუნებასთან სიახლოვემ, განსაკუთრებით შეაყვარა თავისი ქვეყანა. მოგზაურობისას გამუდმებით ხატავდა, ადგილზევე ვიზუალურად აფიქსირებდა მიღებულ შთაბეჭდილებებს.

მხატვარი წიგნისადმი სიყვარულს, ხატვისა და სპორტისადმი ინტერესს მამის დამსახურებად მიიჩნევს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მამას ხატვის შესასწავლად მიუყვანია ცნობილ მხატვართან ივანე შუხაევთან. ბატონი ივანე დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით მოჰკიდებია თამარ კარბელაშვილისთვის ხატვის შესწავლის საკითხს. მასვე გაუგზავნია ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკაში, სადაც დიდად განათლებული ქალბატონი ნატაშა სასნოვსკაიას დახმარებით გაცნობია ევროპელი მხატვრების შემოქმედებას.

შემდგომი პროფესიული წინსვლა კი ქალბატონ თამარს დიპლომის მომზადების პროცესში განუცდია, როდესაც ხელოვნებათმცოდნეების, მამიდის – მერი კარბელაშვილისა და რენე შმერლინ-



ქართული ხალხური ზღაპრები. 1970. მონადირე ლილოდან.
ქ.ტ., 21,1X30,3

გის რჩევით, აკადემიკოს ილია აბულაძის დახმარებით, გასცნობია ქართულ ხელნაწერებსა და ძვირფას მინიატიურებს, რასაც უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია მხატვარზე.

თამარ კარბელაშვილი 1956 წელს, თსსა გრაფიკის განყოფილებაზე იწყებს სწავლას. მის პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი შესანიშნავ გრაფიკოსსა და პიროვნული ღირსებით აღსავსე ადამიანს, საქართველოს სახალხო მხატვარსა და რუსთაველის პრემიის ლაურეატ ლადო გრიგოლიას მიუძღვის, რომელიც პირველი კურსიდან დიპლომის დაცვამდე კომპოზიციის საგანს ასწავლიდა.

თამარ კარბელაშვილი სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა იმ მნიშვნელოვანი თაობის წარმომადგენელია, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში, კონკრეტულად კი გრაფიკული ხელოვნების განვითარების საქმეში. მნიშვნელოვანია ამ თაობის მხატვართა ღვაწლი, თითოეულმა მათგანმა, თავისი გამორჩეული შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა. ამ მხრივ კი მრავლის-




ქართული ხალხური ზღაპრები. 1970. ირმისა. ქ.ტ., 21,2X30,2

მთქმელია მათი სახელები: კოკა იგნატოვი, ლამა ქურდიანი, ალიკა რატიანი, ზურაბ ფორჩხიძე, სპარტაკ ცინცაძე, რადიშ თორდია, ზურაბ ხარაბაძე, მამია მალაზონია, ლამარა მესხი ...

გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ქალბატონი ნანა მგალობლიშვილი წერს, როდესაც „თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა თალიკო კარბელაშვილი, ერთადერთი გოგონა იყო ჯგუფში. ბიჭები ცივ ნიავს არ აკარებდნენ, დასავით უვლიდნენ. თვითონაც ტოლს არ უდებდა მათ. არც ალპინიზმში ჩამორჩა და არც თხილამურებით სრიალში. ნახევარი საქართველო ფეხით მოიარეს...“

თამარ კარბელაშვილი 1960 წლიდან იღებს მონაწილეობას ჯგუფურ გამოფენებში, 1980 წელს კი მისი პირველი პერსონალური გამოფენა იმართება. ხოლო 2022 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრის საგამოფენო დარბაზში „Ars Georgica“ მხატვრის დაბადებიდან 85 წლის აღსანიშნავი პერსონალური საიუბილეო გამოფენა მოეწყო.

სამხატვრო აკადემიის დამთავრებისას შექმნილი თამარ კარბელაშვილის სადიპლომო ნამუშევარს სულხან-საბას „სიბრძნე სიც-



ქართული ხალხური ზღაპრები. 1970. მზის ასული. ქ.ტ., 17,9X26,7

რუისას“ ილუსტრაციები წარმოადგენდა. დიპლომის ხელმძღვანელი იყო თეიმურაზ ყუბანეიშვილი.

2021 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, სამუზეუმო ფონდების ექსპონატებით შევსების მიზნით, ქართული გრაფიკული ხელოვნების ნიმუშთა შექმნა განიზრახა. სწორედ ამ დროს, როგორც მნიშვნელოვანი და გამორჩეული გრაფიკული ნამუშევრები. შეისყიდეს ქალბატონი თამარის სადიპლომოდ შექმნილი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებებისთვის შესრულებული ილუსტრაციები. ნამუშევრები ფერადი ლინოგრაფიურის ტექნიკით არის განხორციელებული. მუქი ტონალობით დაფერილ სიბრტყეებზე გამოიკვეთება ნათელი ფერებით შესრულებული კომპოზიციები, რომელთა შემომსახურელი სიბრტყეების დასაფარად გამოყენებულია ლურჯი, მწვანე, შინდის ფერები. ამ მუქ ტონებზე გამოიკვეთება წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის უსწორმასწოროდ მოსაზღვრული ღია ფერის არეები, რომლებზეც კონტრასტულ მუქ ლაქებად აღიქმება იგავთა შინაარსის გამომხატველი ფიგურული კომპოზიციები. სიბრ-



ნატურმორტი. ფერ. ლითოგრ., 28,5X35,5, 1959

ტყეზე პეიზაჟების გამოსახვისას ნახატი ქვევიდან ზევით მიმართვით, ხალიჩისებურად ვითარდება, მის ზედაპირზე კი ნათლად გამოკრთის მთების, ხეების, ცხოველებისა და ადამიანთა სილუეტები. კომპოზიციები ნათლად აღსაქმელი ფორმებით და ლაკონიურობით გამოირჩევა. ცინცხალი, კონტრასტული ფერებით დასმული გამოსახულებები მკაფიო და მეტად ეფექტურ გრაფიკულ ნახატს იძლევა.

თამარ კარბელაშვილი აკადემიის დამთავრებისთანავე გამომცემლობა „განათლებაში“ იწყებს მუშაობას, მხატვრულ რედაქტორად. 1969 წლიდან ამავე გამომცემლობის მთავარი მხატვარია. მოგვიანებით კი აქტიურად თანამშრომლობს სხვა გამომცემლობებთანაც – „ნაკადული“, „საბჭოთა საქართველო“ და სხვ.

მხატვარი, გარდა იმისა, რომ ნაყოფიერად ემსახურება გამომცემლობებისთვის საჭირო საქმეს, თავადაც აქტიურად მუშაობს წიგნის გრაფიკაში და აფორმებს ხუთ ათეულზე მეტ წიგნს. ქმნის სხვადასხვა სახის ლიტერატურული ნაწარმოების ილუსტრაციებს;



სოფელი. ლინოგრ., 16,3X23,2. 1959

1960-80 წ.წ. აფორმებს სასკოლო სახელმძღვანელოებსაც. გამორჩეულად უყვარს უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის და მოზარდთათვის განკუთვნილი ნაწარმოებების დასურათება. როგორც თავადვე აღნიშნავს, „ყველაზე მეტად მიყვარს ილუსტრაციები ქართული ხალხური ზღაპრებისათვის, რომელიც რუსეთის საბავშვო გამომცემლობა „დეტგიზმმა“ შემიკვეთა, მიხეილ ქვლივიძის რეკომენდაციით. 40 ილუსტრაციის შექმნას ერთი წელი მოვუნდი, რადგან ოჯახი და სამსახური ბევრ დროს მართმევდა“.

ქართული ხალხური ზღაპრების გამოცემას მართლაც გამორჩეული ადგილი უკავია მხატვრის მიერ გაფორმებულ წიგნთა შორის. წიგნში განთავსებული თითოეული ზღაპრისთვის მხატვარი თავსართ-ილუსტრაციას ქმნის. ტექსტის დაწყებისთანავე შეიცნობს მკითხველი, თუ რა შინაარსის ზღაპრის წაკითხვას უნდა ელოდეს „ილუსტრაციის ქვეშ მოქცეული“ ტექსტიდან. ზღაპრის გმირთა ჩაცმულობაში ქართული ეროვნული სამოსის ფორმები შეიცნობა, გამოიკვეთება ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ არქიტექტურისთვის დამახასიათებელი დეტალები, ორნამენტული ფორმები – სვანური კოშკისთვის დამახასიათებელ კედელთა ზედაპირზე, დედაბოძზე, საქსოვ დაზგაზე, სამოსზე და ა.შ. თეთრ ფონზე სიბრტყობრივად დასმული ნახატი მკაფიოა და



სოფლის პეიზაჟი. მ., ზ., 24,7X34,5

სადა, ტექსტთან თანხვედრაში აღსაქმელი, თუმცა ზოგადი ხასიათით სლავური ეთნოგრაფიული მხატვრობისთვის ჩვეული ხელნერა შეინიშნება, რაც მხატვრის მიერ სპეციალურადაა შერჩეული, რათა ქართული ხალხური ზღაპრები უფრო მისაწვდომი და იოლად აღსაქმელი გახადოს რუსულ ენაზე მეტყველი მკითხველისთვის.

წიგნის გრაფიკის პარალელურად, თალიკო კარბელაშვილი დაზღური გრაფიკის მეტად საინტერესო და გამორჩეული ხელნერით შესრულებულ ნამუშევრებს ქმნის. ფერადი ლინოგრაფიურები, სანგინითა და ზეთის საღებავებით შესრულებული ფერწერის ნიმუშები, მხატვრის დახვეწილი გემოვნებითა და მაღალმხატვრული ტექნიკური ოსტატობით გვხიბლავს.

გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნებულ სტატია „ფუნჯის პოეზიაში“ ავტორი ოთარ შალამბერიძე აღნიშნავს: „ამას წინათ პოლიგრაფისტების კლუბში მოენყო მხატვარ თამარ კარბელაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა.“

შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა – მომეჩვენა, თითქოს მშვენიერ პოეტურ სამყაროში მოვხვდი. თვალს იტაცებს ლინოგრაფიურით, სანგინით, ზეთის საღებავებით თუ ტუშით შესრულებული ნამუშევრები.



ნატურმორტი ყვავილებით.
მ., ზ., 46,4X34,3, 1961

პირადად ჩემთვის მოულოდნელი მოფენაზე მისი ფერწერული სურათების გამოჩენა. მე მას ვიცნობდი როგორც შესანიშნავ გრაფიკოსს, წიგნის გაფორმების საქმეში დაკვირვებულ ხელოვანს...

უპირველესად მინდა აღვნიშნო მისი ფერწერული ნაწარმოებები. მხატვარი მგრძნობიარე ფერებით გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას მშობლიური კუთხის ბუნებასთან. ეს სურათები სავსეა სინათლეშეპარული ჰაერით...“.

ყოველი ზემოთ თქმული ნათლად ასახავს თალიკო კარბე-

ლაშვილის ნიჭიერების ფართო დიაპაზონს. გარდა იმ შესანიშნავი შემოქმედებისა, რითაც მხატვარმა თავისი ღვაწლით დიდი სამსახური გაუწია ქართული გრაფიკული მხატვრობის მაღალი დონის შენარჩუნება-განვითარებას, ასევე განსაკუთრებულია მისი კეთილშობილური თვისებებიც. ზოგადად სამყაროზე ზრუნვა-წუხილის გამომხატველია მისივე სიტყვები, გამომხატველი იმისა, თუ როგორ დარდობს და განიცდის იგი სამშობლოსა და ზოგადად კაცობრიობის ბედსწერას – „ნუთუ, ასე ძნელია, ოდნავ, სულ ოდნავ უფრო კეთილგონიერნი ვიყოთ, მაშინ ხომ გაქრება შური, სიხარბე, ბოროტება, მაშინ ომი აღარ იქნება... არც ერთ დედას, ამქვეყნად, არ უნდა ომი!“ და დღეს, როდესაც მთელ სამყაროს უჭირს იმ გაუთავებელი ომებისა და სტიქიური უბედურებების გამო, რაოდენ აქტუალურია მისი ეს სიტყვები. და ხვდები, რომ მხოლოდ ასეთ სიკეთით სავსე ადამიანებს შეუძლია სამყაროს გადარჩენა.

P.S. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, აქვე მინდა გავუზიარო მკითხველს ქალბატონი თალიკოს მოგონება, რომელშიც იგი გვიზიარებს იმ რეალობას, რისი უშუალო შემსწრეც თავად იყო, სურს არ დაიკარგოს ის ღვანლი, რომელსაც კეთილშობილი ადამიანები ტოვებენ ამქვეყნად. კონკრეტულად კი სურს, რომ მისი მეგობრის - ლამარა მესხის სახელი არ გაქრეს სრულიად დაუფასებელი.

ლადო გრიგოლია თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მოქანდაკე, გრაფიკოსი, იგი ხელოვნების ორივე სახეში ქმნიდა უზადო გემოვნების და დიდი მხატვრული ღირსების ნაწარმოებებს. მაგრამ ყველაზე დიდი განძი, რომელიც მან ქართველ ერს დაუტოვა, ეს არის მისი შრომები თანამედროვე ქართული შტიფტის შექმნაში და მისი განვითარების შემდგომი გზების დასახვაში.

მრავალი წლის მანძილზე ლადო გრიგოლია ასწავლიდა ქართველ მხატვართა თაობებს კომპოზიციას და ქართულ შრიფტს.

ყველა, ვინც თავს მის მოწაფედ ვთვლიდით თავს უდიდეს მონივნით და სიყვარულით ვიხსენებთ ამ ადამიანის წმინდა სახელს, მაგრამ მხოლოდ ერთმა მისმა თანმიმდევარმა და უმცროსმა თანამშრომელმა, სამხატვრო აკადემიაში რომ ათი წლის მანძილზე სტუდენტებს უძღვნა მთელი თავისი დრო და ენერგია, მოქანდაკემ და პედაგოგმა ლამარა მესხმა იზრუნა ამ მართლაც დიდი მხატვრისა და უზადო ადამიანის მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე. ლამარა მესხმა შეაგროვა ლადო გრიგოლიას ყველა გამონათქვამი თუ შავი მონახაზი, ლექციების რვეული და ჩანაწერი, თვითონ იწერდა მის ლექციებს, ამოიკითხა და გაშიფრა მისი სიკვდილის მერე ყველა მისი უბის წიგნაკი, ქართული შრიფტის ნაირსახეობაში მოცემული ყველა მოხაზული ზოგიერთი ასოც კი და ლადო გრიგოლიას მიერ მოხაზული მეცნიერული სიზუსტით აღმოჩენილ კანონზე დაყრდნობით ამ მონახაზებიდან ამოხსნა ქართული შრიფტის ვარიაციების 36 სახე.

ლადო გრიგოლიას უშუალო ხელმძღვანელობით ლამარა მესხმა შეასრულა ქართული და რუსული სასწავლო „ჩონჩხისებრი“ შრიფტების ვარიაციები.

მან სათუთად შეინახა და მოსწავლეებს გადასცა ლექციების ციკლში ლადო გრიგოლიას მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შესრულებული სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომები „სასწავლო შრიფტების“ შესახებ, გამიზნული გამოყენებითი დარგის სტუდენტების სასწავლო პროცესისათვის.

ლექციების ციკლისათვის, რომელიც მთლიანად ეყრდნობა ლადო გრიგოლიას შრომებს, ლამარა მესხმა შეინახა და გამოიყე-



ნა სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომები. საპლაკატო და ქართული აკადემიური ორხაზოვანი სისტემის ერთსისქიანი შრიფტების ტაბულაები, ლადო გრიგოლიას მიერ ნაჩუქარი აკადემიური შრიფტის ტაბულაები და სასწავლო პროცესისთვის საჭირო რვეულები, შრიფტის ნიმუშებით.

ლადო გრიგოლიას გეომეტრიის და პერსპექტივის კათედრაზე გადმოსვლამდე, ლამარა მესხი ასწავლიდა გრაფიკას და შრიფტს გამოყენებითი დარგების სტუდენტებს. ამ კათედრაზე გადმოსვლისთანავე ლადო გრიგოლიამ ყურადღება მიაქცია იმ უდიდეს სიყვარულს, ერთგულებას საქმისადმი, რომელსაც ლამარა მესხი იჩენდა სწავლების პროცესში. იმ დროიდან ისინი ერთად მუშაობდნენ.

ლადო გრიგოლია წვრთნიდა და ასწავლიდა ლამარა მესხს თავის ხელოვნებაში. ისიც უმაგალითო ერთგულებით აგრძელებდა მის საქმეს.

ლადო გრიგოლის სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლის მოწვევით ლამარა მესხმა შეისწავლა მთელი მისი არქივი, მიიღო უდიდესი მონაწილეობა ამ არქივის მონესრიგებაში, შექმნა ნამუშევართა კატალოგი. მიიღო მონაწილეობა ნაშრომის ორტომეულის გამოცემის მომზადებაში.

ამასთან ერთად მან არქივიდან შეაგროვა ის მასალა, რომელიც გამოსაყენებელი იყო ქართული შრიფტის შემსწავლელი ლექციებისათვის. შეარჩია საუკეთესო ვარიანტი ნაშრომისა „ქართული აკადემიური შრიფტის ვარიაციათა სისტემა“. ამით მიღწეულ იქნა ნაშრომის სისტემაში მოყვანა და გამთლიანება.

მრავალჯერ შეასრულა ტრაქტატის ტექსტებისათვის საჭირო შრიფტების ნიმუშები იმ კანონების და წესების ზუსტი დაცვით, რომელიც ლადო გრიგოლიას აქვს მოცემული. დაამუშავა და წესრიგში მოიყვანა ესკიზური მონახაზები, რომლებსაც შემდეგში სტუდენტებს უხსნიდა ლექციებზე.

სამწუხაროდ, მისი ღვაწლი დაუფასებელი დარჩა, როცა ი. დივანაგორცევასა და ო. გორალევიჩის თაოსნობით გამოიცა ლადო გრიგოლიას ნაშრომების ორტომეული, ლამარა მესხის ხსენებაც არ სად იყო.

თამარ კარბელაშვილი. 12.03.1986

თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყოფილების დიპლომანტები (ფოტო). გაზ. „კომუნისტი“, 04.04.1962.

საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა. კატალოგი. - თბ., 1962, გვ. 96.

რ. მაჭავარიანი. სამხატვრო აკადემიის დიპლომანტები. გაზ. „თბილისი“, 18.05.1962.

ახალი წიგნები. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 12.06.1964.

ოთარ შალამბერიძე. ფუნჯის პოეზია. გაზ. „წიგნის სამყარო“, 14.05.1980.

მხატვრის კვირეულის დღეებში (ინფორმაცია პერსონალურ გამოფენაზე). ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, №6, გვ. 118.

ნანა მგალობლიშვილი. კვლავ იცინიან იები თოვლში. გაზ. „წიგნის სამყარო“, 11.03.1987.

ვინ ვინაა თანამედროვე სახვით ხელოვნებაში. - თბ., 2000, გვ. 231-232. ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია. 2021-2022. თამარ კარბელაშვილი. - თბ., 2022.

მარიამ გაჩეჩილაძე. თამარ (თალიკო) კარბელაშვილის შემოქმედება. ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, 2022 (ნაწილი II); <https://new.georgianart.ge>.

С. Имерлишвили. Молодость – в графике, живописи, скульптуре. Газ. «Вечерний Тбилиси», 22.05.1961.

Л. Хитаршвили. Жизнь в искусстве только начинается. Газ. «Вечерний Тбилиси», 07.07.1962.

Всесоюзная Выставка дипломных работ студентов художественных вузов СССР. Выпуск 1962-1963. Каталог. Изд. Академии художеств СССР. - Мос., 1963.

М. Климова. Экзамен на Художника. Изд. «Советский Художник». - Москва, 1964.

Иллюстрация к «Абесалом и Этери». Газ. «Молодёжь Грузии», 27.03.1971.

Э. Ломидзе. Весеннее дыхание палитры (о выставке женщин художниц Грузии). «Молодёжь Грузии», 16.03.1972.

Художники народов СССР. Библиографический словарь. т.I. - М., 1982.

დავით აღმაშენებელი - 950

როინ მებრეველი, დიდი პოლიტიკოსი, კავკასიის გამაერთიანებელი დავით აღმაშენებლის დღე. მახვილი მესიისა -----	3
--	---

კვალი ნათელი

ლადო მინაშვილი, კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის, პორტრეტისათვის -----	14
ნათია სინბარულიძე, „გალაკტიონი უცენზუროდ“ -----	27
ლევან ბრეგვაძე, „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“ -----	34

საბიბლიოთეკო საქმე

ალექსანდრე ლორია, წიგნის ინფორმაციული თავისებურება -----	39
მანა მიქაბერიძე, საბიბლიოთეკო პროფესიული პერიოდული გამოცემები საქართველოში -----	45
მანაიძე დალი, ქვემო რაჭის საერო წიგნსაცავ-სამკითხველო ამბროლაურში XIX საუკუნის მინურულს -----	55

ჩემი ვეფხისტყაოსანი

ნესტან სულავა, „ვეფხისტყაოსნის“ როგორც სათაურის ჯვარსახოვნებისათვის -----	70
--	----

დრო და ადამიანები



მანანა სამაშვილი, ავტორისეულიდან – ხალხურამდე ----- 83

ზონა ცხადია-აბაშიძე, ტრაგიკული დაბრუნება ----- 95

ლიტერატურული ძიებანი

ხათუნა კალანდარიშვილი, ილია ჭავჭავაძის
მხატვრული მეთოდი მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ----- 106

წიგნის გეგმის ისტორიისათვის

ნინო ხვედელიძე, პეტერ შეფერი და მისი გამოცემები ----- 114

უცხოეთის წიგნის მაღაზიები

ქეთევან მერკვილაძე, დიდი ქალაქების
პატარა Bookshops ----- 133

ყალბით და ფუნჯით

მარინა გარეჩილაძე, თამარ (თალიკო)
კარბელაშვილის შემოქმედება ----- 143

ჭრუნღელთა ცხვ

საგამომცემლო განყოფილების
ხელმძღვანელი შოთა კობიაშვილი
უფროსი რედაქტორი სოფიო კობიაშვილი
რედაქტორი რუსუდან ბულისკერია

დააკაბდონა ლერი შარიქაძემ

რედაქციის ნებართვის გარეშე
ალმანახის მასალების გამოყენება არ შეიძლება.

MTSIGNOBARI

2023

An annual Almanac of Bibliophiles has been issued since 1980. It publishes articles about books and writers, libraries and bibliophiles, researches in the world of book and book-lovers of different sides and countries.

Editor-in-chief LADO MINASHVILI

Artist ANZOR TODRIA

Ilia Chavchavadze
Georgian Association
Of Book-Lovers

Tbilisi-2023

030/43



An annual volume of Bibliophiles has been issued since 1950. It publishes articles about books and writers, libraries and bibliophiles, researches in the world of book and book-lovers of different sides and countries.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
მწიგნობართა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის გამზ., 40/1. ტ.: 299-98-22, 293-31-79.

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარში“.

F1285
2023



9 772587 546004 >